

ქეთევან მჭედლიძე

საქართველოში სითბოს და ელექტროენერგიის გამომუშავების
კოგენერაციული მეთოდების გამოკვლევა თანამედროვე
მაღალეფექტური ენერგოდანადგარების ბაზაზე

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
2013 წელი

© საავტორო უფლება ქეთევან მჭედლიძე, 2013 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მჭედლიძე ქეთევანის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „საქართველოში სითბოს და ელექტროენერგიის გამომუშავების კოგენერაციული მეთოდების გამოკვლევა თანამედროვე მაღალეფექტური ენერგოდანადგარების ბაზაზე“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: სრული პროფესორი გურამ ჩიტაშვილი

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013 წელი

ავტორი: ქეთევან მჭედლიძე
დასახელება: „საქართველოში სითბოს და ელექტროენერგიის გამომუშავების კოგენერაციული მეთოდების გამოკვლევა თანამედროვე მაღალეფებური ენერგოდანადგარების ბაზაზე“
“ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი”
აკადემიური ხარისხი: დოქტორი
სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია

სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

კოგენერაცია თბოელექტრომომარაგების უმაღლესი ფორმაა. ის ითვლება ენერგეტიკის განვითარების, ენერგოდამზოგი პოლიტიკის, სათბობების განვითარების რესურსების რაციონალური გამოყენების გროვრო უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებად. კოგენერაცია უზრუნველყოფს ორგანული სათბობის, ფინანსური და შრომითი რესურსების დიდ ეკონომის, ხელს უწყობს ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სათბობის განუხერელი გაძვირების პირობებში კოგენერაციის როლი თანდათან უფრო გაიზრდება.

მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ელექტრული და თბური ენერგიების კომბინირებული გამომუშავების (კოგენერაციის) სისტემების განვითარებას. დიდი მნიშვნელობა აქვს კოგენერაციის მეშვეობით მიღებული ეკონომიკური მოგების სამართლიან განაწილებას გამომუშავებულ სითბოსა და ელექტროენერგიის შორის. ამჟამად ეს განაწილება უმეტეს ქვეყნებში წარმოებს ე.წ. პროპორციული მეთოდით, რომელიც ითვალისწინებს თეცში ყველა დანახარჯის გაყოფას ორი სახის ენერგიას შორის შეაბამისი ხარჯების პროპორციულად სითბოსა და ელექტროენერგიის გამომუშავებისას განცალკევებული მეთოდით (საქვაბესა და კონდესაციურ ელექტროსადგურში).

ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიოში კოგენერაციის განვითარების ძირითადი ეტაპები, მისი ენერგოეკონომიკური და ეკოლოგიური უპირატესობანი. აღნიშნულია, რომ ამჟამად კოგენერაცია ვითარდება ძირითადად აირტურბინული და ორთქლაირული ტექნოლოგიების ბაზაზე. მოყვანილია მონაცემები მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ენერგეტიკაში აირტურბინული და ორთქლაირული დანადგარების გამოყენების მასშტაბებისა და პერსპექტივების შესახებ. ატლ-ები და ოატლ-ები ხასიათდება მაღალი თბური ეკონომიკურობით, მინიმალური კუთრი ლირებულებით, კარგი ეკოლოგიური თვისებებით, კაპიტალდაბანდებების სწრაფი გამოსყიდვით, კოგენერაციაში გამოყენების ეფექტურობით და სხვ.

ნორმატიული მეთოდის გამოყენებით ჩატარებულია KO ტიპის ტურბინებით აღჭურვილი ორთქლტურბინული თეცის ენერგოეფექტურობის მაჩვენებლების საანგარიშო-ანალიზური გამოკვლევა. განსაზღვრულია სათბობის კუთრი ხარჯი და მისი ფარდობითი ეკონომიკა ენერგოწარმოების განცალკევებულ მეთოდთან შედარებით.

ნაშრომში დადგენილია, რომ “პროპორციული” მეთოდით გათვლილი თეცების ენერგოეფექტურობის მაჩვენებლებზე ძირითადად გაელენას ახდენს აირტურბინული დანადგარის მქ კოეფიციენტი, სხვაობა წარმავალ აირებსა და გარე პაერის ტემპერატურათა შორის, აგრეთვე კესისა და საქვაბის მქ კოეფიციენტები.

განხილულია კოგენერაციულ სისტემებში რთული სქემების აირტურბინული დანადგარების გამოყენების საკითხი. ცნობილია, რომ

ამჟამად აირტურბინულ თეცებში უპირატესად უმარტივესი სქემის აირტურბინული დანადგარები გამოიყენება. ისინი საკმაოდ იაფი და ენერგოეფექტური დანადგარებია. სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა გამოკვლევებით დადგინდა, რომ რთული სქემების აირტურბინული დანადგარების გამოყენება თეცებში უზრუნველყოფს გარკვეულ, უფრო მეტ თერმოდინამიკურ ეფექტს. ადრე დამუშავებული მეთოდიკის გამოყენებით გაანალიზებულია ორი ტიპის აირტურბინული თეცის ეფექტურობა: როდესაც აქ გამოიყენება უმარტივესი სქემის აირტურბინული დანადგარი, მეორე: როდესაც გამოიყენება რთული სქემის დანადგარი ჰაერის შუალედური გაცივებით, რეგენერაციით და სითბოს შუალედური მიწოდებით. შედარების მთავარ კრიტერიუმად მიღებულია სათბობის ფარდობითი ეკონომია, რომელიც მიიღწევა ენერგოსისტემაში აირტურბინული თეცის ფუნქციონირებით, თბოელექტრომომარაგების განცალკევებულ მეთოდთან შედარებით. დასაბუთებულია, რომ მეორე შემთხვევაში სათბობის ეკონომია საშუალოდ $20\div 25\%$ -ით მეტი იქნება პირველ ვარიანტთან შედარებით.

ნაშრომში გამოკვლეულია გარდაბანში ამჟამად მოქმედი აირტურბინული დანადგარების ატდ-თეცად შესაძლო რეკონსტრუქციის ეფექტურობა, გაანალიზირებულია აგრეთვე მცირე სიმძლავრის A-41 ტიპის დიზელის მაგალითზე ნარჩენი სითბოს უტილიზაციის შესაძლებლობა.

საქართველოში ადრე არსებული საქვაბეების ტერიტორიებზე შეიძლება შეიქმნას რამდენიმე მძლავრი აირტურბინული თეცი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის წლიურ გამომუშავებას. სითბოს და ელექტროენერგიის კომბინირებული გამომუშავება უზრუნველყოფს ქვეყანაში დაასლოებით 80 მილიონი დოლარის ღირებულების 1 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი ბუნებრივი აირის ეკონომიას. ელექტროენერგიის გამომუშავების თვითდირებულება იქნება მცირე 2...2,5 ცენტი/(კვტ.სთ). აღნიშნული თეცების მშენებლობა დაჯდება საშუალოდ 2-ჯერ იაფი, ვიდრე ისეთივე სიმძლავრის მსხვილი ორთქლტურბინული თეცის აგება. ატ-თეცების ამოქმედება განსაკუთრებით ეფექტური იქნება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როდესაც ერთდროულად ადგილი აქვს ელექტრული და თბური დატვირთვების პიკებს.

გაანალიზირებულია ქ. თბილისში გლდანის რაიონში ადრე მოქმედი №44 საქვაბის აირტურბინულ თეცად რეკონსტრუქციის ეფექტურობა და გათვლილია თეცის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ბინარული ტიპის ქვაბ-უტილიზატორიანი თბოფიკაციური ორთქლაირული დანადგარები გამოირჩევა ელექტროენერგიის მაქსიმალური გამომუშავებით თბური მოხმარების ბაზაზე და ყველაზე პერსაპექტიულია თეცებისათვის. დადგენილია, რომ ქვაბ-უტილიზატორიანი ორთქლაირული თეცის ენერგოეფექტურობა ძირითადად დამოკიდებულია გამოყენებული ატდ-ის მქ კოეფიციენტზე და თბოფიკაციური ორთქლის ტურბინის ენერგოეფექტურობის მაჩვენებლებზე. აოტდ-თეცში, ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავება თბური მოხმარების ბაზაზე ყველაზე მაღალია და $2,0\ldots 2,3$ -ს აღწევს. შესაბამისად ყველაზე

მეტია სათბობის ფარდობითი ეკონომია ენერგოსისტემაში (35...47%). ეს მაჩვენებელი არსებითად არის დამოკიდებული ჩასანაცვლებელი რაიონული საქვაბის და პონდენსაციური ელექტროსადგურის მქონეფიციენტზე.

ABSTRACT

Examination of cogeneration methods of heat and electricity generation in Georgia on the basis of high-effective power plants

Cogeneration is the highest form of heating and electricity supply. It is considered as one of the most important strategic directions of rational use of heating and power resources. Cogeneration shall provide important savings of organic fuel, financial and labour resources, shall support improvement of environmental situation in towns and industrial centers. In the conditions of steady rising of fuel in price, role of cogeneration shall gradually increase much more.

Improvement of combined generation (cogeneration) systems of electricity and heating energies is paid great attention all over the world. Fair distribution of economic profit obtained through cogeneration, between generated heat and electricity is significant. The distribution currently takes place in many countries in accordance with so called proportional method that considers division of all charges in heat and power plant through separate methodology in proportion with any relevant charges between two energies at generation of heat and electricity (in boiler house and condensate power house).

Major stages of the development of cogeneration, its power-economic and ecological advantages all over the world have been analyzed in the work. It has been specified that cogeneration currently is developed on the basis of gas-turbine and gas-vapor technologies. Data about scopes and perspectives of using gas-turbine and gas-vapor facilities in the power engineering of the well-developed and developing countries of the world has been specified. Gas-turbine and gas-vapor installations are characterized by high thermal effectiveness, minimal specific value, good environmental properties, quick redemption of investments, efficiency of usage in cogeneration and etc.

The design-analytic examination of the showings of power efficiency of gas-vapor heat and power plant equipped with KO type turbines has been carried out by using of normative method. Specific flow of fuel and its relative savings to compare with the separate method of power generation has been determined.

The fact that the showings of power efficiency of heat and power plants calculated by "Proportional" method is influenced by efficiency factor of gas-turbine installation,

difference between exit gases and outdoor temperature as well as condensing power

plant and boiler house efficiency factors, have been specified in the work.

The issue of using complicated scheme gas-turbine installations in cogeneration system has been reviewed. It has been known that the simplest scheme gas-turbine installations are used in gas-turbine heat and power plants currently. They are

quite cheap and power effective. According to examinations of scientists of the different countries, it has been ascertained that the usage of complicated scheme gas-turbine installations in heat and power plants shall provide clear, more thermodynamic effect. Efficiency of two type gas-turbine heat and power plant has been analyzed basing upon the previously developed methodology: when the gas-turbine installation of the simplest scheme is used and the second: when the installation of complicated scheme is used with air intercooling, regeneration and intermediate supply of heat. Relative saving of fuel that is reached by functioning of gas-turbine heat and power plant in energy system to compare with the separate methodology of heat power supply has been adopted as the major criteria of comparison. Fuel economy on the second case shall be 20÷25% more to compare with the first version.

Efficiency of presumable reconstruction of gas-turbine installations currently operated in Gardabani, into gas-turbine installation-heat and power plant has been examined in the work, possibility of the remainder heat utilization on the example of small-capacity A-41 diesel has been analyzed as well.

Some high power gas-turbine heat and power plant that shall significantly increase yearly output of electricity in energy system can be made at the territories of former boiler houses in Georgia. Combined generation of heat and electricity shall provide savings of more than 1 billion cubic meter natural gas of 80 million USD. Self-cost of electricity generation shall be the least 2...2,5 cent (kwt/hr). Construction of the above heat and power plants shall be 2-times cheap than the construction of gas-vapor heat and power plant of the same capacity. Exploitation of gas-turbine heat and power plants shall be especially effective in autumn and winter when the peaks of electricity and thermal loads take place simultaneously.

Efficiency of reconstruction of the previously operated # 44 boiler house in Gldani, Tbilisi into gas-turbine heat and power plant has been analyzed and the major technical-economic showings have been determined.

Binary steamer-utilizer heating gas-vapor plants are distinguished by maximal generation of electricity on the basis of thermal consumption and are the most perspective for heat and power plants. It has been established that power efficiency of steamer-utilized gas-vapor heat and power plant is mainly depended on the efficiency factor of gas-turbine plant and the showings of heating gas-vapor turbine power efficiency. Specific generation of electricity if gas-turbine installation heat and power plant is the highest on the basis of thermal consumption and reaches to 2,0...2,3. Accordingly, relative savings of fuel is the most of all in energy system (35...47%). The present index is significantly depended to the efficiency factor of the sectional boiler house to be replaced and condense power plant.

შინაარსი

შესავალი;

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა;

- 1.1. კოგენერაცია – ენერგოდაზოგვის ეფექტური მეთოდი და მისი როლი ენერგოსისტემის განვითარებაში ;
- 1.2. მსოფლიო ენერგეტიკაში აირტურბინული და ორთქლაირული დანადგარების გამოყენების მასშტაბები;
- 1.3 კოგენერაციის ეფექტურობის მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდების შედარებითი ანალიზი;

თავი II. ორთქლტურბინული კოგენერაცია ;

- 2.1. ორთქლტურბინული თეცების ენერგეტიკული ეფექტურობის თერმოდინამიკური ანალიზი ;
- 2.2. საობობის ეკონომიის გაანგარიშება ენერგოსისტემაში, განპირობებული ორრეგულირებადართმევიანი ტურბინებით აღჭურვილი თეცების ფუნქციონირებით ;
- 2.3. ორთქლტურბინული კოგენერაციული სადგურების გამოკვლევა პროპორციული მეთოდით ;
- 2.4. კოგენერაციაში კეს-ის ტურბინების გამოყენების ეფექტურობა;

თავი III. აირტურბინული დანადგარების და შიგაწვის ძრავების გამოყენება კოგენერაციაში ;

- 3.1. სხვადასხვა ტიპის თეცების ზოგადი დახასიათება და

- ენერგეტიკული ეფექტურობის შედარებითი ანალიზი ;
- 3.2. გარდაბნის აირტურინული ელექტროსადგურის კოგენერაციულ სადგურად ტრანსფორმაციის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასება ;
- 3.2.1. პროექტის წმინდა დისკონტინებული ღირებულების ანგარიში ;
- 3.3. კოგენერაციულ სისტემებში რთული სქემების აირტურბინული დანადგარების გამოყენების ეფექტურობა ;
- 3.4. ქ. ობილისის ტიპური საქვაბის ბაზაზე აირტურბინული თეცის შექმნის ტექნიკურ-ეკონომიკური ასპექტები ;
- 3.4.1. რაიონის თბომომარაგების სქემაში აირტურბინული თეცის მუშაობის რეჟიმი ;
- 3.4.2. სათბობი ;
- 3.4.3. ძირითადი მოწყობილობის შედგენილობა და დახასიათება ;
- 3.4.4. MS6001B ტიპის ენერგეტიკული მოდულური დანადგარი ;
- 3.4.5. ქსელის წყლის აირშემთბობი (ქწაშ) ;
- 3.5. დიზელ-დანადგარების ნარჩენი სითბოს გამოყენება კოგენერაციაში ;
- 3.5.1. დიზელის ნამუშევარი სითბოს გამოყენების გზები და შესაძლებობა ;
- 3.5.2. ნამუშევარი სითბოს გამოყენების გავლენა დანადგარის ეკონომიკურობაზე ;
- 3.5.3. ნამუშევარი სითბოს გამოსაყენებელი დანადგარების სქემები და ელემენტები ;
- 3.5.4. A-41 დიზელის ნარჩენი სითბოს უტილიზაციის შესაძლებლობის გაანგარიშება ;

თავი IV. ორთქლაირული კოგენერაცია ;

- 4.1. არსებული კომბინირებული დანადგარების მოკლე დახასიათება ;
- 4.2. ქვაბ-უტილიზატორიანი ორთქლაირული თეცის პრინციპული თბური სქემა და ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები ;
- 4.3. აირტურბინული და ორთქლაირული თეცების ფუნქციონირების გაოლოგიური ასპექტები ;
დასკვნა ;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

ცხრილების ნუსხა

- ცხრილი 1.** საქართველოში ადრე არსებული თეცების ტექნიკური მონაცემები
- ცხრილი 2.** უკრაინის და რუსეთის ქარხნების ატლ-ების მონაცემები
- ცხრილი 3.** უკრაინის და უცხოური ფირმების ატლ-ების მონაცემები
- ცხრილი 4.** მსოფლიოში ათვისებული მძღავრი ატლ-ების მაჩვენებლები
- ცხრილი 5.** გაანგარიშების შედეგები KO ტიპის ტურბინებისთვის, როცა $p_{\text{ართ}} = 0.14$ მგპა
- ცხრილი 6.** გაანგარიშების შედეგები KO ტიპის ტურბინებისთვის, როცა $p_{\text{ართ}} = 0.26$ მგპა
- ცხრილი 7.** $A_{\text{თ}}$ სიდიდეები (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.332$)
- ცხრილი 8.** $\overline{N}_{\text{თ}}$ სიდიდეები (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.332$)
- ცხრილი 9.** $\eta_{\text{ტლ}}^{\text{სა}}$ -სა და $\eta_{\text{მუნ}}^{\text{სა}}$ -ის მნიშვნელობები (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.332$)
- ცხრილი 10.** $\overline{B}_{\text{ამ}}$ -ს მნიშვნელობები (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.332$)
- ცხრილი 11.** თეცის კერძო მქ კოეფიციენტის სიდიდეები ელექტროენერგიის გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.332$)
- ცხრილი 12.** თეცის კერძო მქ კოეფიციენტის სიდიდეები სითბოს გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.332$)
- ცხრილი 13.** სათბობის კუთრი სარჯების მნიშვნელობები ელექტროენერგიის გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.332$)
- ცხრილი 14.** სათბობის კუთრი სარჯების მნიშვნელობები სითბოს გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.332$)
- ცხრილი 15.** $A_{\text{თ}}$ სიდიდეები (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.37$)
- ცხრილი 16.** $\overline{N}_{\text{თ}}$ სიდიდეები (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.37$)
- ცხრილი 17.** $\eta_{\text{ტლ}}^{\text{სა}}$ -სა და $\eta_{\text{მუნ}}^{\text{სა}}$ -ის მნიშვნელობები (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.37$)
- ცხრილი 18.** $\overline{B}_{\text{ამ}}$ -ს მნიშვნელობები (როცა $\eta_{\text{ატ}} = 0.37$)

ცხრილი 19. ოეცის კერძო მქ კოეფიციენტის სიდიდეები ელექტროენერგიის გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,37$)

ცხრილი 20. ოეცის კერძო მქ კოეფიციენტის სიდიდეები სითბოს გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,37$)

ცხრილი 21. სათბობის კუთრი ხარჯების მნიშვნელობები ელექტროენერგიის გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,37$)

ცხრილი 22. სათბობის კუთრი ხარჯების მნიშვნელობები სითბოს გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,37$)

ცხრილი 23. A_o სიდიდეები (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,46$)

ცხრილი 24. $\overline{N_o}$ სიდიდეები (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,46$)

ცხრილი 25. $\eta_{\text{ტ}}^{\text{ხ}}$ -სა და $\eta_{\text{მგ}}^{\text{ხ}}$ -ის მნიშვნელობები (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,46$)

ცხრილი 26. $\overline{B}_{\text{ჯ}}$ -ს მნიშვნელობები (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,46$)

ცხრილი 27. ოეცის კერძო მქ კოეფიციენტის სიდიდეები ელექტროენერგიის გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,46$)

ცხრილი 28. ოეცის კერძო მქ კოეფიციენტის სიდიდეები სითბოს გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,46$)

ცხრილი 29. სათბობის კუთრი ხარჯების მნიშვნელობები ელექტროენერგიის გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,46$)

ცხრილი 30. სათბობის კუთრი ხარჯების მნიშვნელობები სითბოს გამომუშავებაზე (როცა $\eta_{\text{ჯ}}=0,46$)

ცხრილი 31. ობილსრესის ენერგობლოკის კოგენერაციის მიზნით გამყენების ეფექტურობის მაჩვენებლები

ცხრილი 32. ბუნებრივი აირის და მის შეძენაზე ფულადი სახსრების ეკონომიის მაჩვენებლები

ცხრილი 33. გარდაბნის ატ-ოეცის მაჩვენებლები

ცხრილი 34. FT8 Twin Pas აირტურბინების ძირითადი მახასიათებლები გარემოს ტემპერატურაზე დამოკიდებულებით

ცხრილი 35. ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, თუ საპროცენტო განაკვეთი 20%-ია, $C_{\text{ტ}}=4,79$ ცენტი/(კვტ.სთ)

ცხრილი 36. ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, თუ საპროცენტო განაკვეთი 20%-ია, $C_{გარ} = 5,08$ ცენტი/(კვტ.სთ)

ცხრილი 37. ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, თუ საპროცენტო განაკვეთი 20%-ია, $C_{გარ} = 5,39$ ცენტი/(კვტ.სთ)

ცხრილი 38. ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, თუ საპროცენტო განაკვეთი 20%-ია, $C_{გარ} = 5,69$ ცენტი/(კვტ.სთ)

ცხრილი 39. ატ-თეცის მაჩვენებლები სხვადასხვა პირობებში

ცხრილი 40. ატლ-ის მუშაობის საპასპორტო მონაცემები ($t_{გარ} = +15^0 C$)

ცხრილი 41. აირშემობობის საპასპორტო მონაცემები ($t_{გარ} = -7^0 C$)

ცხრილი 42. გაანგარიშების შედეგები [45] მეთოდიკით

ცხრილი 43. ატ-თეცის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები №44 და №17 საქვაბის გარეშე

ცხრილი 44. ატ-თეცის მუშაობის წლიური მაჩვენებლები

ცხრილი 45. საუტილიზაციო ქვაბების გამოცდისას მიღებული მონაცემები

ცხრილი 46. გარემოში მავნე გამონატყორცნების განაწილება აშშ-ს მაგალითზე [69]

ცხრილი 47. NO_x -ის დასაშვები კონცენტრაცია წვის აირად ნაწარმში, $\text{მგ}/\text{მ}^3$

ცხრილი 48. NO_x -ის ზღვრული კონცენტრაცია წვის აირად ნაწარმში, $\text{მგ}/\text{მ}^3$

ცხრილი 49. ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები საერთო გამონაბოლქვები, ათასი $\text{ტ}/\text{წლ}$

ნახაზების ნუსხა

- ნახ.1. უკუწევიანი ტურბინით აღჭურვილი თეცის, რეალური ციკლი TS დიაგრამაზე
- ნახ.2. აირტურბინულ თეცში სათბობის კუთრი ხარჯების (ელექტრო-ენერგიის გამომუშავებაზე) შედარება Δt -ს ოთხი მნიშვნელობის-თვის: $\eta_{\text{აქ}}=0.37$ $\eta_{\text{ხა}}=0$.
- ნახ.3. სათბობის კუთრი ხარჯები ელექტროენერგიის გამომუშავებაზე აირტურბინულ თეცში Δt -ზე დამოკიდებულებით $\eta_{\text{ხა}}$ -ს ოთხი მნიშვნელობისთვის: $\eta_{\text{აქ}}=0.37$, $\eta_{\text{ხა}}=0.8$.
- ნახ.4. სათბობის კუთრი ხარჯი აირტურბინულ თეცში თბური ენერგიის გამომუშავებაზე: ა - $\eta_{\text{აქ}}$ და ბ - Δt პარამეტრებზე დამოკიდებულებით ($\eta_{\text{აქ}}=0.37$, $\eta_{\text{ხა}}=0.8$).
- ნახ.5. ორთქლის ართმევის α_a წილის და ω პარამეტრის გავლენა თბოფიკაციური ტურბოდანადგარის სრული $\eta_{\text{ტ}}$ და კერძო $\eta_{\text{ტ}}$ მქ კოეფიციენტებზე
- ნახ.6. ორთქლტურბინული თეცის (T და Π ტიპის ტურბინებით) ენერგოეფექტურობის მაჩვენებლები ართმევის α_a წილზე დამოკიდებულებით ($\omega = 0.6$).
- ნახ.7. თეცში სათბობისთვის კუთრი ხარჯის $b_{\text{მ}}^{(6)}$ დამოკიდებულება და α_a პარამეტრებზე
- ნახ.8. ართმეული ორთქლის წილის გავლენა სათბობის ფარდობით ეკონომიაზე მიღებულია: $p_0=10$ მგპა; $t_0=550^{\circ}\text{C}$; $p_s=0.004$ მგპა; $p_{\text{არ}}$, მგპა: 1 - 0.14; 2 - 0.26.
- ნახ.9. ორთქლის საწყისი წნევის გავლენა სათბობის ფარდობით ეკონომიაზე; მიღებულია: $t_0=550^{\circ}\text{C}$; $p_{\text{არ}}=0.14$ მგპა; $\alpha=1$.
- ნახ.10. ართმეული ორთქლის რაოდენობის გავლენა სათბობის ფარდობით ეკონომიაზე მიღებულია $p_0=10$ მგპა; $t_0=550^{\circ}\text{C}$; $\sum \alpha=0.6$.
- ნახ.11. ორთქლის ართმევის ენერგეტიკული კოეფიციენტის $A_{\text{ა}}$ -ის დამოკიდებულება α_a და ω პარამეტრებზე (მიღებულია $\eta_{\text{ხა}}=0.8$, $\eta_{\text{აქ}}=0.332$).
- ნახ.12. ორთქლტურბინული დანადგარის ფარდობითი თბოფიკაციური სიძლავრე სხვადასხვა რეჟიმებში ($\alpha_a=0.1$) ω -ს ოთხი მნიშვნელობისთვის ($\eta_{\text{ტ}}^{(1)}=0.4047$, $\eta_{\text{ტ}}^{(2)}=0.981$)
- ნახ.13. ორთქლის ართმევის α_a წილის გავლენა თბოფიკაციური ტურბოდანადგარის სრულ $\eta_{\text{ტ}}$ და თეცის სრულ $\eta_{\text{მ}}$ მქ კოეფიციენტებზე
- ნახ.14. გრაფიკი თეცის ფუნქციონირებით გამოწვეული სათბობის ფარ-

დობითი ეკონომიის განსაზღვრისათვის - $\bar{B}_{\alpha} = f(\alpha, \omega)$ (მიღებულია: $\eta_{\alpha} = 0.332$, $\eta_{\omega} = 0.8$)

- ნახ.15.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული ელექტროენერგიის გამომუშავებაზე თეცის კერძო მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება α და ω პარამეტრებზე (მიღებულია: $\eta_{\alpha} = 0.332$, $\eta_{\omega} = 0.8$)
- ნახ.16.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული ელექტროენერგიის გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება α და ω პარამეტრებზე (მიღებულია: $\eta_{\alpha} = 0.332$, $\eta_{\omega} = 0.8$).
- ნახ.17.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული სითბოს გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება α და ω პარამეტრებზე (მიღებულია: $\eta_{\alpha} = 0.332$, $\eta_{\omega} = 0.8$)
- ნახ.18.** ორთქლის ართმევის ენერგეტიკული კოეფიციენტის A_{α} -ს დამოკიდებულება α და ω პარამეტრებზე. (მიღებულია $\eta_{\alpha} = 0.8$, $\eta_{\omega} = 0.37$)
- ნახ.19.** ორთქლურბინული დანადგარის ფარდობითი თბოფიკაციური სიმძლავრე სხვადასხვა რეჟიმებში ($\alpha=0-1$) ω -ს ოთხი მნიშვნელობისთვის ($\eta_{\alpha}^{I(\omega)}=0.4511$ $\eta_{\alpha}^{II}=0.981$)
- ნახ.20.** ორთქლის ართმევის α წილის გავლენა თბოფიკაციური ტურბოდანადგარის სრულ η_{α}^{III} და თეცის სრულ η_{ω}^{III} მქ კოეფიციენტებზე.
- ნახ.21.** გრაფიკი თეცის ფუნქციონირებით გამოწვეული სათბობის ფარდობითი ეკონომიის განსაზღვრისათვის - $\bar{B}_{\alpha} = f(\alpha, \omega)$ (მიღებულია $\eta_{\alpha} = 0.37$, $\eta_{\omega} = 0.8$)
- ნახ.22.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული ელექტროენერგიის გამომუშავებაზე თეცის კერძო მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება α და ω პარამეტრებზე (მიღებულია $\eta_{\alpha} = 0.37$, $\eta_{\omega} = 0.8$)
- ნახ.23.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული ელექტროენერგიის გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება α და ω პარამეტრებზე (მიღებულია $\eta_{\alpha} = 0.37$, $\eta_{\omega} = 0.8$).
- ნახ.24.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული სითბოს გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება α და ω პარამეტრებზე (მიღებულია $\eta_{\alpha} = 0.37$, $\eta_{\omega} = 0.8$)
- ნახ.25.** ორთქლის ართმევის ენერგეტიკული კოეფიციენტის A_{α} -ს დამოკიდებულება α და ω პარამეტრებზე. (მიღებულია $\eta_{\alpha} = 0.8$, $\eta_{\omega} = 0.46$.)

- ნახ.26.** ორთქლურბინული დანადგარის ფარდობითი თბოფიკაციური სიმძლავრე სხვადასხვა რეჟიმებში ($\alpha_a=0-1$) ა-ს ოთხი მნიშვნელობისთვის ($\eta_{\text{გ}}^{I(\beta)}=0,5608$, $\eta_{\text{გ}}=0,981$)
- ნახ.27.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული ელექტროენერგიის გამომუშავებაზე თეცის კერძო მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება α_a და ω პარამეტრებზე (მიღებულია $\eta_{\text{გ}}=0.46$, $\eta_{\text{სა}}=0.8$)
- ნახ.28.** გრაფიკი თეცის ფუნქციონირებით გამოწვეული სათბობის ფარდობითი ეკონომიის განსაზღვრისათვის $-\overline{B}_{\text{ა}}=f(\alpha_a, \omega)$ (მიღებულია $\eta_{\text{გ}}=0.46$, $\eta_{\text{სა}}=0.8$)
- ნახ.29.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული ელექტროენერგიის გამომუშავებაზე თეცის კერძო მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება α_a და ω პარამეტრებზე (მიღებულია $\eta_{\text{გ}}=0.46$, $\eta_{\text{სა}}=0.8$)
- ნახ.30.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული ელექტროენერგიის გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება α_a და ω პარამეტრებზე (მიღებულია $\eta_{\text{გ}}=0.46$, $\eta_{\text{სა}}=0.8$).
- ნახ.31.** პროპორციული მეთოდით განსაზღვრული სითბოს გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება α_a და ω პარამეტრებზე (მიღებულია $\eta_{\text{გ}}=0.46$, $\eta_{\text{სა}}=0.8$).
- ნახ.32.** სათბობის ფარდობითი ეკონომიის დამოკიდებულება ორთქლტურბინულ თეცში ჩასანაცვლებელი კესის მქ კოეფიციენტზე (მიღებულია $\omega=0.4$).
- ნახ.33.** სათბობის ფარდობითი ეკონომიის დამოკიდებულება ორთქლტურბინულ თეცში ჩასანაცვლებელი კესის მქ კოეფიციენტზე (მიღებულია $\omega=0.6$).
- ნახ.34.** ოტდ-თეცის სრული მქ კოეფიციენტის ორთქლის ართმევის წილზე დამოკიდებულებით
- ნახ.35.** კონდენსაციური K-150-130 ტურბინის პრინციპული თბური სქემა
- ნახ.36.** თბური პროცესი K-150-130 ტურბინისათვის is – დიაგრამაზე.
- ნახ.37.** სათბობის წლიური ეკონომიის ღირებულების დამოკიდებულება ენერგობლოკის მუშაობის წლიურ ხანგრძლივობაზე, როცა $\eta_a=0,143$ დოლ/მ³ და 1 - $N_{\text{გ}} = 133$ მგვტ, $\eta = 33,2 \%$ და 2 - $N_{\text{გ}} = 150$ მგვტ, $\eta = 33,53 \%$.
- ნახ.38.** ნახევრადპიკური აირტურბინული თეცის პრინციპული სქემა
- ნახ.39.** თბომაგენერირებელი ენერგოდანადგარის უმარტივესი პრინციპული სქემა წარმავალი აირების დრმა გაცივებით
- ნახ.40.** სათბობის ფარდობითი ეკონომიის (ა) $\overline{B}_{\text{ა}} = f(\omega)$ და კუთრი ხარჯები (ბ) $b_{\text{გ}}^{\text{წ}} = f(\omega)$ შედარება ორთქლტურბინულ თეცსა (უწყვეტი ხაზები) და აირტურბინულ ბლოკ-თეცში (წყვეტილი ხაზები); მიღებულია: $\eta_{\text{გ}}=0,37$; $\eta_{\text{სა}}=0,8$; $\eta_{\text{ო}}=0,9$; $\eta_{\text{გ}}=0,97$; $\eta_{\text{გ}}=0,98$;

- ნახ.41.** ელექტროენერგიის ტარიფის $C_{\text{ტარ}}$ გავლენა კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადაზე $T_{\text{ვადა}}$
- ნახ.42.** FT8 Twin Pas ატდ-ის ელექტრული სიმძლავრისა და მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.43.** გარე ჰაერის ტემპერატურის გავლენა FT8 Twin Pas ატდ-ის სითბოს კუთრ ხარჯზე
- ნახ.44.** FT8 Twin Pas ატდ-ის წარმავალი აირების ტემპერატურის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.45.** ატ-თეცის თბური სიმძლავრის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.46.** FT8 Twin Pas ატდ-ის სათბობის ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.47.** FT8 Twin Pas ატდ-ის ელექტროენერგიის გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.48.** FT8 Twin Pas ატდ-ის სითბოს გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.49.** სათბობის ფარდობითი ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.50.** დისკონტირებული შემოსავალი 5 წლის განმავლობაში, როცა $C_{\text{ტარ}}=4,79$ ცენტი/(კვტ.სთ)
- ნახ.51.** დისკონტირებული შემოსავალი 5 წლის განმავლობაში, როცა $C_{\text{ტარ}}=5,08$ ცენტი/(კვტ.სთ)
- ნახ.52.** დისკონტირებული შემოსავალი 5 წლის განმავლობაში, როცა $C_{\text{ტარ}}=5,39$ ცენტი/(კვტ.სთ)
- ნახ.53.** დისკონტირებული შემოსავალი 5 წლის განმავლობაში, როცა $C_{\text{ტარ}}=5,69$ ცენტი/(კვტ.სთ)
- ნახ.54.** ელექტროენერგიის ტარიფის $C_{\text{ტარ}}$ გავლენა NPV-ზე
- ნახ.55.** ატდ-ის რთული სქემა ჰაერის ორსაფეხურიანი შეკუმშვით, შუალედური გაცივებით და რეგენერაციით
- ნახ.56.** ატდ-ის რთული სქემა ჰაერის ერთსაფეხურიანი შეკუმშვით, რეგენერაციით და სითბოს შუალედური მიწოდებით
- ნახ.57.** ატდ-ის რთული სქემა ჰაერის ერთსაფეხურიანი შეკუმშვით, შუალედური გაცივებით, რეგენერაციით და სითბოს შუალედური მიწოდებით
- ნახ.58.** ატდ-ის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.59.** გარე ჰაერის ტემპერატურის გავლენა და პარამეტრზე
- ნახ.60.** ატდ-ის ელექტრული მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.61.** ატდ-ის თბური სიმძლავრის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.62.** პირობითი სათბობის კუთრი ხარჯის ეკონომიის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე

- ნახ.63.** სათბობის ფარდობითი ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.64.** სათბობის ექონომიის ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე
- ნახ.65.** დიზელ-დანადგარის ნამუშევარი სითბოს გამოყენების პრინციპული სქემა
- ნახ.66.** ბინარული და მონარული ორთქლაირული დანადგარების ძირითადი სქემები
- ნახ.67.** ორთქლაირული თეცის პრინციპული სქემა T ტიპის ტურბინით
- ნახ.68.** ქვაბ-უტილიზატორიანი თბოფიპაციური ოტლ-ის პრინციპული სქემა
- ნახ.69.** ქვაბ-უტილიზატორიანი აოტლ-თეცის პრინციპული თბური სქემა
- ნახ.70.** აოტლ-თეცის მაჩვენებლები ატლ-ის მქ კოეფიციენტები დამოკიდებულებით, როცა $\eta_{\text{ოტლ}} = 0,46$, $\alpha = 0,7$, $\omega_{\text{ოტლ}} = 0,6$, $\beta = 0,2$, $\eta_{\text{კბ}} = 0,37$, $\eta_{\text{საქ}} = 0,8$, $\eta_{\text{ტ}} = 0,97$
- ნახ.71.** დამოკიდებულება $\bar{B}_{\text{აქ}} = f(\omega_{\text{ოტლ}})$ აოტლ-თეცისათვის, როცა $\eta_{\text{კბ}} = 0,37$, $\eta_{\text{საქ}} = 0,8$, $\eta_{\text{ტ}} = 0,4$, $\omega_{\text{ოტლ}} = 0,6$, $\Delta t_{\text{წარ}} = 100^{\circ}\text{C}$.

შესავალი

ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდი უურადღება ეთმობა ელექტრული და თბური ენერგიების კომბინირებულ გამომუშავების (კოგენერაციის) სისტემების განვითარებას. კოგენერაცია აღიარებულია ენერგოდამზოგი პოლიკიტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. იგი უზრუნველყოფს ორგანული სათბობისა და კაპიტალდაბანდებების ყველაზე რაციონალურად გამოყენებას და ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს კოგენერაციის ინტენსიურ განვითარებას, მათ შორის: კოგენერაციის საგადასახადო სტიმულირება; პრემიების გადახდა ყოველ გამომუშავებულ კილოვატსათ ენერგიაზე; ზოგგან მცირე სიმძლავრის კოგენერაციულ სადგურებს მინიჭებული აქვთ პრიორიტეტი არსებული ელექტრული ქსელების გამოყენების თვალსაზრისით, შემცირებულია გადასახადი ბუნებრივ აირზე, რომელიც გამოიყენება კოგენერაციაში; ბევრ ქვეყანაში შემცირებულია აგრეთვე ეპოლოგიური გადასახადი კომბინირებული მეთოდით სხვადასხვა ტიპის თეცებში წარმოებულ ენერგიაზე. გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთ ქვეყანაში შემცირებულია დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) კოგენერაციული სისტემებისათვის. ასეთი ღონისძიებები უნდა დამუშავდეს და მიღებული იქნეს საქართველოშიც, რაც წაადგება ჩვენი ენერგეტიკის (მათ შორის კოგენერაციის) შემდგომ განვითარებას.

2004 წლის დასაწყისში ევროკომისიამ მიიღო ახალი დირექტივა კოგენერაციის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ სტრატეგიას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და აწესებს სტიმულებს კოგენერაციული სისტემების დაწერვისათვის. ამასთან, კოგენერაციულ სადგურებად ითვლება მხოლოდ ისეთები, რომლებშიც სათბობის სითბოს გამოყენების ხარისხი არის არანაკლებ 75%.

კოგენერაციის განვითარების აუცილებელი პირობებია: უნდა იზრდებოდეს მოთხოვნა სითბოსა და ელექტროენერგიაზე ან უნდა

არსებობდეს ინვესტირების შესაძლებლობები, რომ მოხდეს არსებული სიმძლავრეების შეცვლა და მოძველებული ენერგოდანადგარების რეკონსტრუქცია.

საქართველოში კოგენერაციის განვითარებას სჭირდება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. კოგენერაცია საქართველოში ამჟამად ძალზე სუსტად არის განვითარებული, რაც დიდ ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას.

საქართველოში, სადაც ელექტრული სიმძლავრეების მნიშვნელოვანი დეფიციტია (განსაკუთრებით ბაზისურის) და დაუკმაყოფილებელია თბური დატვირთვების დიდი ნაწილი კომუნალური და სამრეწველო სექტორში, ყველა პირობა არსებობს კოგენერაციის ინტენსიური განვითარებისთვის. ამისათვის საჭიროა სათანადო კანონმდებლობა, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტური გამოყენება.

გადამწყვეტი მნიშვნელობა კოგენერაციის განვითარებისთვის აქვს მისან მიღებული ეკონომიკური მოგების სამართლიან განაწილებას წარმოებულ ელექტრულ და თბურ ენერგიებს შორის. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში იყენებენ განაწილების ახალ, ეწ. პროპორციულ მეთოდს, რომელიც მიჩნეულია ყველაზე სამართლიანად. ვთვლით, რომ საქართველოს მომავალ კოგენერაციულ სადგურებშიც გამოყენებულ უნდა იქნეს ეს პროპორციული მეთოდი.

კოგენერაცია ენერგეტიკული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. კოგენერაცია მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთს სითბოსა და ელექტროენერგიის ბაზრებს. დანახარჯების განაწილების წესი ამ ორ სახის ენერგიებს შორის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სითბოსა და ელექტროენერგიის კონკურენტუნარიანობაზე.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. კოგენერაცია – ენერგოდაზოგვის ეფექტური მეთოდი და მისი როლი ენერგოსისტემის განვითარებაში

სითბოსა და ელექტროენერგიის კომპინირებული გამომუშავება - კოგენერაცია აღიარებულია მსოფლიოში ენერგოდამზოგი პოლიტიკის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების ერთ-რთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად. კოგენერაცია უზრუნველყოფს ორგანული სათბობის, ფინანსური და შრომითი რესურსების დიდ ეკონომიას. ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამჟამად კი დსთ-ს რესპუბლიკებში, კოგენერაციამ ძალზე დიდი გამოყენება პპოვა, რაც განპირობებულია ენერგომომარაგების სხვა მეთოდებთან შედარებით კოგენერაციის დიდი ენერგეტიკული, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უპირატესობებით. დადგენილია [1], რომ ენერგოწარმოების განცალკევებულ მეთოდთან შედარებით (ელექტროენერგია-სრესებში, სითბო-საქვაბებებში), ორთქლტურბინული თეცები უზრუნველყოფს ორგანული სათბობის 25...30%-იან ეკონომიას. ყოველ გაცემულ გიგაზოულ (გჯ) სითბოზე საშუალოდ იზოგება 15 კგ პირობითი სათბობი (კ.ს.). სხვადასხვა ავტორების შეფასებით [1...3], 1970 წელს საბჭოთა კავშირში კოგენერაცია უზრუნველყოფდა 20...25, 1985 წელს - 35...39 და 1988 წელს დაახლოებით 45 მლნ.ტ.კ.ს. წლიური ეკონომიას.

მძლავრი თეცები აშენებულია შვეციაში, აშშ-ში, იაპონიაში და ევროპის მრავალ ქვეყანაში. შვეცია პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც გამოიყენეს ატომური ენერგია კოგენერაციის მიზნებისთვის (ატომური თეცი სტოკოლმში). თეცების მშენებლობის მასშტაბები განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, თბური დატვირთვების სიდიდითა და კონცენტრაციით, აგრეთვე ენერგოსისტემაში მოქმედი სხვა ელექტროსადგურების სტრუქტურული შემადგენლობითა და მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლებით. სხვადასხვა ქვეყანაში მოჰყავთ

განსხვავებული მონაცემები მინიმალურად მიზანშეწონილი თბური დატვირთვის შესახებ, რომლის დროსაც ეფექტურია თბომომარაგების კომბინირებული სქემის გამოყენება. დატვირთვის აღნიშნული მინიმუმი განისაზღვრება თბომომარაგებისთვის გამოყენებული სათბობის სახეობით, მისი ღირებულებით, თესებისა და საქვაბეების სრულყოფის ხარისხით, მათი ენერგოდანადგარების ღირებულებით, კლიმატოლოგიური ფაქტორებითა და სხვ. მინიმალურად მიზანშეწონილი თბური დატვირთვა იცვლება 300 გჯ/სთ (~80 მგვტ)-დან პოლონეთ-ში, 1050 გჯ/სთ (290 მგვტ)-მდე შვეციაში. რუსეთში ეს სიდიდე შეადგენს 1450...2100 გჯ/სთ (~400...580 მგვტ) [3].

კოგენერაცია თბოენერგეტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია. იგი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ტექნიკურ პროგრესს ამ დარგში. კოგენერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სათბოძენერგეტიკული ბალანსის რაციონალურ ფორმირებაში, და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიაში სითბოსა და ელექტროენერგიის გამომუშავებისას. სათბობის განუხრელი გაძვირების პირობებში კოგენერაციის ეფექტურობა მომავალში უფრო გაიზრდება.

უკანასკნელ წლებში თანდათან იცვლება ზოგადი მიდგომა თეცების დანიშნულებისადმი, რომლებიც განიხილება უკვე არა როგორც თბომომარაგების ლოკალური წყარო, არამედ როგორც ენერგოსისტემის სტრუქტურული ქვედანაყოფი მათზე დაკისრებული სისტემური ფუნქციებით. თეცები წარმოადგენს ძირითადად ენერგოსის-ტემის ბაზისური სიმძლავრის წყაროს, მაგრამ ამჟამად ზოგიერთ ქვეყანაში მეტად აქტუალური ხდება მათი მონაწილეობა ენერგოსისტემის დატვირთვის გრაფიკის ცვლადი ნაწილის რეგულირებაში. მაგრამ თეცების მანევრული თვისებების გაუმჯობესება რამდენადმე ამცირებს კომბინირებული ენერგოწარმოების ძირითად უპირატესობას.

კოგენერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სათბობის წვის პროდუქტებისგან გარემოს დაცვის საქმეში. როგორც გაანგარიშებებმა უჩვენა [3], რამდენიმე რაიონული საქვაბის ნაცვლად ერთი მძლავრი (400...500 მგვტ) თეცის აშენებით, ერთნაირი სახის სათბობის გამოყენებისას, ქა-

ლაქების ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია 5...10 ჯერ მცირდება, თუმცა სათბობის ხარჯი თეცში დაახლოებით 1,5ჯერ მეტია, ვიდრე საქვაბეებში. კოგენერაციის მეშვეობით მავნე ნივთიერებების ჯამური გატყორცხა ატმოსფეროში მცირდება დაახლოებით 15%-ით.

კოგენერაცია, სათბობის ეკონომიისა და გარემოს გაჯანსაღების გარდა, უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის რაოდენობის შემცირებას მცირე საქვაბეებში მომუშავეებთან შედარებით 5...7-ჯერ და შრომის ნაყოფიერების გაზრდას 8...10-ჯერ, აგრეთვე ელექტრომომარაგების საიმედოობის გადიდებას [4].

მიუხედავად მრავალი უპირატესობისა, კოგენერაცია საქართველოში ძალზე სუსტად იყო განვითარებული. თბილისი ერთადერთი მილიონიანი ქალაქი იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, სადაც არ აშენებულა არც ერთი მძლავრი თეცი.

სულ (თბილთეცის ჩათვლით) ჩვენთან არსებობდა 6 თეცი (ცხრილი 1) [4].

ცხრილი 1

თეცის დასახელება და დანიშნულება	დადგმული სიმძლავრე		
	ელექტრული, მგვტ	თბური	
		გალ/სთ	მგვტ
სამრეწველო:			
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის	149	414,7	482,2
ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის	19,55	230	267,5
აგარის შაქრის ქარხნის	2,5	66	76,7
ენგურის ქადალდკომბინატის	2,5	84	97,7
სათბიოერებელი:			
თბილისის	18	131	152,3
სამრეწველო-სათბიოერებელი:			
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის	5,7	70	81,4
სულ	197,25	995,7	1157,8

აქედან ყველაზე მძლავრი იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხის თეცი (149 მგვტ). ექვსივე თეცის ჯამური ელექტრული სიმძლავრე შეადგენდა დაახლოებით 200 მგვტ-ს, თბური სიმძლავრე ~1000 გკალ/სთს (1160 მგვტ). ამ სადგურების ტურბოაგრეგატები ძირითადად მოძველებული ტიპისა იყო, მუშაობდნენ თრთქლის დაბალ საწყის პარამეტრებზე, ამიტომ კომბინირებული ენერგოწარმოებით განპირობებული ეფექტი იყო უმნიშვნელო. იყო რამდენიმე მცდელობა დაეპროექტებინათ და აეშენებინათ თბილისის მახლობლად ახალი მძლავრი თეცი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერც ერთი პროექტი ვერ განხორციელდა.

1975 წ. მოსკოვის ინსტიტუტმა ВНИПИეнергопром-მა დაამუშავა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებდა ქ. თბილისში მძლავრი კოგენერაციული სისტემის შექმნას. იგი გააერთიანებდა 750/1000 მგვტ ელექტრული სიმძლავრის ახალ თეცს T-250-240 ტურბინების ბაზაზე და არსებულ რაიონულ საქვაბებს, რომლებიც გადაყვანილი იქნებოდა მუშაობის სარეზერვო-პიკურ რეჟიმში. ახალ სისტემას უნდა უზრუნველყო თბილისის და რუსთავის ენერგომომარაგება პერსპექტივაშიც; თეცი მნიშვნელოვნად შეამცირებდა ბაზისური სიმძლავრის დეფიციტს საქართველოს ენერგოსისტემაში.

უკანასკნელად ახალ-თბილთეც-2-ის შექმნა გათვალისწინებული იყო მარნეულის მახლობლად. სათანადო ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება შეასრულა ВНИПИენერგოპრომ-ის ურალის განყოფილებამ. პროექტი ითვალისწინებდა 675/765 მგვტ დადგმული სიმძლავრის ორთქლაირული თეცის მშენებლობას სამი ПГУ-250 ბლოკის გამოყენებით. თითოეული ბლოკის შემადგენლობაში იქნებოდა მაღალი დაწნევის ორთქლგენერატორი ВПГ-600, აირტურბინული დანადგარი ГТ-45-850 და ტურბოაგრეგატი T-180/210-130. ახალი თბილთეცის ენერგეტიკული სიმძლავრეების ექსპლოატაციაში შევვანა გათვალისწინებული იყო 1995-997 წლებში. ამ თეცის ფუნქციონირებით საქართველოში ყოველწლიურად დაიზოგებოდა დაახლოებით 500 ათასი ტ.კ.ს., მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა ჩვენი ენერგოსისტემის მაგნიტურიებელი სიმძლავრე-ების სტრუქტურა და დედაქალაქის საპატიო აუზის ეკოლოგიური მდგომა-

რეობა. სამწუხაროდ, არც ამ პროექტს ეწერა განხორციელება. ასე მივედით დღევანდელ ენერგოკრიზისამდე, ბაზისური სიმძლავრის მქაფრ დეფიციტამდე, ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემების სრულ მოშლამდე.

ამრიგად, საქართველოში, ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, მძლავრი თეცები არ გვაქვს. სომხეთში, მაგალითად, ფუნქციონირებს რამდენიმე მსხვილი თეცი (ერევნის, რაზდანისა და სხვ.).

ადრე კოგენერაცია მსოფლიოში ძირითადად ორთქლტურბინულ თეცებზე იყო დაფუძნებული, თუმცა ასეთ თეცებს გარკვეული ხარვეზები ახასიათებს: ეკონომიკურად არ მართლდება მცირე და საშუალო თბური დატვირთვების დროს; თეცის დადგმული სიმძლავრის ხვედრითი ღირებულება (დოლარი/კვტ) კონდენსაციურ სადგურთან (სრესთან) შედარებით მაღალია; თბოფიკაციური ტურბოაგრეგატების რეგულირებადი ართმევები სხვადასხვა მიზეზის გამო [3] ხშირად არ არის სრულად დატვირთული სითბოს მიხედვით საათურ და წლიურ ჭრილში; მაგისტრალურ თბურ ქსელებში სითბოს დანაკარგები საქმაოდ დიდია; ადგილი აქვს აქვდან წყლის გაჟონებს; დიდია ელექტროენერგიის ხარჯი ქსელის წყლის გადაქაჩვაზე, განსაკუთრებული, ექსპლუატაციის იმ რეჟიმებში, როდესაც ქსელის წყლის ტემპერატურა უკუმაგისტრალში საპროექტო სიდიდეზე მაღალია. გარდა ჩამოთვლილისა, ორთქლტურბინულ თეცებს სხვა ხარვეზებიც ახასიათებს, რომლებიც 20...30%-ით (დაზოგჯერ მეტით) ამცირებს ენერგოსისტემაში კომბინირებული ენერგოწარმოებით განპირობებულ სათბობის საანგარიშო ეკონომიკას. ამის მიზეზებია: ზაფხულში-თეცებში ელექტროენერგიის დიდი ნაწილის კონდენსაციური ნაკადებით გამომუშავება, ზამთრის პერიოდში - თეცის ტურბინების დაბალი წნევის ნაკადის (დწნ) დაბალი მქე კოეფიციენტი, როდესაც იქ გაედინება ორთქლის ძალიან მცირე რაოდენობა - საგენტილაციო ნაკადი, და სხვ. [1,6].

კრიზისული მოვლენები საქართველოს ენერგეტიკაში განპირობებულია ორგანული სათბობის მწვავე დეფიციტით და მისი გაძვირებით მსოფლიო ბაზარზე, ენერგოსისტემაში მაგენერირებელი სიმძლავრების

არაოპტიმალური სტრუქტურით და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვენს ქალაქში ადრე არსებული ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემების სრული მოშლით. მთელი რიგი მიზეზების გამო ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემები, ჩვენს ქალაქებში, არ ფუნქციონირებს და მომხმარებლების სითბოთი მომარაგება ან საერთოდ არ წარმოებს ან ხორციელდება ინდივიდუალური და ავტონომიური სითბოს წყაროებიდან, რაც საკმაოდ ძვირია, არაეფექტური და ეკოლოგიურად გაუმართლებელი.

ცნობილია, რომ ელექტროენერგიის გამოყენება გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისათვის აღრმავებს კრიზისულ მოვლენებს ელექტროენერგეტიკაში. გერმანელი სპეციალისტების შეფასებით [7] მარტო თბილისში დამატებითი მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, რომელიც განპირობებულია ელექტროგასათბობი ხელსაწყოების გამოყენებით ბინებში, საზოგადოებრივ შენობებსა და დაწესებულებებში, შეადგენს მინიმუმ 470 მეგავატს.

ამრიგად, ჩვენთან ენერგოკრიზისი ორმხრივია: კრიზისი ელექტრომომარაგებაში და კრიზისი თბომომარაგებაში.

ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა ბევრად არის დამოკიდებული ენერგოსისტემის მაგენერირებელი სიმძლავრეების ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. ორგანული სათბობის გაძვირება და მისი მარაგის თანდათანობით შემცირება ძალზედ აქტუალურს ხდის მთელ მსოფლიოში ამ სათბობის გამოყენების ეფექტურობის გაზრდის (ენერგოდაზოგვის) გზების ძიებას.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში უნდა განვითარდეს კოგენერაციის ახალი სახეობა, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე მაღალექონომიური აირტურბინული დანადგარებისა (ატდ) და, ნაწილობრივ, დგუშიანი ძრავების გამოყენებაზე [8]. დიდი ეფექტურობით (58÷60%-მდე) ხასიათდება ორთქლაირული დანადგარები.

აირტურბინული ბლოკ-თეცების შექმნა და დანერგვა საქართველოში ძალზე აქტუალური პრობლემაა, ვინაიდან საქმე ეხება იმ მეტად ძვირადღირებული სათბობის (უმთავრესად, ბუნებრივი აირის) დიდ ეკონომიას, რომლის შექმნა ჩვენ გვიხდება უცხოეთში. მსოფლიოს ბევრ

განვითარებულ ქვეყანაში უკვე მრავლად არის აშენებული სხვადასხვა სიმძლავრის (რამდენიმე ათეული კილოვატიდან ათეულ და ასეულ მეგავატამდე) აირტურბინული ატ-თეცები. ასეთი სადგურები გაცილებით უფრო მომგებიანია, როგორც საერთო ეკონომიკურობის თვალსაზრისით, ასევე ხვედრითი კაპიტალური დაბანდებების მიხედვით, ვიდრე ტრადიციული ორთქლტურბინული თეცები. ქვაბ-უტილიზატორებით აღჭურვილი 25 მგვტ-მდე სიმძლავრის თბოფიკაციური აირტურბინული დანადგარების განთავსება რაიონულ საქვაბებში იძლევა საშუალებას 25...30%-ით შემცირდეს, ორთქლტურბინულ თეცთან შედარებით, სათბობის კუთრი ხარჯი 1 კვტ.სთ გაცემულ ელექტროენერგიაზე, 2...2,5-ჯერ მომსახურე პერსონალის ხვედრითი რაოდენობა და 1,7...2-ჯერ კუთრი ლითონტეგადობა [9].

აირტურბინულ თეცებს გააჩნიათ შემდეგი უპირატესობანი:

- თბოელექტრომომარაგების განცალკევებულ მეთოდთან შედარებით, ისინი უზრუნველყოფენ $35\div40\%$ -მდე სათბობის ეკონომიას; სათბობის სითბოს გამოყენების კოეფიციენტი (სრული მქ კოეფიციენტი) ასეთ სადგურებში ძალზე მაღალია - $85\div90\%$. სათბობის კუთრი ხარჯი გამომჟმავებულ კილოვატსათ ელექტროენერგიაზე მინიმალურია - $150\div200$ გკ.ს/(კვტ.სთ) [6,10,11]. მისი თვითღირებულება ოპტიმალურ პორტებში არ აღემატება $2\div2,4$ ცენტს/(კვტ.სთ);
- ტრადიციული ორთქლტურბინული თეცებისაგან განსხვავებით აირტურბინული თეცების გამოყენება ეკონომიკურად მიზანშეწონილია მცირე და საშუალო თბური დატვირთვების დროსაც; ასეთი დატვირთვები კი გვაქვს ჩვენი ქალაქების და დასახლებული პუნქტების უმრავლესობაში. ამიტომ აირტურბინული თეცების გამოყენება მნიშვნელოვნად გააფართოებს საქართველოში კოგენერაციის გავრცელების არეალს; ისინი შეიძლება შეიქმნას როგორც ცენტრალიზებული, ასევე დეცენტრალიზებული (ავტონომიური) თბომომარაგების პორტებში;
- მძლავრ ორთქლტურბინულ და ორთქლაირულ თეცებთან შედარებით აირტურბინული თეცების შექმნისას კაპიტალდაბანდებები გამოიყენება

- უფრო ეფექტურად; მათი გამოსყიდვის ვადა მცირეა და არ აღემატება 3÷5 წელს [6]; აგრეგატების ბლოკურ-მოდულური შესრულების გამო აირტურბინული თეცები სწრაფად შენდება; ატლების მონტაჟი და ექსპლუატაციაში გაშვება წარმოებს ეტაპობრივად – თბური დატვირთვების ზრდის მიხედვით, ამიტომ არ არსებობს კაპიტალის ხანგრძლივი „გაყინვის“ რისკი. ეს აირტურბინული თეცების დიდი უპირატესობა და წარმოედგენს უცხოელი ინვესტორის მოზიდვის ერთ-ერთ მთავარ პირობას;
- ასეთი თეცები ხასიათდება დაბალი საექსპურტაციო ხარჯებით; ატლები მარტივი და ექსპუატაციაში საიმედო აგრეგატებია. მათი გაშვების და რეჟიმის შეცვლის დრო მინიმალურია, შესაძლებელია ატლების მართვის სრული ავტომატიზაცია;
 - მომხმარებლებთან სიახლოვის გამო აირტურბინული თეცებისათვის საჭირო არ არის გრძელი თბოტრასების გაყვანა, ამიტომ სითბოს დანაკარგები თბოქსელებიდან მინიმალურია; ასევე მცირეა ელექტროენერგიის დანაკარგები ელექტროგადამცემ ხაზებში;
 - საქვაბეებთან შედარებით ასეთი თეცები ეკოლოგიურად უფრო სუფთაა; ისინი თითქოს არ საჭიროებენ მაცივებელ წყალს, ამიტომ მათი დისლოკაციის ადგილი, ორთქლტურბინული და ორთქლაირული თეცებისაგან განსხვავებით, არ არის ხისტად მიბმული წყლის მძლავრ წყაროსთან.

აირტურბინული თეცების ეკონომიურობაზე დიდ გავლენას ახდენს დადგმული სიმძლავრის გამოყენების საათების რიცხვი ანუ ელექტრული დატვირთვის გრაფიკში მათი განთავსების ზონა. ეკონომიურობის ყველაზე მკვეთრი დაცემა მოხდება მაშინ, როცა აღნიშნული პარამეტრიც იქნება 1500 სთ/წლ-ზე ნაკლები, ამიტომ ეს სიდიდე უნდა განვიხილოთ როგორც ქვედა ზღვარი [3]. მაქსიმალური ეფექტურობა ექნებათ ატ-თეცებს, რომლებიც შეიქმნება სამრეწველო საქვაბეების ბაზაზე, ვინაიდან ტექნოლოგიური თბური დატვირთვა უფრო ხანგრძლივი და სტაბილურია წლის განმავლობაში, ვიდრე გათბობის დატვირთვა.

აირტურბინული თეცების გამოყენების მასშტაბების ზრდას მსოფლიოში ხელს უწყობს ელექტროენერგიაზე ფასების გადიდების არსებული ტენდენცია, მიუხედავად ელექტროსადგურებში დადგმული სიმძლავრების არსებული რეზერვებისა, აშშ-ში ყოველწლიურად ექსპლუატაციაში შედის ახალი ატ-თეცები. შენდება ისინი აგრეთვე გერმანიაში, იაპონიაში, დანიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. რუსეთი, აგრეთვე დსთ-ში შემავალი სხვა ქვეყნები, ბლოკ-თეცების შექმნის თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩნენ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

აირტურბინული თეცების გამოყენების პრობლემის აქტუალურობა განისაზღვრება იმით, რომ უმარტივესი სქემის ატდ-ებიც კი, რომლებიც მუშაობენ აირების შედარებით დაბალი საწყისი ტემპერატურით ($750\ldots900^{\circ}\text{C}$), უზრუნველყოფენ თბოენერგომომარაგების კომბინირებული სქემის ყველა მაჩვენებლის გაუმჯობესებას [3,6,9]. ამ ტემპერატურის გადიდებისას ატ-თეცების თბური ეკონომიურობა მნიშვნელოვნად იზრდება. ამჟამად სტაციონარულ ატდ-ებში მიღწეულია აირების საწყისი ტემპერატურის მაქსიმალური მნიშვნელობა – $1150\ldots1200^{\circ}\text{C}$. უკვე გამოშვებულია ექსპერიმენტული დანადგარები ტემპერატურით $1250\ldots1400^{\circ}\text{C}$. დასაბუთებულია [6,9], რომ ენერგეტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ატ-თეცების შექმნა მიზანშეწონილია უპირატესად უმარტივესი სქემის ატდ-ების ბაზაზე, ვინაიდან ჰაერის შუალედური გაცივების გამოყენება მნიშვნელოვნად ართულებს და აძვირებს ატ-თეცების ტექნოლოგიურ მოწყობილობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ტიპის რთული სქემების აირტურბინული დანადგარების გამოყენება ატ-თეცებში უზრუნველყოფს სათბობის ეკონომიის გაზრდას ენერგოსისტემაში საშუალოდ $20\div25\%-ით$, უმარტივესი სქემის ატდ-ების გამოყენებასთან შედარებით.

ატდ-დან სითბოს გაცემის პირობებს აქვს რამდენიმე სპეციფიკური თავისებულება, რომლებითაც აირტურბინული თეცები ძლიერ განსხვავდება ტრადიციული ორთქლტურბინული თეცებისგან. ატდ-ის წარმავალი აირების ტემპერატურა შეადგენს $400\ldots550^{\circ}\text{C}$ -ს; ამ აირების

სითბო სავსებით საკმარისია, როგორც ტექნოლოგიური ორთქლის მი-
საღებად ქვაბ-უტილიზაციონურებში, ასევე გათბობის სისტემების ქსელის
წყლის გასაცხელებლად. ვინაიდან ატდ-ში აირებმა უკვე იმუშავეს ძა-
ლოვან ციკლში, ამიტომ გაცემული წყლის (ან ორთქლის) ტემპერატუ-
რული დონე გავლენას არ ახდენს სათბობის ხარჯზე, ე.ი. ის პრაქტი-
კულად ისეთივე რჩება, როგორც ატდ-ის მუშაობისას წმინდა ძალურ
რეჟიმში. ამრიგად, სათბობის ხარჯი ატდ-ის წვის კამერაში განი-
საზღვრება მხოლოდ მისი ელექტრული დატვირთვით და არ არის და-
მოკიდებული გაცემული სითბოს რაოდენობაზე, ე.ი. სითბოს გაცემა
თბოფიკაციურ ატდ-ებიდან არ მოითხოვს სათბობის დამატებით ხარჯს.
ამით ისინი მკვეთრად განსხვავდება თბოფიკაციური ორთქლის ტურბი-
ნებისგან: მათგან სითბოს გაცემა, მუდმივი ელექტრული სიმძლა-
ვრის პირობებში, დაკავშირებულია
სათბობის ხარჯის გადიდებასთან [2].

ვინაიდან აირტურბინული ატ-თეცებიდან გაცემული ცხელი წყ-
ლის ტემპერატურა გავლენას არ ახდენს სათბობის ეკონომიაზე ამიტომ
თბოქსელში მიმავალი ცხელი წყლის ეკონომიურად ოპტიმლური ტემ-
პერატურა გაცილებით უფრო მაღალია- $200...230^{\circ}\text{C}$, ვიდრე ორთქლტურ-
ბინულ თეცებში. ეს 20...40%-ით ამცირებს თბოქსელების ღირებულებას,
აგრეთვე ელექტროენერგიის ხარჯს ქსელის წყლის გადაქაჩაზე.

მსოფლიო პრაქტიკაში ატდ-ებით აღჭურვილი ელექტროსადგურე-
ბის ხელშეკრუნვით ღირებულება ორთქლტურბინული თეცების ღირებულე-
ბის 58÷60%-ს შეადგენს, ხოლო ორთქლაირული თეცებისა - 70÷80%-ს.
დიზელდანადგარები ატდ-ებთან შედარებით, ხასიათდება უფრო მაღალი
ლითონტევადობით და გაბარიტებით, ამიტომ მათი ხელშეკრუნვით ღირებუ-
ლება 30%-ით მეტია, ვიდრე ატდ-ებისა [12].

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ არსებული სხვადასხვა ტიპის
კოგენერაციული სადგურებიდან ყველაზე იაფი, ამასთან ენერგოეფექტუ-
რი და ეკოლოგიურად სუფთაა აირტურბინული თეცები. თრადიციულ
ორთქლტურბინულ თეცებთან შედარებით მათ ის უპირატესობაც აქვთ,

რომ მოცემული თბური დატვირთვის ბაზაზე შეუძლიათ ~50%-ით მეტი ელექტროენერგიის გამომუშავება [10].

საქართველოში აირტურბინული თეცები უნდა აშენდეს ეტაპობრივად, ადრე არსებული რაიონული, კვარტალური და სამრეწველო საქაბეების ბაზაზე თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავში, გორში და სხვ. [8]. მარტო თბილისში პირველ უტაკზე შეიძლება შეიქმნას 5÷6 ასეთი თეცი დადგული ჯამური სიმძლავრით არანაკლებ 500 მგვტ. ისინი უნდა აღიჭურვოს მოწინავე უცხოური ფირმების (სიმენსი, ჯენერალ-ელექტრიკი, როლს-როისი და სხვ.) მაღალეფებური აირტურბინული დანადგარებით. პერსპექტივაში საქართველომ აირტურბინული კოგენერაციის ბაზაზე შეიძლება მიიღოს 1500 მგვტ-მდე ბაზისური სიმძლავრეები, რომელთა ამოქმედება საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად დავზოგოთ დაახლოებით 1 მლრდ. კუბ. მეტრი ბუნებრივი აირი. გათბობის დატვირთვის გარდა, ჩვენთან საკმაოდ დიდია მთელი წლის განმავლობაში არსებული ცხელწყალმომარაგების დატვირთვა (თბილისში მაგალითად, ის 27,4%-ს შეადგენს) [3], რის გამოც თეცის თბური სიმძლავრის მაქსიმუმის გამოყენების საათების რიცხვი წელიწადში $T_{\text{წ}}$ საკმაოდ დიდი გამოდის. ასე, მაგალითად, თბილისში, სადაც გათბობის სეზონი 152 დღე გრძელდება, პროფ. ლ. კულოიანის გამოკვლევების თანახმად [13], $T_{\text{წ}}$ სიდიდე აჭარბებს 3000 საათს, ქუთაისში კი-2600 საათს, რაც ბევრად აღმატება ეკონომიკურად მიზანშეწონილ მინიმუმს-1500 სთ/წლ [3]. განსაკუთრებით ეფექტური იქნება კოგენერაცია იმ შემთხვევაში, როდესაც გათბობა-ცხელწყალმომარაგების გარდა, აირტურბინული თეცები დაფარავენ აგრეთვე სამრეწველოებრივო დატვირთვას, რომელიც წლიურ ხასიათს ატარებს.

ზაფხულის პერიოდში წმინდა სათბიერებელი თეცების ატლების ნაწილი დაფარავს მხოლოდ ცხელწყალმომარაგების დატვირთვას, დანარჩენი აგრეგატები კი გადაყვანილი უნდა იქნეს რეზერვში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ისინი შეიძლება ვამჟმაოთ წმინდა ძალურ რეჟიმში (მხოლოდ ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად) და გამოვიყენოთ როგორც ბაზისური სიმძლავრის უფექტური წყარო. სწორედ

ამიტომ აირტურბინული თეცების შექმნისას ისინი უნდა დაგაკომპლექტოთ თანამედროვე მაღალეკონომიური ატდ-ებით (მქ კოეფიციენტით 26:38%); ამჟამად უპირატესობა უნდა მიენიჭოს მცირე და საშუალო სიმძლავრის, ენერგოეფექტური და ნაკლებად კაპიტალტეგადი აირტურბინული კოგენერაციული სადგურების შექნმას.

აირტურბინული თეცების ფართომასშტაბიანი დანერგვით გადაწყდება რამდენიმე მნიშვნელობანი პრობლემა: გაუმჯობესდება ენერგოსისტემის მაგნიტური სიმძლავრეების სტრუქტურა და შემცირდება ბაზისური სიმძლავრეების დეფიციტი, ამაღლდება მომხმარებლების ელექტრო და თბომომარაგების ეფექტურობა და საიმედოობა, გაუმჯობესდება ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ეკოლოგიური მდგრაფებისა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, დიდი რაოდენობით დაიზოგება ძვირადღირებული და დეფიციტური ორგანული სათბობი (ძირითადად ბუნებრივი აირი).

1.2. მსოფლიო ენერგეტიკაში აირტურბინული და ორთქლაირული დანადგარების გამოყენების მასშტაბები

შედარებით დაბალი ეკონომიურობის გამო, XX საუკუნის 60-70-იან წლებამდე აირტურბინული დანადგარები გამოიყენებოდა ძირითადად როგორც სარეზერვო და პიკური აგრეგატები. ატდ-ების მქ კოეფიციენტი არ აღემატებოდა 27-28%-ს. მაგრამ ბოლო დროს მსოფლიოს წამყვანმა ტურბომშენებელმა ფირმებმა უდიდეს პროგრესს მიაღწიეს ენერგეტიკული ატდ-ებისა და მათ ბაზაზე ოად-ების წარმოებაში. აღნიშნულ პერიოდში თანამედროვე ატდ-ების მქ კოეფიციენტი 37-38%-მდე გაიზარდა, მაქსიმალურმა ერთეულმა სიმძლავრემ 300-350 მგვტ-ს მიაღწია. საუკეთესო ოად-ებისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად 58-60%-ს და 450-500 მგვტ-ს შეადგენს.

ატდ-ების უმეტესი ნაწილი, რომლებიც ბოლო წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში შევიდა და შედის ექსპლუატაციაში, გამიზნულია ელექტროენერგიის და სითბოს კომბინირებული გამომუშავებისათვის კოგენერაციულ სადგურებსა და ორთქლაირული დანადგარების შემადგენლობაში სამუშაოდ. ატდ-ების და ოად-ების წილის მკვეთრი გადიდე-

ბა, მსოფლიო ენერგეტიკაში მოხდა XX საუკუნის 90-იანი წლების და საწყისიდან. მისი მიზეზებია ენერგოდანადგარების მშენებლობის და ექსპლუატაციაში შეყვანის მოკლე ვადები, მცირე კუთრი ღირებულება და მაღალი მქ კოეფიციენტი. მსოფლიოში ენერგეტიკული აირტურბინების წარმოებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მაგალითად, 1999 წელს, აირტურბინებზე დაკვეთამ შეადგინა 49% (სიმძლავრის მიხედვით), როცა ყველა ტიპის ორთქლის ტურბინებზე იყო მხოლოდ 31%, [14,15]. წამყვანი აირტურბინომშენებელი ფირმები ძალიან ფართოდ იყენებენ იმ მდიდარ გამოცდილებას, რომელიც დაგროვილია საავიაციო და სახომალდო აირტურბომშენებლობაში.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, ენერგეტიკული აირტურბომშენებლობა შედარებით ჩამორჩენილი დარგი იყო, ამიტომ მოწინავე უცხოური ქვეყნების ფირმებმა ბევრად გაუსწრო საბჭოთა აირტურბინულ მანქანაობა შენებლობას. ამჟამად, დსთ-ში შემავალ ქვეყნებში ენერგეტიკული აირტურბომშენებლობა თავმოყრილია რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ტერიტორიებზე.

დასავლეთ ევროპაში ახალი თბოელექტროსადგურის დაპროექტებისათვის ძალზე პოპულარულია აირტურბინული ტექნოლოგია. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ესპანეთი, იტალია და ინგლისი, ატლ-ებზე მოდის 90%-ზე მეტი ენერგეტიკული სიმძლავრეები, რომლებიც შევიდა და უახლოეს დროს კიდევ უნდა შევიდეს ექსპლუატაციაში. ამჟამად, ენერგეტიკული ატლ-ების უდიდესი მწარმოებლებია ფირმები General Electric (აშშ), Siemens (გერმანია), Alstom (ინგლისი). ამათ გარდა, ატლ-ებს აწარმოებენ ფირმები ABB (შვეიცარია, გერმანია), Westinghouse (აშშ), Mitsubishi (იაპონია), Rolls-Royce (ინგლისი) და სხვ.

3bəməgə 2

№	გამოყენება	ტე-30	ტე-45-1	ტე-45-3M	ტე-100-3M	ტე-115	ტე-150	ტე-180
	აირტურბინული დანადგარის ტიპი	ტე-30	ტე-45Y	ტე-45-1	ტე-100-3M	ტე-115	ტე-150	ტე-180

	ბელი	ტურბომრავების ქარხანა (რუსეთი)				ნეფის ქარ- ხანა (რუ- სეთი)	TM3 (რუ- სეთი)	H3L (რუ- სეთი)	ტურ- ბოა- ტომი (უკრა- ინა)	ЛМ3 (რუ- სეთი)	ტურ- ბოატ ომი (უკრა- ინა)	ЛМ3 (რუ- სეთი)	ЛМ3 (რუ- სეთი)
1	ევექტური სიმძლა- ვრემბები	6,5	6,74	16,8	25,0	31,3	42,5	43	57,7	105,0	119,0	157,6	180
2	ევექტური მქ კოეფი- ციენტი, %	30,5	24,0	31,0	31,0	27,0	35,0	30,03	30,0	28,0	33,8	31,0	36,5
3	ჰაერის წნევის ამაღლების ხარისხი	12,0	6,2	11,5	13,5	13,0	13,5	13,8	8,2	26,8	12,3	12,0	15,0
4	აირების ხარჯი გამოსასვ- ლელზე, კგ/წმ	33,0	46,0	85,0	101,0	195,0	125,0	222,0	303,3	458,0	401	600	535
5	აირების ტემპერატ- ურა, °C: ტურბინის წინ ტურბინის მიღმა	920	780	920	1090	922	1227	950	850	750	1170	1100	1250
6	ატდ-ს მა- სა, ტ	26	45	50	60	90	70	-	183	367	200	190	-

ცხრილი 3

უკრაინის და უცხოური ფირმების ატდ-ების მონაცემები

№	მაჩვენებლები	ატდ-ს ტიპი (დამაზადებელი ფირმა)					
		ГТУ- 6 (მაშ- პროე ქტი)	Tornado (Alstom)	ГТУ- 16 (მაშ- პროექ ტი)	GT-35 (ABB)	ГТУ- 25 (მაშ- პროექ ტი)	RB211- DLN (Rolls- Royce)
1	ატდ-ს ელექტრული სიმ- ძლავრე, მგვტ	6,0	6,25	16,0	16,9	25,0	27,2
2	ელექტრული მქ კოეფი- ციენტი, %	30,1	30,3	32,8	32,0	34,8	35,8
3	წარმავალი აირების ტემპ- რატურა, °C	414	460	423	375	497	490
4	აირების ხარჯი. კგ/წმ	30,4	27,5	70,0	91,5	89,5	92,5
5	სათბობის (ბუნებრივი აირ- ის, $Q_{\text{ატ}}^{\beta} = 50050 \text{კგ}/\text{კგ}$) ხარჯი, კგ/სთ	1434	1484	3508	3798	5167	5465
6	ატდ-ს კუთრი ღირებულება, დოლ/კვტ	448	510	304	479	284	480
7	ატდ-თეცის ელექტრული	12,0	12,5	32,0	33,8	50,0	54,4

	სიმძლავრე, მგვტ						
8	ელექტრული სიმძლავრის გამოყენების წლიური სათვების რიცხვი, სთ/წელი	6000	5760	6000	5680	6000	5514
9	ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება, ათასი კვტ.სთ	72000	72000	192000	192000	300000	300000
10	სათბობის წლიური ხარჯი, ათასი ტ/წლ	17,21	17,21	42,1	43,1	62,0	60,3
11	ატდ-თეცის კუთრი დირებულება, დოლ/კვტ	627	684	425	594	398	584
12	ატდ-თეცის დირებულება, ათასი დოლ	7524	8550	13600	20077	19880	31769
13	ჯამური წლიური დანახარჯები (კესპლუატაცია, ამორტიზაცია და სხვ), ათასი დოლ.	2235	2472,4	4946,2	6061,5	7270,9	8919,4
14	ელექტროენერგიის თვითდირებულება, ცენტ/ (კვტ.სთ)	3,10	3,43	2,58	3,16	2,42	2,97

მე-2 და მე-3 ცხრილებში [16] შედარებულია უკრაინული წარმოების („მაშპროექტი“) და ზოგიერთი უცხოური ფირმების ატდ-ების ტექნიკური მონაცემები. ამასთან, ყველა ატდ შესრულებულია უმარტივესი თერმოდინამიკური ციკლით; ელექტროენერგიის გამომუშავება ვარიანტების მიხედვით ერთნაირია; ყველა ატდ-ს აქვს კონტეინერული შესრულება და ისინი განლაგდება დია შეთანხმებით; უცხოური ატდ-ების ფასი მიღებულია სატრანსპორტო ხარჯების 20%-ის დანარიცხის და 20%-იანი საბაჟო გადასახადის გათვალისწინებით. როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთი თაობის უკრაინულ და უცხოურ ატდ-ებს აქვს თბური ეკონომიკურობის დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლები, თუმცა, მეორე ვარიანტში (უცხოური ატდ-ები) გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითდირებულება რამდენადმე მეტია.

მსოფლიოში ენერგეტიკული აირტურბომშენებლობა განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდებოდა ბოლო 30-35 წლის განმავლობაში [15,16,17,18], ამასთან, ყველაზე დინამიკურად-ბრაიტონის მარტივი თერმოდინამიკური ციკლით მომუშავე ატდ-ები. აირის საწყისი ტემპერატურის მკვეთრი გადიდების გამო ასეთი ატდ-ების ეკონომიკურობა თითქმის გაუტოლდა თანამედროვე ზეპრიტიკული პარამეტრებით მომუშავე ორთქლტურბინული ენერგობლოკების ეკონომიკურობას. აირების საწყი-

სი t_3 ტემპერატურის დონის მიხედვით ატდ-ებს პირობითად ყოფენ ხუთ თაობად [16];

I თაობა - $t_3 < 850^{\circ}\text{C}$;

II თაობა - $t_3 = 850...1050^{\circ}\text{C}$;

III თაობა - $t_3 = 1050...1200^{\circ}\text{C}$;

IV თაობა - $t_3 = 1200...1350^{\circ}\text{C}$;

V თაობა - $t_3 > 1350^{\circ}\text{C}$.

ერთეული სიმძლავრის მიხედვით აირტურბინული დანადგარები რამდენადმე ჩამოუგარდება მძლავრ თრთქლტურბინულ ენერგობლოკებს, თუმცა, ამჟამად უკვე აგებულია ატდ-ები მაქსიმალური სიმძლავრით 300-350 მგვტ. აღნიშნული თანაფარდობა აირტურბინულ და თრთქლტურ ბინულ დანადგართა სიმძლავრებს შორის ადრე ატდ-ების გარკვეულ ხარვეზად ითვლებოდა. ახლა ეს ასე არ არის, ვინაიდან მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა თბოელექტროსადგურების ელექტროდანადგარების სიმძლავრეთა შემცირების ტენდენცია, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია დემონპოლიზაციით ენერგეტიკაში და თეცების მართვის ოპტიმიზაციის აუცილებლობით. განსაკუთრებით მიზანშეწონილია მცირე და საშუალო სიმძლავრის ატდ-ების გამოყენება კოგენერაციულ სადგურებში.

ამჟამად ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები უფრო მძლავრი და ეკონომიკური აირტურბინული დანადგარების შესაქმნელად. ამ მიზნით ვარაუდობენ რთული თერმოლინამიკური ციკლების გამოყენებას წარმავალი აირების სითბოს რეგენერაციით, ჰაერის შეალედური გაცივებით, სითბოს შეალედური მიწოდებით და სხვ. მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ატდ-ების მქ კოეფიციენტი 45-47%-მდე გაიზრდება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომბინირებული ციკლით მომუშავე ორთქლაირული დანადგარების შექმნას და ეფექტურ გამოყენებას. ამჟამად არსებობს ასეთი დანადგარები, რომელთა მქ კოეფიციენტი 60%-ს შეადგენს, ხოლო მაქსიმალური სიმძლავრე 500-600 მგვტ-ს. მომავალში ეს მაჩვენებლები შეიძლება გაიზარდოს 70%-მდე და 1200 მგვტ-მდე [17]. მსოფლიოში 2002 წლის 1 ივნისიდან 2003 წლის 31 მაისამდე შეავეთილი იყო 597 ენერგეტიკული ატდ ჯამური სიმძლავრით

25,74 მლნ.კვტ [17]. ამერიკაში, ევროპასა და აზიაში ატლ-ების ნახევარზე მეტი განკუთვნილია ხანგრძლივი მუშაობისათვის ბაზურ ან ნახევრად პიკურ რეჟიმებში. სარეზერვო ატლ-ებად გამოიყენება 60 მგვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის დანადგარები, ძირითადად 3,5 მგვტ-ზე მცირე სიმძლავრის ხანგრძლივ ექსპლუატაციაში მომუშავე ატლ-ები იყენებენ ძირითად ბუნებრივ აირს, სარეზერვო სათბობად გამიზნულია თხევადი სათბობი. მსოფლიოს წამყვანი ფირმები ითვისებენ ახალი თაობის აირტურბინულ დანადგარებს (ტექნოლოგია G). ყველაზე მძლავრი ატლ-ების პარამეტრები და მაჩვენებლები მოყვანილია მე-4 ცხრილში [17].

ცხრილი 4

მსოფლიოში ათვისებული მძლავრი ატლ-ების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ფირმა და ატლ-ს მოდელი			
	Alstom, GT26	General Elec- tric, M9FA	Mitsubishi F3	Siemens, V94 3A
ატლ-ს სიმძლავრე, მგვტ	280,9	255,6	270,3	272,4
ატლ-ს მქ კოეფი- ციენტი, %	38,3	36,9	38,2	39,0
კუმულის ხარისხი	32	17	17	17,2
აირების ხარჯი, კგ/წმ	632,4	641	651,5	671,5
ნამუშევარი აირ- ების ტემპერატუ- რა, °C	615	602	586	582
ორთქლაირული დანადგარის სიმ- ძლავრე (ერთი ატლ-ეთი), მგვტ	410,3	390,8	397,7	397,6
ორთქლაირული დანადგარის მქ კოეფიციენტი, %	57,8	56,7	57,0	57,5

ამჟამად უკვე გამოშვებულია G ტექნოლოგიის ყველაზე მძლავრი ატლ-მოდელი M701 G2 (ფირმა Mitsubishi). მისი სიმძლავრეა 334 მგვტ, მქ კოეფიციენტი 39,5%, აირების საწყისი ტემპერატურა 1500°C . ორი ასეთი ატლ-თი აღჭურვილი ორთქლაირული დანადგარის სიმძლავრემ მიაღწია 982 მგვტ-ს, მქ კოეფიციენტმა-58,9%-ს [17]. ინგლისში Baglan Bay ობოელექტროსადგურზე ექსპლუატაციაში შევიდა ფირმა General Electric-ის უკანასკნელი თაობის ატლ-თი აღჭურვილი ორთქლაირული დანადგარი 480 მგვტ სიმძლავრით [17]. ამ ოად-ს მქ კოეფიციენტი ნეტო 60%-ია. მო-

მავალში მსოფლიოში ნაგარაუდევია შექმნა ასეთივე ეფექტურობის უფრო მძლავრი აოდ-ებისა, რომლებიც გამოყენებული იქნება 180 მგვტ-ის და მეტი სიმძლავრის ახალი თაობის ატდ-ები, რომელთა მქ კოეფიციენტი 40%-მდე იქნება გაზრდილი. საავიაციო ძრავების ბაზაზე შექმნილი 40-45 მგვტ სიმძლავრის ატდ-ების მქ კოეფიციენტმა უკვე 40-44%-ს მიაღწია (უმარტივეს ციკლში) [17].

აირტურბინული დანადგარები გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით: ბაზისური დატვირთვების დასაფარავად, როგორც ავარიული რეზერვი, ატდ-თეცებსა და აოდ-თეცებში სამუშაოდ და სხვ.

საქართველოში აირტურბინული და ორთქლაირული დანადგარების პერსპექტიული გამოყენების ძირითადი მიმართულებები გაანალიზებულია [19]-ში, ხოლო ამ დანადგარების ბაზაზე კოგენერაციული სადგურების შექმნის პრობლემა განხილულია [18]-ში.

1.3. კოგენერაციის ეფექტურობის მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდების შედარებითი ანალიზი

სითბოსა და ელექტროენერგიის კომბინირებული წარმოებით ენერგოსისტემაში მიიღწევა სათბობის მნიშვნელოვანი ეკონომიკა მათი განცალკევებული მეთოდით გამომუშავებასთან შედარებით. თბოფიკაცია (კოგენერაცია) სითბური ენერგიის წარმოების ეკონომიკური და ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესების [20,21] აღიარებული საშუალებაა. თბოფიკაციის ენერგოეკოლოგიური ეფექტურობის დამადასტურებელია მიღებული შედეგებიც.

კოგენერაციის განხორციელებისას, სათბობის საერთო ეკონომიკის განსაზღვრასთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია თბოელექტრო-ცენტრალებში სათბობის ხარჯის განაწილება წარმოებულ ელექტრო-ენერგიასა და სითბოს შორის, შესაბამისი კოგენერაციის ეფექტურობის მახასიათებელი მაჩვენებლების დადგენის გზით.

უაღრესად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის თბოელექტოცენტრალებში გამომუშავებულ ელექტრულ და სითბურ ენერგიებს შორის საწარმოო დანახარჯების განაწილების ცოდნა, მათ შორის განსაკუთ-

რებით სათბობის ხარჯისა, რადგანაც ძირითადად ის ახდენს უშუალო გავლენას თეციდან ელექტროენერგიისა და სითბოს გასაცემის ტარიფის სიდიდეზე.

თეცში სათბობის ხარჯის განაწილების არსებული მეთოდები-დან ყოფილ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვემ-ნებში, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, უპირატესობა ენიჭებოდა და დი-რექტიული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიყენებოდა ე.წ. „ფიზი-კური“ მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ენერგიის მუდმივობის პრინ-ციპზე, ანუ თერმოდინამიკის პირველ კანონზე.

„ფიზიკური“ მეთოდისაგან განსხვავებით, თერმოდინამიკის რო-გორც პირველ, ასევე მეორე კანონს და, შესაბამისად, სითბოს ხარის-ხობრივ მხარეს ითვალისწინებს თეცში სათბობის ხარჯის განაწილების ექსერგეტიკული მეთოდი [22], რომლის გამოყენება ყოფილ საბჭოთა კავშირში ფაქტიურად არ ხდებოდა.

უკუწისიანი ტურბინით აღჭურვილი თეცის ენერგეტიკული ბა-ლანსი ზოგადად ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$BQ_{\text{კლ}}^{\text{ა}} = \Theta + Q_{\text{o}}, \quad (1)$$

სადაც B არის სათბობის ხარჯი თეცში; $Q_{\text{კლ}}^{\text{ა}}$ -სათბობის უდაბლესი დაწ-ვის სითბო; Θ -თეცში გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა; Q_{o} -თეციდან თბომომარაგებაში გაცემული სითბოს რაოდენობა.

„ფიზიკური“ მეთოდის თანახმად, სათბობის საერთო ხარჯი თეცში ნაწილდება Θ -სა და Q_{o} -ს პროპორციულად. (1) ფორმულიდან მიიღება, რომ თეცში სათბობის ფარდობითი ხარჯები სათანადოდ ტო-ლია ელექტროენერგიის გამომუშავებაზე:

$$b_{\text{კლ}} = \Theta / (\Theta + Q_{\text{o}}); \quad (2)$$

თბომომარაგებაზე გაცემულ სითბოზე:

$$b_{\text{o}} = Q_{\text{o}} / \Theta + Q_{\text{o}}. \quad (3)$$

ექსერგეტიკული ბალანსი უკუწისიანი ტურბინით აღჭურვილი თეცისთვის ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$Be_{\text{სამ}} = \Theta + E_{\text{o}} = \Theta + Q_{\text{o}} \left(1 - T_0 / T_{\text{სამ}}\right), \quad (4)$$

სადაც $e_{\text{ხა}} \text{ ერთეული}$ მასის სათბობის სითბოს ექსერგია; $E_{\text{თ}} \text{ - კოგენერაციული ციკლში გაცემული სითბოს ექსერგია; } T_{\text{ხა}} \text{ - ციკლში თბომომარაგებაზე გასაცემი სითბოს საშუალო ტემპერატურა.}$

ექსერგეტიკული მეთოდის თანახმად, სათბობის ფარდობითი ხარჯები სათანადოდ ტოლია

- ელექტროენერგიის გამომუშავებაზე:

$$b_{\text{ელ}}^{\text{თ}} = \mathcal{E} / [\mathcal{E} + Q_{\text{თ}} (1 - T_0 / T_{\text{ხა}})]; \quad (5)$$

- თბომომარაგებაზე გაცემულ სითბოზე:

$$b_{\text{თ}}^{\text{თ}} = E_{\text{თ}} / [\mathcal{E} + Q_{\text{თ}} (1 - T_0 / T_{\text{ხა}})]. \quad (6)$$


აღნიშნულის გარდა, „ფიზიკურ” მეთოდს აქვს შემდეგი პრინციპული ხასიათის ნაკლოვანებები: 1) თეცის ენერგეტიკული ბალანსის განტოლებაში ჯამდება ხარისხობრივად არაერთგვაროვანი სიდიდეები: ექსერგეტიკული – გამომუშავებული ელექტროენერგია და სითბური ენერგია, რაც ეწინააღმდეგება თერმოდინამიკის მეორე კანონს; 2) სათბობის ხარჯის ეკონომია მიეკუთვნება ელექტროენერგიის გამომუშავებას. შედეგად ვდებულობთ, რომ სათბობის კუთრი ხარჯი თეცში ელექტროენერგიის გამომუშავებაზე მნიშვნელოვნად ნაკლები სიდიდისაა, ვიდრე კონდენსაციურ ციკლში, მაშინ როდესაც ციკლში საბოლოო ტემპერატურის გადიდებით, მოცემული საწყისი პარამეტრებისას, მცირდება გამომუშავებული ელექტროენერგიის სიდიდე და შესაბამისად უნდა გაიზარდოს სათბობის კუთრი ხარჯის სიდიდე.

განვიხილოთ, თუ რამდენად გამოსადეგია უკუწევიანი ტურბინით აღჭურვილი თეცის თბოფიკაციურ ციკლის ანალიზისათვის ენერგეტიკული ბალანსის საფუძველზე შედგენილი თეცის ისეთი ძირითადი მაჩვენებლები [23], როგორიცაა სრული მქ კოეფიციენტი $\eta_{\text{თ}} = (\mathcal{E} + Q_{\text{თ}}) / B \cdot Q_{\text{ელ}}$, რომელსაც ხშირად სათბობის სითბოს გამოყენების კოეფიციენტსაც უწოდებენ, და თეცის ელექტრული მქ კოეფიციენტი $\eta_{\text{თ}} = \mathcal{E} / (BQ_{\text{ელ}} - Q_{\text{თ}})$.

თეცის უკუწევიანი თბოფიკაციური დანადგარის რეალური ციკლი წარმოდგენილია ნახ. 1., საიდანაც ჩანს, რომ თეცის ელექტრუ-

ლი მქ კოეფიციენტის სიდიდეს თეორიულ და ნამდვილ ციკლებში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და იგი ერთის ტოლია, რადგან თეორიული ციკლის მუშაობა $l_G^o = q_1^o - q_\infty^o$, ხოლო რეალური ციკლის შემთხვევაში - $l_G^e = q_1 - q_\infty^e$, გვექნება

$$\eta_{\text{თბ}} = \frac{l_G^o}{q_1^o - q_\infty^o} = \frac{l_G^e}{q_1 - q_\infty^e} = 1. \quad (7)$$



ნახ. 1. უკუწნევიანი ტურბინით აღჭურვილი თეცის, რეალური ციკლი TS დიაგრამაზე

ასევე ერთის ტოლია სათბობის სითბოს გამოყენების კოეფიციენტის სიდიდე როგორც თეორიულ, ისე რეალურ ციკლში, რადგან $l_G^o + q_\infty^o = q_1^o$ და $l_G^e + q_\infty^e = q_1$, გ.ი.

$$\eta_{\text{თბ}} = \frac{l_G^o + q_\infty^o}{q_1^o} = \frac{l_G^e + q_\infty^e}{q_1} = 1. \quad (8)$$

ა. ანდრიუშჩენკოს აზრით [1] უნერგეტიკული ბალანსის საფუძვლზე შედგენილი მაჩვენებლებით შეუძლებელია თეცის ეფექტურობის შეფასება. აქვე შენიშნავთ, რომ $\eta_{\text{თბ}}$ და $\eta_{\text{თბ}}^{\text{კ}}$ ერთზე ნაკლებ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კოგენერაციულ ციკლში ჩნდება კონდენსაციური გამომუშავება.

თეცის ექსერგეტიკული მქ კოეფიციენტი განისაზღვრება (4) ფორმულის საფუძვლზე, გ.ი.

$$\eta_{\text{obj}}^{\text{obj}} = \frac{\Theta + E_{\omega}}{E_{\text{base}}} = \frac{l_{\text{obj}} + e_{\omega}}{e_{\text{base}}}. \quad (9)$$

ცხადია, $\eta_{\text{obj}}^{\text{obj}}$, განსხვავებით η_{obj} და $\eta_{\text{obj}}^{\text{obj}}$ -საგან, ითვალისწინებს როგორც მუშაობის შიგაციკლურ დანაღვარებს, ასევე თეცის საწყისი პარამეტრების გავლენას მის ეფექტურობაზე. მიუხედავად ამისა, არც თეცის ექსერგეტიკული მქ კოეფიციენტი იძლევა კოგენერაციის ეფექტურობისა და მის დროს ენერგოსისტემაში სათბობის ეკონომიის განსაზღვრის საშუალებას, რადგან $\eta_{\text{obj}}^{\text{obj}}$ მიეკუთვნება მხოლოდ ელექტროსადგურებს და ამიტომ ამ კოეფიციენტით შეუძლებელია კოგენერაციის დროს ლიკვიდირებულ საქვაბეებში მიმდინარე პროცესების სრულყოფილი გათვალისწინება.

[1]-ის თანახმად, კოგენერაციის დროს სათბობის სითბოს ეკონომიის სიდიდე ენერგოსისტემაში განისაზღვრება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$\Delta Q_{\text{obj}} = (\Theta + \sum E_{\omega}) \left(\frac{1}{\eta_{\text{obj}}^{\text{obj}}} - \frac{1}{\eta_{\text{obj}}^{\text{obj}}} \right), \quad (10)$$

სადაც ელექტროენერგიისა და სითბური ენერგიის განცალკევებულად წარმოების ექსერგეტიკული მქ კოეფიციენტი ტოლია:

$$\eta_{\text{obj}}^{\text{obj}} = \frac{\Theta + \sum E_{\omega}}{B_{\text{obj}} \cdot Q_{\text{obj}}^{\text{obj}} + B_{\text{base}} \cdot Q_{\text{base}}^{\text{obj}}} \quad (11)$$

აქ B_{obj} სათბობის ხარჯია კონდენსაციურ თბოელექტროსადგურზე; B_{base} - სათბობის ხარჯი საქვაბეში.

ექსერგეტიკული მქ კოეფიციენტის გარდა, თეცის თერმოდინამიკური ციკლების სრულყოფილების ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა აგრეთვე თბურ მოხმარებაზე ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავების სიდიდეც $y = l_{\text{obj}} / q_{\omega}$ [2]

აღნიშნულ მაჩვენებელს, ისევე როგორც მის ექსერგეტიკულ ანალოგს $y = l_{\text{obj}} / q_{\omega} (1 - T_0 / T_{\text{base}})$, მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს, კერძოდ, არ ითვალისწინებს ექსერგიის დანაკარგებს შეუქცევად თბოცვლაზე თეცის ქსელის შემთბობებში. ამდენად, საჭიროა ისეთი მაჩვენებელი, რომელიც

გაითვალისწინებს ექსერგიის დანაკარგებს მთლიანად თეცის მასშტაბით, ე.ი.

$$Z_e = Y_e \cdot \eta_{e\omega} = Y_e \cdot \frac{(1 - T_0 / T_{\text{jet}})}{(1 - T_0 / T_{\text{base}})}, \quad (12)$$

სადაც T_{jet} თბოგადამტანის (წყლის) ტემპერატურაა ქსელის შემთბობის გამოსასვლელზე.

შევნიშნავთ, რომ (12) ფორმულის თანახმად, სამრეწველო თბომომარაგებისას, ე.ი. როდესაც თეცის ტურბინიდან ნამუშევარი ორთქლი გაიცემა, $\eta_{e\omega} = 1$.

როგორც აკად. ლ. პოპირინი და მისი თანამოაზრენი ასაბუთებენ [24,25], არც ფიზიკური და არც ექსერგეტიკული მეთოდი არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ფიზიკური მეთოდი ხელს არ აძლევს თბური ენერგიის მწარმოებლებს, ხოლო ექსერგეტიკული – ელექტროენერგიის მწარმოებლებს. საჭიროა დამუშავდეს ახალი მეთოდი, რომელიც დააკმაყოფილებს ორივე სახის ენერგიის მწარმოებლებს, ასახავს თეცში კომბინირებული ენერგოწარმოების ენერგეტიკულ ეფექტიანობას, ექნება მკაფიო ეკონომიკური შინაარსი და გაანგარიშების გასაგები მეთოდიკა [25]. თეცების მუშაობა უნდა შეფასდეს უწინარესად ჯამური შედეგით–სათბობის ეკონომიკურ თბოელექტრომომარაგების განცალკევებულ მეთოდთან შედარებით [26]. რუსეთში 1996 წლიდან მოქმედებს ახალი **ОРГРЭС**-ის მეთოდი, რომელიც განიხილება როგორც გარდამავალი მეთოდი ფიზიკურიდან უფრო სრულყოფილ–ზე. ეს მეთოდი არ არის მეცნიერულად დასაბუთებული, მისი გამოყენება მოითხოვს რთული გაანგარიშებების ჩატარებას, ამიტომ იწვევს სპეციალისტების სამართლიან კრიტიკას [27,28]. შემოთავაზებულია [25] ორთქლისტურბინული თეცების ეფექტურობა შეფასდეს პროპორციული მეთოდით, რომელიც ითვალისწინებს თეცში ყველა დანახარჯის გაყოფას ორი სახის ენერგიას შორის შეაბამისი ხარჯების პროპორციულად სითბოსა და ელექტროენერგიის გამომუშავებისას განცალკევებული მეთოდით (საქვაბესა და კონდენსაციურ ელექტროსადგურში).

ლოგიკურია, რომ ასეთივე პროპორციული მეთოდით გავანაწი-

ლოთ სათბობის ხარჯი თეცში $B_{\text{თბ}}^{\text{თბ}}$ ორ შემდგენად: $B_{\text{თბ}}^{\text{თბ}}$ ელექტროენერგიის წარმოებაზე და $B_{\text{თბ}}^{\text{ბო}}$ სითბოს გამომუშავებაზე:

$$B_{\text{თბ}}^{\text{თბ}} = B_{\text{თბ}} \cdot \frac{B_{\text{ბო}}}{B_{\text{ბო}} + B_{\text{თბ}}}; \quad (13)$$

$$B_{\text{თბ}}^{\text{ბო}} = B_{\text{თბ}} \cdot \frac{B_{\text{თბ}}}{B_{\text{ბო}} + B_{\text{თბ}}}; \quad (14)$$

ამრიგად, ყველა დანახარჯი თეცში იყოფა შესაბამისი ხარჯების პროპორციულად მოცემული რაოდენობის ელექტროენერგიისა და სითბოს წარმოებისას განცალკევებული მეთოდით. ამიტომ დანახარჯების დაყოფის აღნიშნულ მეთოდს ვუწოდოთ პროპორციული.

ავღნიშნოთ ჯამი $B_{\text{ბო}} + B_{\text{თბ}} = B_{\text{გან}}$ სათბობის ჯამური ხარჯი განცალკევებულ მეთოდში და წარმოვადგინოთ (13) და (14) გამოსახულებები შემდეგნაირად:

$$B_{\text{თბ}}^{\text{თბ}} = B_{\text{თბ}} \cdot \frac{B_{\text{ბო}}}{B_{\text{გან}}} = B_{\text{ბო}} \cdot \bar{B}_{\text{თბ}}; \quad (15)$$

$$B_{\text{თბ}}^{\text{ბო}} = B_{\text{თბ}} \cdot \frac{B_{\text{თბ}}}{B_{\text{გან}}} = B_{\text{თბ}} \cdot \bar{B}_{\text{თბ}}, \quad (16)$$

სადაც $\bar{B}_{\text{თბ}} = B_{\text{თბ}} / B_{\text{გან}}$ არის სათბობის ფარდობითი ხარჯი თეცში სათბობის ჯამურ ხარჯთან შედარებით განცალკევებულ ვარიანტში. სათბობის ფარდობითი ეკონომია (ამ ვარიანტთან შედარებით), რომელსაც უზრუნველყოფს თეცის ფუნქციონირება ენერგოსისტემაში, $\bar{B}_{\text{ბო}} = 1 - \bar{B}_{\text{თბ}}$. ამრიგად სათბობის კუთრი ხარჯები თეცში ელექტროენერგიისა და სითბოს გამომუშავებაზე (15) და (16)-ის გამოყენებით იქნება:

$$b_{\text{თბ}}^{\text{თბ}} = \frac{B_{\text{თბ}}^{\text{თბ}}}{N_{\text{თბ}}} = \frac{B_{\text{ბო}}}{N_{\text{თბ}}} \bar{B}_{\text{თბ}} = b_{\text{ბო}} (1 - \bar{B}_{\text{თბ}}); \quad (17)$$

$$b_{\text{თბ}}^{\text{ბო}} = \frac{B_{\text{თბ}}^{\text{ბო}}}{Q_{\text{ბო}}} = \frac{B_{\text{თბ}}}{Q_{\text{ბო}}} \cdot \bar{B}_{\text{თბ}} = b_{\text{თბ}} (1 - \bar{B}_{\text{თბ}}), \quad (18)$$

სადაც $N_{\text{თბ}}$ არის თეცის ელექტრული სიმძლავრე, კვტ; $Q_{\text{ბო}}$ – თეცის თბური სიმძლავრე, გჯ/სთ; $b_{\text{ბო}}$ სათბობის კუთრი ხარჯი კესში, კგ კ.ს./კვტ.სთ; $b_{\text{თბ}}$ სათბობის კუთრი ხარჯი საჭვაბეში, კგ კ.ს./გჯ.

ფორმულები (17) და (18) გამოსადეგია ნებისმიერი ტიპის თეცისა-თვის-ორთქლტურბინული, აირტურბინული, ორთქლაირული. ამ დამოკიდებულებების საშუალებით ადვილად განისაზღვრება თეცის კერძო მქ კოეფიციენტები ელექტროენერგიისა და სითბოს გამომუშავებაზე:

$$\eta_{\text{თეც}}^{\text{მყ}} = \frac{0,123}{b_{\text{თეც}}^{\text{მყ}}} = \frac{0,123}{b_{\text{ჯე}}(1 - \bar{B}_{\text{ჯ}})} = \frac{\eta_{\text{ჯე}}}{1 - \bar{B}_{\text{ჯ}}}; \quad (19)$$

$$\eta_{\text{თეც}}^{\text{ბო}} = \frac{34,1}{b_{\text{თეც}}^{\text{ბო}}} = \frac{34,1}{b_{\text{ბაზ}}(1 - \bar{B}_{\text{ბაზ}})} = \frac{\eta_{\text{ბაზ}}}{1 - \bar{B}_{\text{ბაზ}}}. \quad (20)$$

გამოვიყენოთ განხილული პროპორციული მეთოდი აირტურბინული თეცების (ბლოკ-თეცების) ენერგოეფექტურობის გამოსაკვლევად. ასეთი თეცებისთვის $\bar{B}_{\text{ბაზ}}$ -ის სიდიდე განსაზღვრულია [10] – ში:

$$\bar{B}_{\text{თეც}} = 1 - \bar{B}_{\text{ბაზ}} = \frac{\eta_{\text{ბაზ}} / \eta_{\text{ატ}}}{1/\omega + \eta_{\text{ბაზ}} / \eta_{\text{ატ}}}, \quad (21)$$

სადაც $\eta_{\text{ბაზ}}$ და $\eta_{\text{ატ}}$ არის ჩასანაცვლებელი საქვაბისა და კესის მქ კოეფიციენტები; ω -ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავება სითბოს მოხმარების ბაზაზე [29].

აირტურბინული თეცისათვის (19) და (20) ფორმულებში (21)-ის შეტანით მარტივი გარდაქმნების შედეგად მიღებულია:

$$\eta_{\text{თეც}}^{\text{მყ}} = \eta_{\text{ატ}} \left[1 + \eta_{\text{ჯე}} / (\omega \eta_{\text{ბაზ}}) \right]; \quad (22)$$


$$\eta_{\text{თეც}}^{\text{ბო}} = \eta_{\text{ატ}} (1/\omega + \eta_{\text{ბაზ}} / \eta_{\text{ატ}}). \quad (23)$$

ნახ. 2-ზე შედარებულია სათბობის კუთრი ხარჯები $b_{\text{ატ}}$ აირტურბინულ თეცში ($\eta_{\text{ატ}}$ -ზე დამოკიდებულებით), რომლებიც მიღებულია ორი მეთოდით-პროპორციული და ფიზიკური. ორივე ჯგუფის

მრუდებს აქვს წრფივი ხასიათი. ამასთან, ისევე როგორც $\eta_{\text{ატ}}$ მქ კოეფიციენტები $\eta_{\text{ატ}}$ -ს გაზრდა უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს $b_{\text{ატ}}$ -ის “პროპორციულ” მნიშვნელობებზე, ვიდრე “ფიზიკურზე”. ეს იმით აიხსნება რომ ფიზიკური მეთოდისაგან განსხვავებით, რომელიც კოგუნერა-

ციით განპირობებულ სათბობის ეკონომიას მთლიანად მიაკუთვნებს ელექტროენერგიის გამომუშავებას, პროპორციული მეთოდის გამოყენებისას ეს ეკონომია ნაწილდება გამომუშავებულ სითბოსა და ელექტროენერგიას შორის.

ნახ. 3-ზე მოცემულია სათბობის კუთრი „ელექტრული“ ხარჯის $b_{\text{ატ}}^{\text{კმ}}$ მნიშვნელობები Δt სხვაობაზე დამოკიდებულებებით. ჩანს, რომ პროპორციული მეთოდით მიღებული სიდიდეები საშუალოდ მეტია, ვიდრე ფიზიკური მეთოდით მიღებული.




ნახ. 2. აირტურბინულ თეცში სათბობის კუთრი ხარჯების (ელექტროენერგიის გამომუშავებაზე) შედარება Δt -ს ოთხი ლობისთვის: $\eta_{\text{ატ}}=0.37$, $\eta_{\text{სატ}}=0.8$

ნახ. 3. სათბობის კუთრი ხარჯები ელექტროენერგიის გამომუშავებაზე აირტურბინულ თეცში Δt -ზე მნიშვნელობისთვის: $\eta_{\text{ატ}}=0.37$, $\eta_{\text{სატ}}=0.8$

მნიშვნელობისთვის: $\eta_{\text{ატ}}=0.37$, $\eta_{\text{სატ}}=0.8$

ნახ. 4-ზე მოცემულია სითბოს გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის $b_{\text{ატ}}^{\text{სა}}$ დამოკიდებულებები $b_{\text{ატ}}^{\text{სა}} = f(\eta_{\Delta t})$ და $b_{\text{ატ}}^{\text{სა}} = f(\Delta t)$. ამ მრუდებს წრფივი ხასიათი აქვთ. ამასთან, პროპორციული მეთოდით მიღებული მნიშვნელობები ყოველთვის ნაკლებია როგორც რაიონული საქაბის მაჩვენებელზე $b_{\text{სა}}$, ასევე ფიზიკური მეთოდით განსაზღვრულ სიდიდეზე (პუნქტირის ხაზით); როგორც ცნობილია [29], ამ მეთოდის თანახმად, აირტურბინული თეცებისთვის $b_{\text{ატ}}^{\text{სა}}$ მუდმივია (არ არის დამო-

კიდებული Δt -სა და $\eta_{\text{დღ}}$ -ზე) და პრაქტიკულად თბური ენერგიის ფონის ური ექვივალენტის ტოლია - 34.1 კგ ჸ.ს./გვ.



ნახ. 4. სათბობის კუთრი ხარჯი აირტურბინულ თეცში თბური ენერგიის გამომუშავებაზე:

ა - $\eta_{\text{დღ}}$ და ბ - Δt პარამეტრებზე დამოკიდებულებით ($\eta_{\text{დღ}} = 0.37$, $\eta_{\text{სა}} = 0.8$)

თავი II. ორთქლტურბინული კოგენერაცია

2.1. ორთქლტურბინული თეცების ენერგეტიკული

ეფექტურობის თერმოდინამიკული ანალიზი

ტრადიციულმა ორთქლტურბინულმა თეცებმა დიდი გამოყენება ჰქოვა როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ასევე ბევრ განვითარებულ ქვეყნებში [1,3]. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ელექტრული და თბური ენერგიის კომბინირებული გამომუშავება (კოგენერაცია) უზრუნველყოფს ორგანული სათბობის დიდ ეკონომიას. ორთქლტურბინული თეცების ენერგეტიკული ეფექტურობის მაჩვენებლად მიღებულია [1,28,30,31] სრული მქ კოეფიციენტი (სათბობის სითბოს გამოყენების ხარისხი) $\eta_{\text{თბ}}^{\text{b}}$, კერძო მქ კოეფიციენტები $\eta_{\text{თბ}}^{\text{ж}}$, $\eta_{\text{თბ}}^{\text{b}}$ და პირობითი სათბობის კუთრი ხარჯები $b_{\text{თბ}}^{\text{ж}}$, $b_{\text{თბ}}^{\text{b}}$ ელექტროენერგიის და სითბოს წარმოებაზე, ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავება ხითბოს მოხმარების ბაზაზე ω და სათბობის ფარდობითი ეკონომია $\overline{B}_{\text{თ}}$ - ენერგოწარმოების განცალკევებულ მეთოდთან შეადრებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები განხილული და გაანალიზებულია მრავალ მონოგრაფიასა და სამეცნიერო სტატიაში, არსებობს საკითხები, რომლებიც მოითხოვს შემდგომ ანალიზურ გამოკვლევასა და დაზუსტებას. კერძოდ, არ არის მკაფიოდ გამოვლენილი ტურბინიდან ართმეული ორთქლის α_{a} წილის და ω პარამეტრის გავლენა თეცის ეფექტურობის მაჩვენებლებზე, მწირია მონაცემები სათბობის ფარდობითი ეკონომიის $\overline{B}_{\text{თ}}$ სიდიდეზე და სხვ. ეს პარამეტრი $\overline{B}_{\text{თ}}$ განსაზღვრულია მხოლოდ [30]-სა და [32]-ში. ისიც მარტო უკუწევიანი ტურბინებით აღჭურვილი თეცებისთვის.

განვიხილოთ ენერგეტიკული ეფექტურობის მაჩვენებლები თეცისთვის, რომელიც დაკომპლექტებულია T ან P ტიპის ერთრეგულირებადართმევიანი ტურბოდანადგარებით. ასეთი ტურბინის შიგა აბ-

სოლუტური მქ კოეფიციენტის (ელექტროენეგრიის გამომუშავებაზე) განსაზღვრისთვის გამოიყენება ფორმულა [2,31]:

$$\eta_{\text{ტ}}^1 = \frac{N_{\text{d}} + N_{\text{o}}}{Q_{\text{ტ}}^{\text{d}} + N_{\text{o}}} = \eta_{\text{ტ}}^{1(\beta)} \cdot \frac{1 + A_{\text{o}}}{1 + A_{\text{o}} \eta_{\text{ტ}}^{1(\beta)}} = \frac{1 + A_{\text{o}}}{1/\eta_{\text{ტ}}^{1(\beta)} + A_{\text{o}}}, \quad (24)$$

სადაც N_{d} და N_{o} ორთქლის კონდესაციური და თბოფიკაციური ნაკადების შიგა სიმძლავრეებია, კვტ;

$Q_{\text{ტ}}^{\text{d}}$ – სითბოს ხარჯი ორთქლის კონდენსაციურ ნაკადზე, კჯ/წ;

$\eta_{\text{ტ}}^{1(\beta)} = N_{\text{d}} / Q_{\text{ტ}}^{\text{d}}$ -ტურბოდანადგარის შიგა აბსოლუტური მქ კოეფიციენტი კონდენსაციური რეჟიმში მუშაობისას;

$A_{\text{o}} = N_{\text{o}} / N_{\text{d}}$ -ორთქლის ართმევის ენერგეტიკული კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრულია [33]:

$$y = \frac{i_{\text{d}} - i_{\text{o}}}{i_0 - i_{\text{d}}}, \quad \text{საიდანაც } 1 - y = \frac{i_0 - i_{\text{o}}}{i_0 - i_{\text{d}}}; \quad (25)$$

$$A_{\text{o}} = \frac{N_{\text{o}}}{N_{\text{d}}} = \frac{\alpha_{\text{o}}(i_0 - i_{\text{o}})}{\alpha_{\text{d}}(i_0 - i_{\text{d}})} = \frac{\alpha_{\text{o}}}{1 - \alpha_{\text{o}}}(1 - y), \quad (26)$$

სადაც α_{o} და α_{d} მომხმარებლისთვის მიწოდებული და კონდენსატორში შემავალი ორთქლის ფარდობითი ხარჯებია (წილები);

y – ართმეული ორთქლის სიმძლავრის უკმარგამომუშავების კოეფიციენტი;

i_0 და i_{d} – ორთქლის საწყისი და საბოლოო ენთალპიები (ტურბინის შესასვლელსა და გამოსასვლელზე);

i_{o} – რეგულირებადი ართმევიდან სითბოს მომხმარებელზე გაცემული ორთქლის ენთალპია. (26)-დან გამოვრიცხოთ y პარამეტრი და გადავიდეთ სხვა, უფრო გავრცელებული ω მაჩვენებელზე-ელექტროენერგიის კუთრ გამომუშავებაზე სითბოს მოხმარების ბაზაზე. A_{o} იცვლება 0 – დან კონდენსაციურ რეჟიმში ($\alpha_{\text{o}} = 0$) და უკუწიევის რეჟიმში ($\alpha_{\text{o}} = 1$) [33]. ეს სიდიდე გაიანგარეშება ფორმულით:

$$\omega = \frac{N_{\text{ж}}}{Q_{\delta^{\beta}}} \eta_{\delta^{\beta}} = \frac{i_0 - i_{\beta}}{i_{\beta} - i_0^1} \eta_{\delta^{\beta}} = \frac{(1-y)\eta_{\delta^{\beta}}}{1/\eta_{\delta^{\beta}}^{(1)} - (1-y)}, \quad (27)$$

სადაც i_{β} ართმეული ორთქლის კონდენსატის ენთალპია $(i_{\beta} \approx i_{\beta}')$,

$\eta_{\delta^{\beta}}$ – ტურბოდანადგარის ელექტრომექანიკური მქ კოეფიციენტი.

გარდაქმნის შედეგად საბოლოოდ ვიღებთ:

$$\eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}} = \frac{\eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}}(1-\alpha_{\beta})(\eta_{\delta^{\beta}}/\omega + 1) + \alpha_{\beta}\eta_{\delta^{\beta}}}{(1-\alpha_{\beta})(\eta_{\delta^{\beta}}/\omega + 1) + \alpha_{\beta}}. \quad (28)$$

ამ ფორმულით, შეგვიძლია გავაანალიზოთ ω პარამეტრისა და ართმეული ორთქლის α_{β} წილის გავლენა თბოფიკაციური ტურბინის $\eta_{\delta^{\beta}}$ მქ კოეფიციენტზე. როდესაც $\alpha_{\beta}=1$ ე.ო. ტურბინა მუშაობს უკუწნე- გის რეჟიმში, მაშინ (28)-ის თანახმად $\eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}} = \eta_{\delta^{\beta}} = \eta_{\delta^{\beta}}$. თუ ტურბინა მუ- შაობს წმინდა კონდენსაციურ რეჟიმში ($\alpha_{\beta}=0$), მაშინ (28)-დან გამომ- დინარეობს, რომ $\eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}} = \eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}}(\beta)$ ე.ო. $\eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}}$ ის ცვლილების დიაპაზონია $\eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}}$ -დან $\eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}} = \eta_{\beta} - \text{მდგ.}$

განვიხილოთ თბოფიკაციური ტურბოდანადგარის სრული მქ კოე- ფიციენტი. [33] თანახმად:

$$\eta_{\delta^{\beta}}^{\text{б}} = \frac{N_{\text{ж}} + Q_{\delta^{\beta}}}{Q_{\delta^{\beta}}} = \frac{N_{\text{ж}} + Q_{\delta^{\beta}}}{Q_{\text{ж}} + Q_{\text{б}}}, \quad (29)$$

სადაც $Q_{\delta^{\beta}}$ სითბოს სრული ხარჯია ტურბოდანადგარზე,

$Q_{\text{ж}}$ და $Q_{\text{б}}$ – სითბოს ხარჯები ელექტროენერგიისა და სითბოს გამომუ- შავებაზე, პ.წ/წმ;


$\eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}}$, $\eta_{\delta^{\beta}}^{\text{б}}$ – შესაბამისი მქ კოეფიციენტები. (29)-დან მიღებულია:

$$\eta_{\delta^{\beta}}^{\text{б}} = \eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}} + \alpha_{\beta}(\eta_{\beta} - \eta_{\delta^{\beta}}^{\text{ж}}) \quad (30)$$

ფორმულა (30) გვიჩვენებს ართმეული ორთქლის α_{β} წილის გავლენას ერთართმევიანი თბოფიკაციური ტურბოდანადგარის სრულ მქ კოეფიციენტზე. $\eta_{\delta^{\beta}}^{\text{б}} = f(\alpha_{\beta})$ ფუნქცია წრფივი ხასიათისაა. ამ ფორმუ- ლის თანახმად, როდესაც $\alpha_{\beta}=0$ (კონდენსაციური რეჟიმი), მაშინ

$\eta_{\delta\varnothing}^{b\sigma} = \eta_{\delta\varnothing}^{\text{жн}(\vartheta)}$, ხოლო როცა $\alpha_\vartheta = 1$ (უკუწინევის რეჟიმი), მაშინ
 $\eta_{\delta\varnothing}^{b\sigma} = \eta_{\vartheta\vartheta} = \eta_{\delta\varnothing}^{\vartheta\vartheta} = \eta_{\delta\varnothing}^{\text{жн}}$. უპარასკევები ტოლობა როგორც (30)-დან ჩანს, $\eta_{\delta\varnothing}^{b\sigma}$
 მქ კოეფიციენტი, $\eta_{\delta\varnothing}^{\text{жн}(\vartheta)}$ -ის გარდა, დამოკიდებულია მხოლოდ ართმეული
 ორთქლის წილზე და არა ვ პარამეტრზე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ
 თბოფიკაციური ტურბოდანადგარის სრული მქ კოეფიციენტი არ ახა-
 სიათებს სითბოსა და ელექტროენერგიის გამომუშავების პროცესის
 თბურ ეპონომიურობას; $\eta_{\delta\varnothing}^{b\sigma}$ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ
 თეცში სითბოს მოხმარების ზოგადი შედარებისათვის და სხვადასხვა
 ტექნიკური გადაწყვეტილების შედარებისათვის (როცა $N_{\vartheta\varnothing}$ და $Q_{\vartheta\vartheta}$
 ერთნაირია).

ნახ. 5-ზე (28)-სა და (30)-ის მიხედვით აგებულია $\eta_{\delta\varnothing}^{\text{жн}} = f(\alpha_\vartheta, \omega)$ და
 $\eta_{\delta\varnothing}^{b\sigma} = f(\alpha_\vartheta)$ ფუნქციების გრაფიკები. მიღებულია, რომ კონდენსაციურ
 რეჟიმში ($\alpha_\vartheta = 0$) $\eta_{\delta\varnothing}^{b\sigma} = \eta_{\delta\varnothing}^{\text{жн}} = \eta_{\delta\varnothing}^{\text{жн}(\vartheta)} = 0,46$, ხოლო უკუწინევის რეჟიმში
 ($\alpha_\vartheta = 1$) $\eta_{\delta\varnothing}^{b\sigma} = \eta_{\delta\varnothing}^{\text{жн}} = \eta_{\delta\varnothing}^{\vartheta\vartheta} = \eta_{\vartheta\vartheta} = 0,97$. ამ რეჟიმში ტურბოდანადგარზე მიწო-
 დებული სითბოს ნაწილი გარდაიქმნება შიგა მუშაობად, დანარჩენი
 სითბო კი გადაეცემა სითბოს მომხმარებელს; სითბოს დანაკარგი ციკ
 ლუროში არ არის.



ნახ. 5. ორთქლის ართმევის α_ϑ წილის და ω პარამეტრის გავლენა თბოფიკა-
 ციური ტურბოდანადგარის სრული $\eta_{\delta\varnothing}^{b\sigma} (---)$ და პერძო $\eta_{\delta\varnothing}^{\text{жн}}$ (—)
) მქ კოეფიციენტებზე

ნახ. 5-დან ჩანს, რომ მცირე α_a -ის დროს ($\alpha_a \leq 0,2...0,3$) $\eta_{\delta\varphi}^{\text{კლ}}$ გვ
კოეფიციენტი უმნიშვნელოდ იზრდება კონდენსაციური რეჟიმის $\eta_{\delta\varphi}^{\text{კლ(ж)}}$
მქ კოეფიციენტთან შედარებით; როცა $\alpha_a = 0,4...0,5$, მაშინ $\eta_{\delta\varphi}^{\text{კლ}} \approx 0,5...0,6$.
მქ კოეფიციენტის განსაკუთრებით დიდი ნამატი ($\eta_{\delta\varphi}^{\text{კლ(ж)}} -$ სთან შედარე-
ბით) გვაქვს, როცა $\alpha_a \geq 0,7...0,8$ და $\omega = 0,4...0,6$. როდესაც თბოფიკაცი-
ური ტურბინა მუშაობს ორთქლის მაქსიმალური ართმევით ($\alpha_a = 0,95$) და
მინიმალური სავენტილაციო ხარჯით დაბალი წნევის ნაწილში, მაშინ
 $\eta_{\delta\varphi}^{\text{კლ}}$ მქ კოეფიციენტი მაქსიმალურია (0.85...0.90) ω -ს თითქმის ყველა
მნიშვნელობის დროს ($\omega \geq 0,25...0,30$)

$\eta_{\delta\varphi}^{\text{კლ}}$ და $\eta_{\delta\varphi}^{\text{ბრ}}$ მქ კოეფიციენტების მიხედვით ადგილად განისაზღვ-
რება თეცის ელექტრული და სრული მქ კოეფიციენტები “ნეტო”:

$$\eta_{\text{თქვ}}^{\text{კლ(ნე)}} = \eta_{\delta\varphi}^{\text{კლ}} \eta_{\text{თქ}} \eta_{\delta\varphi}^{\text{ბრ}} (1 - k_{\text{ბრ}}), \quad \eta_{\text{თქვ}}^{\text{ბრ(ნე)}} = \eta_{\delta\varphi}^{\text{ბრ}} \eta_{\text{თქ}} \eta_{\delta\varphi}^{\text{კლ}} (1 - k_{\text{ბრ}}) \quad (31)$$


ამ მქ კოეფიციენტების მნიშვნელობები α_a -ზე დამოკიდებულებით
მოყვანილია ნახ. 6-ზე. გაანგარიშებაში მიღებულია: $\omega = 0,6$, ორთქლგა-
ნერატორის მქ კოეფიციენტი $\eta_{\text{თქ}} = 0,9$, სითბოს ტრანსპორტირების მქ
კოეფიციენტი $\eta_{\delta\varphi} = 0,98$, $\eta_{\delta\varphi}^{\text{კლ(ж)}} = 0,46$, $\eta_{\text{ბრ}} = 0,97$, საკუთარ მოხმარებაზე
ელექტროენერგიის ფარდობითი ხარჯი $k_{\text{ბრ}} = 0,07$. ნახ. 6-ზე უწყვეტი ხა-
ზებით 1 და 2 მოცემულია ტურბოდანადგარის სრული და ელექტრული
მქ კოეფიციენტები “ბრუტო” (გამომუშავებულ ენერგიაზე), ხოლო წყვე-
ტილი ხაზებით 3 და 4 – იგივე მქ კოეფიციენტები “ნეტო” (გაცემულ
ენერგიაზე). ანალოგიური მრუდები ნახ. 5-ზე მოყვანილი მონაცემების
საფუძველზე შეიძლება აიგოს ω -ს სხვა მნიშვნელობის-თვისაც.

ნახ. 6-ზე შტრიხ-წერტილოვანი ხაზით წარმოდგენილია აგრეთ-
ვე სათბობის კუთრი ელექტრული ხარჯები “ნეტო” $b_{\text{თქვ}}^{\text{კლ(ნე)}} = 123 / \eta_{\text{თქვ}}^{\text{კლ(ნე)}}$,
გვ.ს/კვტ.სთ. ეს მაჩვენებელი მცირდება 332.4-დან კონდენსაციურ რეჟიმ-

ში $(\alpha_{\text{გ}} = 0)$ 153 გპ.ს./გვტ.სთ-მდე უკუწნევის რეჟიმში $(\alpha_{\text{გ}} = 1)$; როცა $\alpha_{\text{გ}} = 0,7 \dots 0,8$, მაშინ $b_{\text{მგ}}^{\text{მდ}} \approx 200 \dots 210$ გპ.ს./გვტ.სთ.

სათბობის კუთრი ელექტრული ხარჯი “ნეტო” $b_{\text{მგ}}^{\text{მდ}}$ თეცში ω -სა და $\alpha_{\text{გ}}$ -ზე დამოკიდებულებით წარმოდგენილია ნახ. 7-ზე. როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, მიღებულ პირობებში $\eta_{\text{მგ}} = 0,9, \eta_{\text{გ}} = 0,98$ და სხვ. აღნიშნული მაჩვენებელი იცვლება ფართო დიაპაზონში - 150-დან უკუწნევის რეჟიმში 330 გპ.ს./გვტ.სთ-მდე კონდენსაციურ რეჟიმში.

$b_{\text{მგ}}$, გპ.ს./გვტ.სთ



ნახ. 6. ორთქლტურბინული თეცის (T და Π ტიპის ტურბინებით) ენერგოეფექტურობის მაჩვენებლები ართმევის $\alpha_{\text{გ}}$ წილზე დამოკიდებულებით ($\omega = 0,6$):

$$1 - \eta_{\text{გ}}^{\text{მდ}}; 2 - \eta_{\text{გ}}^{\text{მდ}}; 3 - \eta_{\text{მგ}}^{\text{მდ}}; 4 - \eta_{\text{მგ}}^{\text{მდ}}; 5 - b_{\text{მგ}}^{\text{მდ}}$$

[33]-ში დამუშავებული მეთოდიების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს ენერგოსისტემაში თეცის მუშაობით განკირობებული სათბობის ფარდობითი ეკონომია $\overline{B}_{\text{მგ}}$:

$$\overline{B}_{\text{მგ}} = \frac{B_{\text{მგ}}}{B_{\text{გვტ}}} = 1 - \frac{1}{\eta_{\text{მგ}}^{\text{მდ}}} \cdot \frac{\overline{N}_{\text{მგ}} + \omega}{\overline{N}_{\text{მგ}} / \eta_{\text{გ}}^{\text{მდ}} + \omega / \eta_{\text{მგ}}}, \quad (32)$$

სადაც $B_{\beta\beta} = B_{\delta\delta\beta} - B_{\omega\beta\beta}$ სათბობის აბსოლუტური ეკონომიაა;

$B_{\partial\Omega}, B_{\nu\omega}$ – სათბობის ხარჯებია ჩასანაცვლებელ კესსა და საქვაბეში;


კოეფიციენტი \bar{N} წარმოადგენს ტურბოდანადგარის ფარდობით თბოფიკაციურ სიმძლავრეს:

$$\overline{N}_\omega^{\text{geom}} = \frac{N_\omega^{\text{geom}}}{N_{\text{geom}}} = \frac{N_\omega \eta_{\text{geom}}}{N_{\text{geom}}} = \frac{A_\omega}{1 + A_\omega}. \quad (33)$$

ეს კოეფიციენტი იცვლება 0-დან კონდენსაციურ რეჟიმში ($N_{\text{tot}}^{\text{gas}} = 0$)

1-მდე უკუნიგვის რეჟიმში ($N_{\text{out}} = N_{\text{in}}$).

$b_{\sigma\eta\zeta}^{\text{gen}(6\delta)}$, $\delta\mathcal{J}\mathcal{L}/\delta\mathcal{G}\mathcal{L}\omega$



ნამ. 7 თევზში საობობის კუთრი ხარჯის $b_{\text{თევ}}^{\text{კოგ(6)}} \text{დამოკიდებულება } \omega \text{ და } \alpha_0 \text{ პარამეტრების.}$

2.2. სათბობის ეკონომიის გაანგარიშება ენერგოსისტემაში, განპირობებული ორრეგულირებადართმევიანი ტურბინებით აღჭურვილი თეცების ფუნქციონირებით

ორთქლტურბინული თეცი ყველაზე გავრცელებული ტიპის კოგენერაციული ელექტროსადგურია. ისინი ფუნქციონირებენ მრავალი ქვეყნის ენერგოსისტემებში და უზრუნველყოფენ სათბობის მნიშვნელოვან ეკონომიკას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ თეცებს ახასიათებს გარკვეული ხარვეზები. მაგალითად, დაბალი მქ კოეფიციენტი კონდენ-

საციურ რეჟიმში, ორთქლის რეგულირებადი ართმევების არასრული დატვირთვა წლიურ ჭრილში, გაზრდილი კუთრი კაპიტალტევადობა და სხვ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილის მიუხედავად ისინი მაინც რჩება ენერგოსისტემაში ბაზისური ენერგიის მიღების მნიშვნელოვან წყაროდ.

ენერგოეფექტურობის მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდიკა ორთქლტურბინულ თეცებში თბოფიკაციური ტურბინებით, ერთი რეგულირებადი ორთქლის ართმევით, KOO(T და Π) ტიპისა დამუშავებულია [34,35]-ში. ენერგეტიკაში ასევე ფართოდ არის გავრცელებული KOO(Π T) ტიპის თბოფიკაციური ტურბინები, რომლებსაც აქვთ ორთქლის ორი რეგულირებადი ართმევა. ასეთი ტურბინები მომხმარებლებს ამარაგებს ელექტროენერგიის გარდა ორი პოტენციალის ორთქლით: Π-ართმევიდან სამრეწველო საჭიროებისათვის და T-ართმევიდან თბოფიკაციისათვის (გათბობა და ცხელი წყალი). ასეთი თეცების ენერგოეფექტურობის ანგარიში რთულია და შრომატევადი. აქ საჭიროა გამოვიყენოთ წყლის და წყლის ორთქლის თერმოდინამიკური თვისებების ცხრილი. ამიტომ წარმოგიდგენთ შედარებით მარტივი ანგარიშის მეთოდიკას. როგორც ცნობილია, მქ კოეფიციენტი KOO ტიპის ორთქლტურბინული დანადგარისთვის იანგარიშება ასე [2]:

$$\eta_{\text{ტ}}^{\text{i}} = \eta_{\text{ტ}}^{\text{i}(\text{j})} \frac{1 + A_{\omega}}{1 + A_{\omega} \eta_{\text{ტ}}^{\text{i}(\text{j})}}, \quad (34)$$

სადაც A_{ω} არის ორთქლის ართმევის ენერგეტიკული კოეფიციენტია.

ანალოგიურად KOO ტიპის ტურბინებისთვის შეიძლება დაგწეროთ:

$$\eta_{\text{ტ}}^{\text{i}} = \eta_{\text{ტ}}^{\text{i}(\text{j})} \frac{1 + A_{\omega} + A_{\alpha}}{1 + \eta_{\text{ტ}}^{\text{i}(\text{j})}(A_{\omega} + A_{\alpha})}, \quad (35)$$

სადაც A_{ω} და A_{α} ზედა Π და ქვედა T ართმევების ენერგეტიკული კოეფიციენტებია:

$$A_{\omega} = \frac{1}{\eta_{\text{ტ}}^{\text{i}(\text{j})}} \cdot \frac{\alpha_{\omega}}{1 - \alpha_{\omega} - \alpha_{\alpha}} \cdot \frac{\omega_{\omega}}{\eta_{\text{j}\beta} + \omega_{\omega}}, \quad (36)$$

$$A_{\alpha} = \frac{1}{\eta_{\text{ტ}}^{\text{i}(\text{j})}} \cdot \frac{\alpha_{\alpha}}{1 - \alpha_{\omega} - \alpha_{\alpha}} \cdot \frac{\omega_{\alpha}}{\eta_{\text{j}\beta} + \omega_{\alpha}}, \quad (37)$$

სადაც ω_o და ω_d – არის ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავება, შესაბამისად Π და T ართმევისათვის,

$\eta_{\text{ე}} - \text{ტურბოდანადგარის ელექტრომექანიკური მქ} \text{ კოეფიციენტი.}$

ΠT ტიპის ტურბინებისთვის $\omega_{\text{აა}} - \text{ის ექვივალენტური მნიშვნელობა მიახლოებით შეიძლება შევავსოთ, როგორც საშუალო არითმეტიკული,}$

$$\omega_{\text{აა}} = \frac{\omega_o + \omega_d}{2}. \quad (38)$$

ამრიგად, ΠT ტიპის ტურბინას ორი ართმევით თუ შევცვლით ექვივალენტური ტურბინით ერთი ართმევით, შეიძლება გამოვიყენოთ [35]-ში მიღებული ანალიზის შედეგები და გავიანგარიშოთ ენერგოფაქტურის მაჩვენებლები ΠT ტიპის ტურბინისათვის.

$$\eta_{\text{ტ}}^{\text{ტ}} = \eta_{\text{ტ}}^{\text{ე}} + (\alpha_o + \alpha_d)(\eta_{\text{ე}} - \eta_{\text{ტ}}^{\text{ე}}); \quad (39)$$

სადაც $\eta_{\text{ტ}}^{\text{ტ}} - \text{არის თბოფიკაციური ტურბოდანადგარის სრული მქ კოეფიციენტი:}$

$\eta_{\text{ტ}}^{\text{ტ}} - \text{თბოფიკაციური ტურბოდანადგარის აბსოლუტური ელექტრული მქ კოეფიციენტი, როცა ის მუშაობს კონდენსაციურ რეჟიმში.}$

$\eta_{\text{ტ}}^{\text{ტ}} \text{ და } \eta_{\text{ტ}}^{\text{ე}} - \text{არის შესაბამისად ორთქლგენერატორისა და სითბოს ტრანსპორტირების მქ კოეფიციენტები. ტურბოდანადგარის მუშაობის დროს წმინდა კონდენსაციურ რეჟიმში, როცა } \alpha_d + \alpha_o = 0, \text{ მისი სრული მქ. კოეფიციენტი } \eta_{\text{ტ}}^{\text{ტ}} = \eta_{\text{ტ}}^{\text{ე}}, \text{ ხოლო როცა } \alpha_d + \alpha_o = 1 \text{ გვაქვს: } \eta_{\text{ტ}}^{\text{ტ}} = \eta_{\text{ტ}}^{\text{ე}}.$

თეცისთვის ΠT ტიპის ტურბინით სათბობის ფარდობითი ეკონომია $\bar{B}_{\text{აა}}$ შეიძლება განვსაზღვროთ (38) [35] ფორმულით, რომელ-შიც $\omega_{\text{აა}} - \text{ს მნიშვნელობა უნდა ჩაგსვათ (5) ფორმულიდან, ხოლო ფარდობითი თბოფიკაციური სიმძლავრე KO ტიპის ტურბოდანადგარისა იანგარიშება გამოსახულებიდან (39) [35]:}$

$$\bar{N}_o = \frac{\sum A_o}{1 + \sum A_o} = \frac{A_o + A_d}{1 + A_o + A_d}. \quad (40)$$

ენერგოსისტემაში სათბობის ფარდობითი ეკონომია იანგარიშება ფორმულით (32).

ΠΤ ტიპის თბოფიკაციური ტურბოდანადგარის აბსოლუტური ელექტრული მქ კოეფიციენტი შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით:

$$\eta_{\text{ტ}} = \frac{\eta_{\text{ტ}}^{\text{კ}}(1 - \alpha_{\text{o}} - \alpha_{\text{a}})(\eta_{\text{ტ}}/\omega_{\text{აა}} + 1) + (\alpha_{\text{o}} + \alpha_{\text{a}})\eta_{\text{ტ}}}{(1 - \alpha_{\text{o}} - \alpha_{\text{a}})(\eta_{\text{ტ}}/\omega_{\text{აა}} + 1) + (\alpha_{\text{o}} + \alpha_{\text{a}})}. \quad (41)$$

თუ გამოვიყენებოთ გაანგარიშების წარმოდგენილ მეთოდიკას, განვსაზღვრავთ თეცის ენერგოეფექტურობის მაჩვენებლებს KO(Τ და Π) და KOO(Π T) ტიპის ტურბინებისათვის [36].

მე-5 ცხრილში მოცემულია KO ტიპის ტურბინის გაანგარიშების შედეგები. ანგარიშში მიღებულია, რომ ორთქლის საწყისი პარამეტრებია: $p_0=10\text{მპა}$; $t_0=550^\circ\text{C}$; კონდენსატორში წნევა $p_{\text{d}}=0.004$ მგპა; ორთქლის რეგულირებადი ართმევების რიცხვი $n=1$; ართმევის წნევა $p_{\text{არ}}=0.14$ მგპა; ტურბინის შიგა ფარდობითი მქ კოეფიციენტი $\eta_{\text{ტ}}=0.8$; თეცის ორთქლგენერატორის მქ კოეფიციენტი $\eta_{\text{ა}}=0.9$; $\eta_{\text{ტ}}=0.97$; $\omega \approx 0.4$; $\eta_{\text{ტ}}^{\text{კ}}=0.3456$; $\eta_{\text{ტ}}^{\text{კ}}=0.3352$. ორთქლის ართმევის წილი კონდენსაციურ რეჟიმში $\alpha_{\text{a}}=0$, ხოლო უკუწნევის რეჟიმში $\alpha=1$.

ცხრილი 5

გაანგარიშების შედეგები KO ტიპის ტურბინებისთვის, როცა $p_{\text{არ}}=0.14$ მგპა

პარამეტრები	$\alpha = 1$ მნიშვნელობები					
	0	0.2	0.4	0.6	0.8	1.0
$\eta_{\text{ტ}}^{\text{კ}}$	-	0.4622	0.589	0.7161	0.843	0.97
$\eta_{\text{აა}}$	-	0.4076	0.5195	0.6316	0.7435	0.8554
A_{o}	-	0.2112	0.5632	1.267	3.379	∞
\bar{N}_{o}	-	0.1744	0.3603	0.559	0.7716	1.0
$\bar{B}_{\text{აა}}$	0	0.102	0.188	0.256	0.320	0.371
$\bar{B}_{\text{აა}}[4]$	0	0.098	0.182	0.254	0.316	0.370

მე-6 ცხრილში მოცემულია გაანგარიშების ანალოგიური მონაცემები, სადაც შეცვლილია მხოლოდ ართმევის წნევა- $p_{\text{არ}}=0.26$ მგპა. ამ დროს $\omega \approx 0.35$. დანარჩენი პარამეტრები კი იგივეა.


გაანგარიშების შედეგები KO ტიპის ტურბინებისთვის, როცა $p_{\text{არ}} = 0.26$ მგპ

პარამეტრები	α -ს მნიშვნელობები					
	0	0.2	0.4	0.6	0.8	1.0
$\eta_{\text{ტ}}$	-	0.4622	0.589	0.7161	0.843	0.97
$\eta_{\text{მგ}}$	-	0.4076	0.5195	0.6316	0.7435	0.855
A_{ω}	-	0.1918	0.5115	1.1508	3.0689	∞
\bar{N}_{ω}	-	0.1609	0.3384	0.5351	0.75423	1.0
$\bar{B}_{\beta\beta}$	0	0.095	0.1754	0.2437	0.302	0.351
$\bar{B}_{\beta\beta}[4]$	0	0.091	0.172	0.243	0.308	0.365

მე-5 და მე-6 ცხრილებში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩვენი მეთოდიკით გაანგარიშებული სათბობის ფარდობითი ეკონომია პრაქტიკულად ემთხვევა [36]-ის მონაცემებს. მაქსიმალური განსხვავება შეადგენს 0.4%-ს. ისიც მაშინ როდესაც ადგილი აქვს ორთქლის ართმე-გას მცირე წილით ($\alpha = 0.2$).


ავაგოთ გრაფიკი $\bar{B}_{\beta\beta} = f(\alpha)$ ორი შემთხვევისათვის როცა: 1)

$p_{\text{არ}} = 0.14$ მგპა და 2) $p_{\text{არ}} = 0.26$ მგპა. როგორც გრაფიკიდან ჩანს, α -ის გადიდებისას $\bar{B}_{\beta\beta}$ იზრდება.



ნახ. 8. ართმეული ორთქლის წილის გაგლენა სათბობის ფარდობით ეკონომიაზე;
მიღებულია: $p_0 = 10$ მგპა; $t_0 = 550^{\circ}\text{C}$; $p_{\beta} = 0.004$ მგპა; $p_{\text{არ}}$, მგპა: 1 - 0.14;
2 - 0.26

მაქსიმუმს ($35 \div 37\%$) აღწევს, მაშინ როცა $\alpha = 1$. ართმევის წნევის გაზრდისას (0.14 -დან 0.26 -მდე) $\bar{B}_{\text{ა}}$ რამდენადმე მცირდება, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა მაშინ, როცა $\alpha \geq 0.4$.



ნახ. 9. ორთქლის საწყისი წნევის გავლენა სათბობის ფარდობით ეკონომიაზე; მოდელია: $t_0 = 550^{\circ}\text{C}$; $p_{\text{არ}} = 0.14$ მგპა; $\alpha = 1$.

ნახ. 9-ზე მოცემულია ორთქლის საწყისი წნევის გავლენის დამოკიდებულება სათბობის აბსოლუტურ ეკონომიაზე. ამ დროს საწყისი ტემპერატურა უცვლელია $t_0 = 550^{\circ}\text{C}$; გრაფიკი აგებულია, როცა ტურბინა მუშაობს უკუწევის რეჟიმში ($\alpha = 1$), როცა ართმეული ორთქლის წნევა $p_{\text{არ}} = 0.14$ მგპა. როგორც ნახაზიდან ჩანს, როცა საწყისი წნევა იზრდება 10-დან 13 მგპა-მდე, $\bar{B}_{\text{ა}}$ პრაქტიკულად არ იცვლება. როცა $p_0 = 15$ მგპა, $\bar{B}_{\text{ა}}$ სიდიდე იცვლება უმნიშვნელოდ, ხოლო როცა წნევა მატულობს $p_0 = 19 \div 20$ მგპა-მდე, მაშინ აღინიშნება $\bar{B}_{\text{ა}} -$ ის მნიშვნელობის გაზრდა - $4.5 \div 5\%$ -ით.

საინტერესოა $\bar{B}_{\text{ა}} -$ ის დამოკიდებულება ორთქლის ართმევათა რიცხვზე.

მიღებულია, რომ $\sum = 0.6$:


$$\begin{aligned}\eta_{\text{бет}} &= \frac{(\mathcal{P}_{\text{вод}} + Q_{\text{возд}} + Q_{\text{жид}}) \cdot 3600}{B_{\text{вод}} \cdot 29300} = \\ &= \frac{(389,12 \cdot 10^6 + 135,3 \cdot 10^6 + 89,26 \cdot 10^6) \cdot 3600}{129,19 \cdot 10^6 \cdot 29300} = 0,5838 \approx 58,4\%,\end{aligned}\quad (69)$$

სადაც $Q_{\text{возд}} = 24468,2 \cdot 3648 = 89,26 \cdot 10^6$ კვტ.სთ – ცხელწყალმომარაგებაზე

გაცემული სითბოს რაოდენობა გათბობის სეზონში.

28) განვსაზღვროთ რამდენი ცენტი დაიზოგება ყოველ კვტ.სთ-ზე ატდის ძალურ რეჟიმში მუშაობასთან შედარებით ტარიფის ოთხი მნიშვნელობის დროს: 8 თეთრი/(კვტ.სთ) ($\sim 4,79$ ცენტი/(კვტ.სთ)), 8,48 თეთრი/(კვტ.სთ) ($\sim 5,08$ ცენტი/(კვტ.სთ)), 9 თეთრი/(კვტ.სთ) ($\sim 5,39$ ცენტი/(კვტ.სთ)), 9,5 თეთრი/(კვტ.სთ) ($\sim 5,69$ ცენტი/(კვტ.სთ)). ჩამოთვლილი ტარიფებიდან ამჟამად მოქმედებს ერთი: 8,48 თეთრი/(კვტ.სთ). გაანგარიშებებში მიღებულია დოლარის კურსი 1,67 თეთრი

თრი

$$\Delta C_{\text{вод}} = 4,79 - 4,4 = 0,39 \text{ ცენტს/(კვტ.სთ);}$$

$$\Delta C_{\text{вод}} = 5,08 - 4,4 = 0,68 \text{ ცენტს/(კვტ.სთ);}$$

$$\Delta C_{\text{вод}} = 5,39 - 4,4 = 0,99 \text{ ცენტს/(კვტ.სთ);}$$

$$\Delta C_{\text{вод}} = 5,69 - 4,4 = 1,29 \text{ ცენტს/(კვტ.სთ);}$$

წლის განმავლობაში, როცა გაიცემა $\mathcal{E}_{\text{вод}} = 831,99 \cdot 10^6$ კვტ.სთ ელექტროგია,

სულ დაიზოგება

$$\Delta I = 831,99 \cdot 10^6 \cdot 0,39 = 324,48 \cdot 10^4 \text{ დოლ/წლ;}$$

$$\Delta I = 831,99 \cdot 10^6 \cdot 0,68 = 565,75 \cdot 10^4 \text{ დოლ/წლ;}$$

$$\Delta I = 831,99 \cdot 10^6 \cdot 0,99 = 823,67 \cdot 10^4 \text{ დოლ/წლ;}$$

$$\Delta I = 831,99 \cdot 10^6 \cdot 1,29 = 1073,27 \cdot 10^4 \text{ დოლ/წლ;}$$

29) ატ - თეცში კაპიტალდაბანდება შეადგენს

$$K = k_{\text{вод}} \cdot N_{\text{вод}} = 200 \cdot 109400 = 21880000 \text{ დოლ.}$$

30) ორთქლაირული დანადგარის ანალიზიურად, რომლისთვისაც მიღებულია $k=700$ დოლ/კვტ [47]. დამატებითი კაპიტალდაბანდება ატ-თეცის

მოსაწყობად მივიღოთ $k_{\text{დამ}} = 200$ დოლ/კვტ შესაბამისად კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა

$$T = \frac{K_{\text{დამ}}}{\Delta L} = \frac{21880000}{324,48 \cdot 10^4} = 6,74 \text{ წელი;}$$


$$T = \frac{K_{\text{დამ}}}{\Delta L} = \frac{21880000}{565,75 \cdot 10^4} = 3,81 \text{ წელი;}$$

$$T = \frac{K_{\text{დამ}}}{\Delta L} = \frac{21880000}{823,67 \cdot 10^4} = 2,65 \text{ წელი;}$$

$$T = \frac{K_{\text{დამ}}}{\Delta L} = \frac{21880000}{1073,27 \cdot 10^4} = 2,03 \text{ წელი;}$$

თუ გავითვალისწინებთ თბური ენერგიის რეალიზაციით მიღებულ მოგაბას, კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა უდრო ნაკლები იქნება.

ნახ. 41-ზე ნაჩვენებია ელექტროენერგიის ტარიფის $C_{\text{ტარ}}$ გავლენა კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადაზე.



ნახ. 41. ელექტროენერგიის ტარიფის $C_{\text{ტარ}}$ გავლენა კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადაზე

T
წელი

ცხრილი 33

გარდაბნის ატ-თეცის მაჩვენებლები

Nº	პარამეტრი	განზომილება	სიდიდე
1	ელექტრული სიმძლავრე	კვტ	54700
2	ელ. ენერგიის წლიური გამომუშავება	კვტ.სთ/წლ	$853,12 \cdot 10^6$
3	ელ. ენერგიის წლიური გაცემა	კვტ.სთ/წლ	$831,99 \cdot 10^6$
4	თბური სიმძლავრე	კვტ	64390
5	პირობითი სათბობის ხარჯი (წლიური)	გგპ.ს/წლ	$276,22 \cdot 10^6$
6	ბუნებრივი აირის წლიური ხარჯი	$\text{გ}^3/\text{წლ}$	$227,34 \cdot 10^6$


7	გათბობის სეზონში გაცემული ელ.ენერ-გიის რაოდენობა	კვტ.სთ	$389,12 \cdot 10^6$
8	ატდ-თეცში პირობითი სათბობის საშუალო წლიური კუთრი ხარჯი ელ.ენერგიის გაცემაზე	კგპ.ს./(კვტ.სთ)	0,2806
9	ელ.ენერგიის თვითღირებულება	ცენტი/(კვტ.სთ)	4,4
10	ბუნებრივი აირის წლიური ხარჯი თბური ენერგიის გამომუშავებაზე	$\vartheta^3/\text{წლ}$	$35,19 \cdot 10^6$
11	თბური ენერგიის ჯამური წლიური გამომუშავება	$\vartheta\mathcal{X}/\text{წლ}$	1174140
12	პირობითი სათბობის კუთრი ხარჯი თბური ენერგიის გამომუშავებაზე	კგპ.ს./გჯ	36,4
13	ატდ-თეცის სრული მქ კოეფიციენტი (საშუალო წლიური)	%	53
14	ატდ-თეცის სრული მქ კოეფიციენტი გათბობის სეზონში	%	58,4
15	კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ვადა, როცა ელ.ენერგიის ტარიფია; ცენტი/(კვტ.სთ): а) 4,79 б) 5,08 в) 5,39 г) 5,69	წლი	6,74 3,81 2,65 2,03

გაანგარიშების შედეგები მოყვანილია 34-ე ცხრილში, აგრეთვე გრაფიკული სახით ნახ. 42.


ცხრილი 34
FT8 Twin Pas აირტურბინების ძირითადი მახასიათებლები გარემოს ტემპერატურაზე დამკიდებულებით

№	დასახელება	გარემოს ტემპერატურა, C°							
		-10	0	5	10	15	20	30	40
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	მაქსიმალური ელექტრული სიმძლავრე, მგვტ	57,92	56,88	54,41	52,47	50,55	48,61	44,59	40,96
2	მქ კოეფიციენტი, %	38,06	37,77	37,54	37,26	36,96	36,61	35,71	34,71
3	სითბოს კუთრი ხარჯი, კჯ/(კვტ.სთ)	9459	9532	9589	9661	9741	9834	10080	10372
4	აირტურბინიდან გამოსული წვის აირადი ნაწარმის მასური ხარჯი, კგ/წმ	183,5	178,8	174,4	170,5	166,2	161,7	152,1	142,9
5	აირტურბინიდან გამოსული წვის აირადი ნაწარმის ტემპერატურა °C	439	456	455	457	462	468	481	495
6	სათბობის ხარჯი, კგ/სთ	11412	11297	10871	10562	10260	9960	9365	8851
7	ატდ-ის თბური სიმძლავრე $Q_{\text{გმ}}$, მგვტ	63,99	65,58	63,78	62,71	62,01	61,36	56,2	58,32
8	ატ-თეცის კუთრი თბური სიმძლავრე $q_{\text{გმ}} / \omega$	1,05 0,952	1,153 0,867	1,172 0,853	1,195 0,839	1,227 0,815	1,262 0,792	1,260 0,794	1,424 0,702
9	$\beta_{\text{წლ}}$ სათბობის ხარჯის წილი ელ.ენერგიის გამომუშავებაზე	0,683	0,673	0,670	0,666	0,660	0,653	0,654	0,625


10	$\beta_{\text{б}} \text{ სათბობის ხარჯის წილი სითბოს გამომუშავებაზე}$	0,317	0,327	0,33	0,334	0,34	0,347	0,346	0,375
11	სათბობის ხარჯი ელექტროენერგიის გამომუშავებაზე $B_{\text{მკ}}^{\text{ელ}}$, კგ/სთ	7794,4	7602,9	7283,6	7034,3	6771,6	6503,9	6124,7	5531,9
12	სათბობის ხარჯი სითბოს გამომუშავებაზე $B_{\text{მკ}}^{\text{ბ}} \text{, კგ/სთ}$	3617,6	3694,1	3587,4	3527,7	3488,8	3456,1	3240,3	3319,1
13	სათბობის კუთრი ხარჯი ელექტროენერგიის გამომუშავებაზე $b_{\text{მკ}}^{\text{ელ}}$, კგ/(კვტ.სთ)	0,2048	0,2013	0,1940	0,1888	0,1832	0,1777	0,1715	0,1594
14	სათბობის კუთრი ხარჯი სითბოს გამომუშავებაზე $b_{\text{მკ}}^{\text{ბ}} \text{, კგ/კვ}$	15,7	15,65	15,62	15,63	15,63	15,65	16,01	15,81
15	სათბობის ფარდობითი ექონომია $\bar{B}_{\text{მკ}}$	0,3256	0,3403	0,3398	0,3386	0,3400	0,3401	0,3227	0,3333




ნახ. 42. FT8 Twin Pas ატლ-ის ელექტრული სიმძლავრისა და მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე




ნახ. 43. გარე პაერის ტემპერატურის გავლენა FT8 Twin Pas ატლ-ის სითბოს კუთრ ხარჯზე




ნახ. 44. FT8 Twin Pas ატლ-ის წარმავალი აირების ტემპერატურის დამოკიდებულება გარე პაერის ტემპერატურაზე




ნახ. 45. ატ-თეცის თბური სიმძლავრის დამოკიდებულება გარე პაერის ტემპერატურაზე




ნახ. 46. FT8 Twin Pas ატდ-ის სათბობის ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე



ნახ. 47. FT8 Twin Pas ატდ-ის ელექტროენერგიის გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე



ნახ. 48. FT8 Twin Pas ატდ-ის სითბოს გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის და
მოკიდებულება გარე პაერის ტემპერატურაზე



ნახ. 49. სათბობის ფარდობითი ხარჯის დამოკიდებულება გარე პაერის ტემპერატუ-
რაზე

3.2.1. პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულების ანგარიში

ენერგეტიკული პროექტების ეკონომიკურ ეფექტურობის შესაფა-
სებლად საჭიროა განისაზღვროს წმინდა დისკონტირებული შემოსავა-
ლი, რომელიც პირველადი კაპიტალდაბანდების (IC) და დისკონტირე-
ბული ფულადი ნაკადების ჯამის სხვაობაა. რადგან ფულადი ნაკადები
განაწილებულია დროში, ამიტომ ინვესტორის მიერ პროგნოზირდება
ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არსებულ პირობებში შეიძ-
ლება მომგებიანად ჩაითვალოს.

წმინდა დისკონტირებული ღირებულების (Net Present Value, NPV)
გაანგარიშება ეყრდნობა ფულადი სახსრების ნაკადის დისკონტირების
მეთოდოლოგიას [48]. აქ ფაქტობრივად ერთმანეთს ვადარებთ ინვესტი-
ციის რაოდენობას და ამ ინვესტიციის შედეგად მიღებული შემოსავლე-
ბის მიმდინარე ღირებულებას. ანგარიშის შედეგად მიღებული NPV და-
დებითია, მაშინ არჩეული უნდა იქნეს ის პროექტი, რომლის NPV მეტი
იქნება.

ცხრილი 35

ფულადი ნაკადების მიმდინარე დირებულება, თუ საპროცენტო განაკვეთი 20%-ია,
 $C_{\text{ტარ}} = 4,79$ ცენტი/(კვტ.სთ)

წელი	კოეფიციენტი 20%-ის პირობებში	ფულის ნაკადი (აშშ დოლარი)	მიმდინარე დირე- ბულება
0	-	-	-
1	0,8333	$2656,82 \cdot 10^4$	$2213,9 \cdot 10^4$
2	0,6944	$2656,82 \cdot 10^4$	$1844,9 \cdot 10^4$
3	0,5787	$2656,82 \cdot 10^4$	$1537,5 \cdot 10^4$
4	0,4823	$2656,82 \cdot 10^4$	$1281,4 \cdot 10^4$
5	0,4019	$2656,82 \cdot 10^4$	$1067,8 \cdot 10^4$
			$7945,5 \cdot 10^4$

$$NPV = 7945,5 \cdot 10^4 - 2188 \cdot 10^4 = 5757,5 \cdot 10^4 \text{ დოლარი}$$

ცხრილი 36

ფულადი ნაკადების მიმდინარე დირებულება, თუ საპროცენტო განაკვეთი 20%-ია,
 $C_{\text{ტარ}} = 5,08$ ცენტი/(კვტ.სთ)

წელი	კოეფიციენტი 20%-ის პირობებში	ფულის ნაკადი (აშშ დოლარი)	მიმდინარე დირე- ბულება
0	-	-	-
1	0,8333	$2817,67 \cdot 10^4$	$2347,96 \cdot 10^4$
2	0,6944	$2817,67 \cdot 10^4$	$1956,6 \cdot 10^4$
3	0,5787	$2817,67 \cdot 10^4$	$1629,76 \cdot 10^4$
4	0,4823	$2817,67 \cdot 10^4$	$1358,96 \cdot 10^4$
5	0,4019	$2817,67 \cdot 10^4$	$1132,42 \cdot 10^4$
			$8425,70 \cdot 10^4$

$$NPV = 8425,70 \cdot 10^4 - 2188 \cdot 10^4 = 6237,7 \cdot 10^4 \text{ დოლარი}$$

ცხრილი 37

ფულადი ნაკადების მიმდინარე დირებულება, თუ საპროცენტო განაკვეთი 20%-ია,
 $C_{\text{ტარ}} = 5,39$ ცენტი/(კვტ.სთ)

წელი	კოეფიციენტი 20%-ის პირობებში	ფულის ნაკადი (აშშ დოლარი)	მიმდინარე დირე- ბულება

0	-	-	-
1	0,8333	$2989,6 \cdot 10^4$	$2491,2 \cdot 10^4$
2	0,6944	$2989,6 \cdot 10^4$	$2076 \cdot 10^4$
3	0,5787	$2989,6 \cdot 10^4$	$1729,2 \cdot 10^4$
4	0,4823	$2989,6 \cdot 10^4$	$1441,9 \cdot 10^4$
5	0,4019	$2989,6 \cdot 10^4$	$1201,5 \cdot 10^4$
			$8939,8 \cdot 10^4$


$$NPV = 8939,8 \cdot 10^4 - 2188 \cdot 10^4 = 6751,8 \cdot 10^4 \text{ ლოდარი}$$

ცხრილი 38


ფულადი ნაკადების მიმდინარე დირებულება, თუ საპროცენტო განაკვეთი 20%-ია,
 $C_{\text{გა}} = 5,69 \text{ ცენტი} / (\text{კვტ.სთ})$

წელი	პოეზიციები 20%-ის პირობებში	ფულის ნაკადი (აშშ ლოდარი)	მიმდინარე დირებულება
0	-	-	-
1	0,8333	$3156 \cdot 10^4$	$2629,9 \cdot 10^4$
2	0,6944	$3156 \cdot 10^4$	$2191,5 \cdot 10^4$
3	0,5787	$3156 \cdot 10^4$	$1825,4 \cdot 10^4$
4	0,4823	$3156 \cdot 10^4$	$1522,1 \cdot 10^4$
5	0,4019	$3156 \cdot 10^4$	$1268,4 \cdot 10^4$
			$9437,3 \cdot 10^4$


$$NPV = 9437,3 \cdot 10^4 - 2188 \cdot 10^4 = 7249,3 \cdot 10^4 \text{ ლოდარი}$$




ნახ. 50. დისკონტირებული შემოსავალი 5 წლის განმავლობაში, როცა
 $C_{\text{გა}} = 4,79 \text{ ცენტი} / (\text{კვტ.სთ})$




ნახ. 51. დისკონტირებული შემოსავალი 5 წლის განმავლობაში, როცა $C_{\text{გა}} = 5,08$ ცენტი/(კვტ.სთ)



ნახ. 52. დისკონტირებული შემოსავალი 5 წლის განმავლობაში, როცა $C_{\text{გა}} = 5,39$ ცენტი/(კვტ.სთ)



ნახ. 53. დისკონტირებული შემოსავალი 5 წლის განმავლობაში, როცა
 $C_{\text{ტარ}} = 5,69$ ცენტი/(კვტ.სთ)
 NPV, მლნ. ლოდარი



ნახ. 54. ელექტროენერგიის ტარიფის $C_{\text{ტარ}}$ გავლენა NPV, მლნ. ლოდარი -ზე

3.3. კოგენერაციულ სისტემებში რთული სქემების აირტურბინული დანადგარების გამოყენების ეფექტურობა

ამჟამად მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ელექტრული და თბური ენერგიების კომბინირებული გამომუშავების (კოგენერაციის) სისტემების განვითარებას [48,49]. ამერიკის შეერთებული შპეციალური კარგა ხანია, ინჟინერ-ენერგეტიკოსთა ასოციაციის შემადგენლობაში მოქმედებს “ენერგიის კომბინირებული გამომუშავების ინსტიტუტი.” ცალკე გამოდის ჟურნალი “Gogeneration”, რომელიც გამოეყო ჟურნალ “Gas Turbine World”-ს.

გასული საუკუნის 80-იან წლებამდე კოგენერაცია მსოფლიოში ძირითადად ორთქლტურბინულ თეცებზე იყო დაფუძნებული. მათი ეფექტურობა საკმაოდ მაღალია დიდი თბური დატვირთვების დროს. მცირე და საშუალო თბური დატვირთვების პირობებში კი უპირატესობა ენიჭებათ აირტურბინულ თეცებს. ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზით დადგინდა [50], რომ აირტურბინული დანადგარების (ატდ) წარმავალი აირების სითბოს უტილიზაცია კომბინირებულ დანადგარებში ეკონომიკურად გამართლებულია არა მხოლოდ მძლავრი ატდებისთვის არამედ ბევრად უფრო ნაკლები სიმძლავრის (2 მგვტ-მდე) დანადგარებისთვის. მათი გამოყენება მიზანშეწონილია რაიონული თბომომარაგების სისტე-

მებში, სხვადასხვა მასალების შრობისათვის და ტექნოლოგიური ორთქლის მისაღებად.

ამჟამად აირტურბინულ კოგენერაციულ სადგურებში ძირითადად გამოიყენება უმარტივესი თერმოდინამიკური ციკლის აირტურბინული დანადგარები. ასეთი თეცების ენერგოფექტურობა საკმაოდ მაღალია, რაც დასტურდება როგორც მეცნიერთა გამოკვლეულებით (მაგ, [51,52], ასევე უკვე არსებული სადგურების ექსპლუატაციის მონაცემებით [16]. უფრო მეტი ეკონომიკური უფექტის მიღებაა შესაძლებელი, თუ კოგენურაციისთვის გამოყენებული იქნება რთული სქემების მრავალაგრეგატიანი ატდ-ები სითბოს შუალედური მიწოდებით და ჰაერის შუალედური გაცივებით, ვინაიდან ასეთი დანადგარები გამოირჩევა გარკვეული თერმოდინამიკური უპირატესობებით [53,54]. კერძოდ, შესაძლებელია შუალედურ ჰაერსაცივრებში გამოყოფილი სითბოს გამოყენება კოგენერაციის სისტემებში და წარმავალი აირების ტემპერატურის რეგულირება. არსებობს ატდ-ების თბური სქემების მრავალი სახეობა, ამიტომ კოგენერაციაში მათი გამოყენების უფექტურობის ზოგადი ანალიზი გაძნელებულია. ამის გამო ხშირად იხილავენ კონკრეტული, შედარებით მარტივი სქემის ატდ-ს, მაგალითად ერთი შუალედური ჰაერსაცივრით, რეგენერატორით და ერთი შუალედური წვის კამერით. უფრო მეტი ჰაერსაცივრების და წვის კამერების გამოყენება კი იძლევა გარკვეულ თერმოდინამიკურ უპირატესობას, მაგრამ ეს ძალიან ართულებს და აძვირებს დანადგარს. ამერიკის მეცნიერი ი.რაისი თვლის [55], რომ ჰაერის შუალედური გაცივების (შგ) განხორციელება გაცილებით უფრო ადგილია, ვიდრე სითბოს შუალედური მიწოდების რეალიზება. შგ-ის გამოყენება ამცირებს ჰაერის შეკუმშვაზე დახარჯულ მუშაობას. შგ-სთან ერთად ხშირად იყენებენ რეგენერაციას. კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც გააჩნია ატდ-ის ციკლს შუალედური გაცივებით და რეგენერაციით, იმაში მდგომარეობს, რომ მისი მქ კოეფიციენტი 50%-იანი დატვირთვის დროს თითქმის ისეთივე რჩება, როგორც სრული, 100%-იანი დატვირთვისას [55], ე.ო. შენარჩუნდება დანადგარის მაღალი თბური ეკონომიკურობა ნაწილობრივი დატვირთვების დროს.

სითბოს შეალედური მიწოდებით ატდ-ის დიდი უპირატესობა იმ-აში მდგომარეობს, რომ, გარდა წარმავალი აირების მაღალი ტემპერატურის მიღებისა, რაც მნიშვნელოვანია კოგენერაციისთვის, უზრუნველყოფილი იქნება კუთრი ეფექტური მუშაობის (1 კგ მუშა სხეულზე გათვლით) მნიშვნელოვანი გადიდება. ი. რაისის აზრით საკმაოდ გართულებული ციკლებით მომუშავე ატდ-ები შეიძლება გამოყენებული იქნას მრეწველობაში, აგრეთვე უპირატესად სითბოსა და ელექტროენერგიის ერთობლივი გამომუშავებსთვის, ე.ი. კოგენერაციულ სისტემაში.

სათბობის ეკონომიის განსაზღვრა, რომელსაც უზრუნველყოფს აირტურბინული თეცი (ატ-თეცი) თბოელექტრომომარაგების განცალკევებულ ვარიანტთან შედარებით (კესი + რაიონული საქვაბე), უფრო მარტივია ვიდრე ორთქლტურბინული თეცის შემთხვევაში. ეს იმით აიხსნება, რომ სათბობის ხარჯი ატდ-ზე განისაზღვრება მხოლოდ მისი ელექტრული სიმძლავრით და საერთოდ არ არის დამოკიდებული სითბოს რაოდენობაზე, რომელიც გაიცემა ატ-თეციდან. სათბობის აღნიშნული ეკონომია შეიძლება შეფასდეს სითბოს ფარდობითი ეკონომიის მეშვეობით $q_{\text{ა}} = Q_{\text{ა}} / Q_{\text{გ}}$, სადაც $Q_{\text{ა}}$ არის სითბოს აბსოლუტური ეკონომია

$$Q_{\text{ა}} = \left(Q_{\text{ა}} + Q_{\text{საქ}} \right) - Q_{\text{ატდ}} \quad (70)$$

$Q_{\text{ა}} , Q_{\text{საქ}}, Q_{\text{ატდ}}$ - სათბობის სითბოს ხარჯები შესაბამისად ჩასანაცვლებელ კესება და საქვაბეში და ატდ-ზე;

$Q_{\text{გ}}$ – ატდ-ის თბური სიმძლავრე – სითბოს მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცეს გარე მომხმარებლებზე ატდ-დან დროის ერთეულში მისი სრული ელექტრული სიმძლავრის დროს. $q_{\text{ა}}$ – ის გამოსათვლელათ [63] -ში მიღებულია ფორმულით

$$q_{\text{ა}} = \frac{1}{\eta_{\text{საქ}}} - \frac{\frac{1/\eta_{\text{ატდ}} - 1/\eta_{\text{ა}}}{1/\eta_{\text{ატდ}} - 1/\eta_{\text{გ}} - q_{\text{ა}}}}{1}, \quad (71)$$

სადაც $\eta_{\text{საქ}}$ და $\eta_{\text{ა}}$ - ჩასანაცვლებელი საქვაბის და კესის მქ კოეფიციენტებია; $\eta_{\text{ატდ}}$ და $\eta_{\text{გ}}$ - ატდ-ისა და მისი ელექტრომექანიკური მქ კოეფი-

ციენტები; $q_{\text{წარ}} - \text{წარმავალი}$ აირებით სითბოს კუთრი დანაკარგი (1კგტ
სიმძლავრეზე), ($\text{კჯ}/\text{წ}\theta$) / კგტ [56]:

$$q_{\text{წარ}} = \frac{c_p d (t_{\text{წარ}} - t_{\text{გარ}})}{3600}, \quad (72)$$

სადაც c_p -მუშა სხეულის (აირის) კუთრი სითბოტევადობაა, $\text{კჯ}/(\text{კგ}\cdot\text{K})$,
 d – ატდ-ის მუშა სხეულის (აირის) კუთრი ხარჯი, $\text{კგ}/(\text{კვტ}\cdot\text{სთ})$,

$t_{\text{წარ}}$ -წარმავალი აირების ტემპერატურა საუტილიზაციო თბოგა-
დამცემის მიღმა, 0C , $t_{\text{გარ}} - \text{გარემოს ჰაერის } ^0C$
(71) ფორმულის მნიშვნელში მოთავსებული სამწევრი წარმოადგენს
ატ-თეცის კუთრ თბურ სიმძლავრეს, ანუ ელექტრული სიმძლავრის ერ-
თეულზე გაცემულ სითბოს რაოდენობას $q_{\text{გა}} = Q_{\text{გა}}/N_{\text{ელ}}$; ეს პარამეტრი
გაიანგარიშება ფორმულით [56]:

$$q_{\text{გა}} = 1/\eta_{\text{ატლ}} - 1/\eta_{\text{ელ}} - q_{\text{წარ}}. \quad (73)$$

სათბობის ფარდობითი ეკონომიის გასაანგარიშებლად რომელსაც
უზრუნველყოფს ატ-თეცი თბოელექტრომომარაგების განცალკევებულ
მეთოდთან შედარებით, გამოიყენება ფორმულა [56]:

$$\overline{B}_{\text{გა}} = 1 - \frac{\eta_{\text{ხატ}}/\eta_{\text{ატლ}}}{q_{\text{გა}} + \eta_{\text{ხატ}}/\eta_{\text{ელ}}}. \quad (74)$$

მოყვანილი მეთოდიკით [57] შეიძლება განისაზღვროს სათბობის
ფარდობითი ეკონომია $\overline{B}_{\text{გა}}$ ნებისმიერი სქემის ატდ-თი აღჭურვილი თე-
ცისათვის (როგორც მარტივი, ასევე რთული – ნახ. 56-58), მათ შორის
იმ შემთხვევაშიც, როდესაც სქემაში გათვალისწინებულია შუალედური
ჰაერსაცივარი. მასში გამოყოფილი სითბო გამოიყენება თბოქსელში ქი-
მიურად გაწმენდილი დასამატებელი წყლის და დაბრუნებული ქსელის
წყლის შესათბობათ.

განვსაზღვროთ $q_{\text{გა}}$ და $B_{\text{გა}}$ ორი შემთხვევისთვის: 1) როდესაც
ატ-თეცში გამოყენებულია უმარტივესი სქემის ატდ და 2) როდესაც აქ


გამოყენებულია რთული სქემის ატდ ერთი შუალედური ჰაერსაცივრით, რეგულირაციით და ერთი შუალედური წვის კამერით (ნახ. 57).

ატდ-თეცის მეორე ვარიანტში $\eta_{\text{ატდ}} = 0.294$, $d = 25.2 \text{ კმ}/(\text{კვტ.სთ})$; პირველი ვარიანტში: $\eta_{\text{ატდ}} = 0.32$, $d = 18.2 \text{ კმ}/(\text{კვტ.სთ})$.

მიღებულია [44], პირველ ვარიანტში: $\eta_{\text{ატდ}} = 0.294$, $d = 25.2 \text{ კმ}/(\text{კვტ.სთ})$;


მეორე ვარიანტში: $\eta_{\text{ატდ}} = 0.32$, $d = 18.2 \text{ კმ}/(\text{კვტ.სთ})$;

მესამე ვარიანტში: $\eta_{\text{ატდ}} = 0.38$, $d = 11.6 \text{ კმ}/(\text{კვტ.სთ})$;




ნახ. 55. ატდ-ის რთული სქემა ჰაერის ორსაფეხურიანი შეგუმშვით, შუალედური გაცივებით და რეგულირაციით; 1, 3 – დაბალი და მაღალი წნევის კომპრესორები; 2 – ჰაერსაცივარი, 4–რეგულირატორი, 5–წვის კამერა, 6–აირტურბინა; 7–ელ. განერატორი.

I–ჰაერი, II–სათბობი, III–წარმავალი აირები, IV–მაცივებელი (ან ქსელის) წყალი



ნახ. 56. ატდ-ის რთული სქემა ჰაერის ერთსაფეხურიანი შეგუმშვით, რეგულირაციით და სითბოს შუალედური მიწოდებით:

1–კომპრესორი, 2–რეგულირატორი, 3, 5–წვის კამერები, 4, 6–მაღალი და დაბალი წნევის ტურბინები, 7–ელექტროგენერატორი; I–ჰაერი, II–სათბობი, III–წარმავალი აირები



ნახ. 57. ატდ-ის რთული სქემა ჰაერის ორსაფეხურიანი შეგუმშვით, შუალედური გაცივებით, რეგულირაციით და სითბოს შუალედური მიწოდებით:

1, 2–დაბალი და მაღალი წნევის კომპრესორები; 3, 4–მაღალი და დაბალი წნევის ტურბინები; 5, 6–წვის კამერები; 7–რეგულირატორი; 8–ჰაერსაცივარი; 9–ელ. გენერატორ;

I–ჰაერი, II–წარმავალი აირები, III–სათბობი, IV–მაცივებელი (ან ქსელის) წყალი
დანარჩენი პარამეტრები სამივე ვარიანტისთვის მივიღოთ ერთნაირი:

$$\eta_{\text{ხა}} = 0.88, \quad \eta_{\text{გა}} = 0.37, \quad \eta_{\text{გა}} = 0.97, \quad t_{\text{წა}} = 110^{\circ}\text{C}, \quad t_{\text{გა}} = 0^{\circ}\text{C}.$$

გაანგარიშების შედეგები სამივე ვარიანტისთვის მოყვანილია ცხრილში 40, საიდანაც ჩანს, რომ განხილულ პირობებში უმარტივესი სქემის ატდ–ის მაგივრად რთული სქემის ატდ–ის გამოყენება აირტურბინულ თეცში უზრუნველყოფს როგორც სათბობის ფარდობითი ეკონომიის გაზრდის (გაცემული სითბოს ერთეულზე გაანგარიშებით), ისე სათბობის ეკონომიის გადიდებას – თბოელექტრომომარაგების განცალკევებულ ვარიანტთან შედარებით.

ცხრილი 39

ატ-თეცის მაჩვენებლები სხვადასხვა პირობებში

პარამეტრი	I ვარიანტი	II ვარიანტი	III ვარიანტი
	$\eta_{\text{ატ}} = 0.294,$ $d = 25.2 \text{ კმ}/(\text{კვტ.სთ})$	$\eta_{\text{ატ}} = 0.32,$ $d = 18.2 \text{ კმ}/(\text{კვტ.სთ})$	$\eta_{\text{ატ}} = 0.38,$ $d = 11.6 \text{ კმ}/(\text{კვტ.სთ})$
$q_{\text{წა}}$	0.816	0.589	0.3776
$q_{\text{გა}}$	0.687	0.856	1.1945
$q_{\text{გა}}$	1.514	1.505	1.223
$\bar{B}_{\text{გა}}$	0.231	0.292	0.357

სახელდობრ, $q_{\text{გა}}$ იზრდება

$$\Delta q_{\text{გა}} = \frac{0.856 - 0.687}{0.687} \cdot 100\% = 24.6\% - \text{თვ.},$$

$$\Delta q_{\text{გა}} = \frac{1.1945 - 0.856}{0.856} \cdot 100\% = 39.54\% - \text{თვ.},$$

ხოლო სათბობის ეკონომია

$$\Delta \overline{B}_{\text{aa}} = \frac{0.292 - 0.231}{0.231} \cdot 100\% = 26.4\% - \text{ით},$$

$$\Delta \overline{B}_{\text{aa}} = \frac{0.357 - 0.292}{0.292} \cdot 100\% = 22.26\% - \text{ით}.$$

40-ე ცხრილის მონაცემების გამოყენებით ნაჩვენებია ატდ-ის მქ კოეფიციენტის გავლენა სათბობის ფარდობით ეკონომიასა და q_{aa} -ზე.

როგორც ჩანს, ატდ მქ კოეფიციენტის გადიდებისას სათბობის ეკონომია მნიშვნელოვნად იზრდება q_{aa} კი მცირდება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ტიპის რთული სქემების აირტურბინული დანადგარების გამოყენება ატ-თეცებში უზრუნველყოფს სათბობის ეკონომიის გაზრდას ენერგოსისტემაში საშუალოდ $20 \div 25\%$ -ით, უმარტივესი სქემის ატდ-ების გამოყენებასთან შედარებით.

ატდ-თეცის თბური ეკონომიურობის მაჩვენებლების დასადგენად (პირობითი სათბობის საათური და კუთრი ხარჯები, სრული და კერძო მქ კოეფიციენტები, გაცემული სითბოს რაოდენობა პაერსაცივრიდან და წარმავალი აირებით და სხვ.) საჭიროა ატდ-ის თბური სქემის დეტალური გაანგარიშება ერთ-ერთი არსებული მეთოდიკის გამოყენებით.

ატ-თეცის კონკრეტული პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ფუნქციონირების რაონში ელექტრული და თბური დატვირთვის სიდიდეები და მათი ცვალებადობა წლის სეზონის მიხედვით, ბუნებრივი აირით მომარაგების პირობები და სხვა.

პიკური თბური დატვირთვების დასაფარავად საჭირო არ იქნება სპეციალური პიკური წყალსათბობი ქვაბის დაყენება, ვინაიდან ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს ე.წ. კმაწვა, როდესაც დამატებითი სათბობის დაწვით წარმავალი აირების არეში ხდება მისი ტემპერატურის გაზრდა საჭირო დონემდე.

აირტურბინული დანადგარის ტიპის და თბური სქემის შერჩევა დასაპროექტებელი ატ-თეცისათვის საბოლოოდ უნდა მოხდეს დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ერთმანეთს უნდა შედარდეს ასეთი თეცის სხვადასხვა ვარიანტები და დადგინდეს ოპტიმალური, განისაზღვროს სითბოსა და ელექტროენერგიის

თვითდირებულება, კაპიტალდაბანდებების გამოსყიდვის ვადა და სხვ.

3.4. ქ. თბილისის ტიპური საქვაბის ბაზაზე აირტურბინული თეცის შექმნის ტექნიკურ-ეკონომიკური ასპექტები

საქართველოს მძღავრი სათბიერებელი და სამრეწველო საქვა-ბების ტერიტორიებზე შეიძლება შეიქმნას რამდენიმე მძღავრი აირ-ტურბინული თეცი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის წლიურ გამომუშავებას. სითბოს და ელექტროენერ-გიის კომბინირებული გამომუშავება უზრუნველყოფს დაახლოებით 80 მილიონი დოლარის ღირებულების 1 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი ბუ-ნებრივი აირის ეკონომიას. ელექტროენერგიის გამომუშავების თვითდი-რებულება იქნება მცირე 2...2,5 ცენტი/(კვტ.სთ). აღნიშნული თეცების მშენებლობა, რაც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, დაჯდება დაახლოებით 2-ჯერ იაფი, ვიდრე ისეთივე სიმძლავრის მსხვილი ორთქლტურბინული თეცის აგება, ატ-თეცების ამოქმედება განსაკუთრებით ეფექტური იქნება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როდესაც ერთდროულად ადგილი აქვს ელექტრული და თბური დატვირთვების პიკებს. ცენტრალიზებული თბომომარაგების აღდგენას-თან ერთად ატ-თეცები სტაბილურად მოამარაგებენ ელექტროენერგიით პირველი კატ-გორიის უმნიშვნელოვანეს ობიექტებს, გააუმჯობესებენ ქალაქების ეკოლოგიურ მდგომარეობას, შეამცირებენ სითბოს და ელექტროენერ-გიის თვითდირებულებას.

აირტურბინული თეცები პირველ რიგში უნდა შეიქმნას ქ. თბი-ლისში, სადაც მათი საშუალებით შეიძლება მივიღოთ 300...500 მგვტ ბა-ზისური სიმძლავრე.

პირველ ეტაპზე ატ-თეცად უნდა გადაკეთდეს ერთი სათბიერე-ბელი რაიონული საქვაბე ტიპიური თბური დატვირთვით 110...140 მგვტ. აირტურბინული დანადგარების მუშაობის ხანგრძლივობის მაქსიმუმის მისაღწევად დაშვებული იქნა მათი მუშაობა ზამთრის პერიოდში 24 სთ. განმავლობაში და დანარჩენ პერიოდში – 3000 სთ. ცხელწყალმომარა-

გების დატვირთვის დასაფარავად. მუშაობის ასეთი რეჟიმი ითვალისწინებს აირტურბინული დანადგარების ექსპლუატაციას ელექტროენერგიის გამომუშავებით თბური დატვირთვის პირობებში, და გამორიცხავს ძალოვან რეჟიმებს. სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ბლოკ-თეცის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე საინვესტიციო პირობების განსაზღვრა სესხის გადახდის სტრატეგიის შემუშავება, მისი ხანგრძლივობის და წლიური საპროცენტო დანარიცხ-ხის გაანგარიშება მიღებული გადაწყვეტილების ეკონომიკური დასაბუ-თება.

სესხის დაფარვის ხანგრძლივობა და წლიური საპროცენტო გადასახადი ძირითადად განისაზღვრება სამი მაჩვენებლით: ელექტროენერგიის 1 კილოვატსათის და 1 გიგაჯოულის სითბოს სარეალიზაციობასთ და ერთეული დადგმული სიმძლავრის კუთრი დირებულებით (ატ-თეცის აგებისათვის კაპიტალდაბანდებების ჩათვლით).

მაგალითისთვის განვიხილოთ, გლდანში ადრე არსებული №17 საქვაბე, რომლის ძირითადი მონაცემები მოყვანილია [45]. ამასთან იქ მოყვანილი პარამეტრების ბაზაზე, ჩვენ განვახორციელოთ განმეორებითი გაანგარიშება [45] მოყვანილი მეთოდიკის გაანგარიშებით.

ქ. თბილისის გლდანის რაიონის სითბოთი მომარაგება დასახული იყო არსებული №44 საქვაბიდან, ჯამური დადგმული სიმძლავრით ცხელ წყალზე 419 – 544.7 გჯ/სთ-ში, ორთქლზე 20 ტ/სთ-ში. პროექტირების შესაბამისად რაიონის თბური დატვირთვები შეადგენს ზამთრის პერიოდში: გათბობაზე 419 – 544.7 გჯ/სთ-ში; ცხელი წყალით მომარაგებაზე – 167.6 გჯ/სთ-ში; ზაფხულის პერიოდში: ცხელი წყლით მომარაგებაზე 167.6 გჯ/სთ-ში.

№44 საქვაბის დახასიათება:

საქვაბეში დგას შემდეგი ძირითადი მოწყობილობანი: 2 დკპР – 10-13 ტიპის ქვაბი;

2 KB-GM-50 ტიპის წყალშემთბობი ქვაბი;

1 ПТВМ – 30 ტიპის წყალშემთბობი ქვაბი;

საქვაბის დადგმული თბური სიმძლავრე ტოლია: ცხელ წყალზე 544.7 გჯ/სთ; ორთქლზე 20 ტ/სთ-ში. საქვაბე ექსპლუატაციაშია გაშვებული 1983 წელს. სათბობის ძირითადი სახეა ბუნებრივი აირი, სათადარი-

გო სათბობი – მაზუთი. ზამთრის პერიოდში მუშაობს ყველა წყალშემთბობი ქვაბი. ორთქლის ქვაბები გამოიყენება საქვაბის საკუთარი მოხმარებისათვის (მაზუთის შესათბობად, დეაირებული წყლის მოსამზადებლად, და შეივსოს საკვები წყლის დონე და ასევე თბური ქსელებიც. ზაფხულის პერიოდში მუშაობს ერთი წყალშემთბობი ქვაბი (KB-GM-50) და ერთი ორთქლის ქვაბი საკუთარი მოხმარებისათვის. თბომომარაგების სისტემა ჩაკეტილია.

3.4.1. რაიონის თბომომარაგების სქემაში აირტურბინული თეცის მუშაობის რეჟიმი

აირტურბინული თეცის ჩართვის შემდეგ რაიონის თბომომარაგება განხორციელდება სითბოს ორი წყაროდან: №44 საქვაბიდან და აირტურბინული თეციდან ერთდროულად. ვითვალისწინებთ, რომ თეცის აირტურბინულ დანადგარში სითბოსა და ელექტროენერგიის ერთდროულად გამომუშავება უფრო ეფექტური და ეკონომიურია, თეცმა უნდა იმუშაოს როგორც თბური დატვირთვის საბაზისო ნაწილმა, ამასთან ტემპერატურული გრაფიკის შესაბამისად ქსელი წყლის დამატება მოხდება №44 საქვაბიდან (ე.წ. პიკური რეჟიმების დროს). ატ-თეცის აირტურბინული დანადგარიდან ცხელი წყლის მიწოდება ხდება შესაბამის №44 საქვაბის ქსელის წყლის კოლექტორებში. №44 საქვაბუ-ში თეცის აირტურბინული დანადგარის მუშაობისას ორთქლის ქვაბები უნდა მუშაობდეს საკუთარი მოხმარებისათვის (საკვები და დასამატებული წყლების შესათბობად, მაზუთის გასაცხელებლად). გათბობის პერიოდში რაიონის მთელი თბური დატვირთვა ხორციელდება, როგორც თეცის აირტურბინული დანადგარიდან, ისე №44 საქვაბიდან, ხოლო ზაფხულის პერიოდში მუშაობს მარტო თეცის აირტურბინული დანადგარი. ატ-თეცის თბური ქსელების შევსება ხდება №44 საქვაბის შემავსებელი კვანძიდან.

3.4.2. სათბობი

აირტურბინულ თეცში ძირითად სათბობად გამოიყენება ბუნებრივი აირი, ავარიული რეჟიმის დროს კი დიზელის საწვავი. ბუნებრივი აირის შემადგენლობა და დახასიათება:

$$CH_4 - 95,41; \quad C_2H_6 - 1,67; \quad C_3H_8 - 0,5867; \quad C_4H_{10} - 0,1323;$$

$$C_5H_{12} - 0,0412; \quad N_2 - 1,9329; \quad CO_2 - 0,2259.$$

სათბობის დაწვის სითბო (ბუნებრივი აირის-36000 კგ/ნმ³). ბუნებრივი აირის სიმკვრივე ნორმალურ პირობებში 0,75 კგ/ნმ³. ავარიული სათბობი – დიზელის საწვავი „ზაფხულის” – ГОСТ 305-82.

3.4.3. ძირითადი მოწყობილობის შედგენილობა და დახასიათება

აირტურბინული თეცის დანიშნულებაა გამოიმუშაოს ელექტროენერგია და სითბო ცხელი წყლით. ძირითადი და დამხმარე მოწყობილობანი განლაგებულია №44 საქვაბის მოედანზე ახლად დაპროექტბულ შენობაში. რაიონის თბოქსელში ცხელი წყლის მიწოდება ხდება №44 საქვაბის კოლექტორიდან. აირტურბინულ თეცში გათვალისწინებულია ორი აირტურბინა ГТМ, რომელთაგან თითოეული შედგება „ДженералЭлектрик” ენერგეტიკული მოდულური MS6001B ტიპის დანადგარისაგან და ქსელის წყლის აირული შემთბობისაგან, რომელიც ქ. ტაგანროგის АО „Красный котельщик”-ის მიერ არის დამზადებული.

3.4.4. MS6001B ტიპის ენერგეტიკული მოდულური დანადგარი

MS6001B-ს შეუძლია ელექტროენერგიაზე მოთხოვნა დაფაროს როგორც ბაზისურ, ნახევრად პიკურ და პიკურ რეჟიმებისას, ასევე საერთო სარგებლობის ელექტროსადგურებში, სადაც ელექტროენერგიისა და თბური ენერგიის კომბინირებული წარმოება ხდება. ჩარჩოზე დამაგრებული მარტივი ციკლის ერთდღერძიანი დანადგარი (PG6541-B) შეიცავს: 17 საფეხურიან დემულ კომპრესორს; სათბობის წვის მრავალ-კამერიან სისტემას (ორსათბობიანი-აირი, დიზელის სათბობი); სამსაფეხურიანი აირული ტურბინა.

აირტურბინული დანადგარის ბრუნთა რიცხვის შესამცირებლად 5094 ბრ/წთ-დან ელექტროგენერატორის ბრუნთა რიცხვამდე 3000 ბრ/წთ-

ში გათვალისწინებულია ერთსაფურიანი კბილანური რედუქტორი, რომელიც ტურბინასთან მიერთებულია მოქნილი, ღუნვადი ქუროთი, ხოლო ელექტროგენერატორთან ხისტი ქუროთი.

PG6541-B ტიპის აირტურბინულ დანადგარს აქვს შემდეგი სისტემები: საერთო შეზეთვის სისტემა აირტურბინისათვის, რედუქტორისთვის, ელექტროგენერატორის და დამხმარე მოწყობილობისთვის. აქ გამოიყენება მინერალური ზეთი (GEK-568); გამშვები სისტემა, რომელიც ნორმალური გაშვებისას უზრუნველყოფს 100% დატვირთვას 16 წუთში, დაჩქარებულ გაშვებისას კი 9 წუთში; ამძრავი სისტემა დამხმარე მოწყობილობისათვის (ზეთის ტუმბო, თხევადი სათბობის ტუმბო, რეგულირების ზეთის ტუმბო, თხევადი სათბობის გამფრქვევი აირკომპრესორი); ორმაგი თბური სისტემა (ბუნებრივ აირზე და თხევად სათბობზე ძირითადი სათბობიდან სათადარიგო სათბობზე გადართვის ავტომატური უზრუნველყოფით); ჰაერის მომზადების სისტემა, რომელიც დაყენებულია აირტურბინული დანადგარის შესასვლელთან. ეს სისტემა შედგება ფილტრის ნაკვეთურისაგან, მაყუჩისა და ჰაერსაფალისაგან.

აირტურბინული დანადგარის მუშაობის საპასპორტო (საანგარიშო) მონაცემები, როცა გარემოს ტემპურატურა $+15^{\circ}\text{C}$ -ია, ხოლო ბარომეტრული წნევა 10330 მმ.წყ.სვ. და დანადგარი მუშაობს ბუნებრივ აირზე მოცემულია ცხრილში 41.

ცხრილი 40

ატდ-ის მუშაობის საპასპორტო მონაცემები ($t_{\text{გარ}} = +15^{\circ}\text{C}$)

№	პარამეტრების დასახელება	განხომილება	მაჩვენებელი
1.	სიმძლავრე	მგვტ	39,16
2.	ძრავის მქპ	%	31,8
3.	სითბოს კუთრი ხარჯი	კვ/(კვტ.სთ)	11329,8
4.	წნევის მომატების ხარისხი	-	11,8
5.	წარმავალი აირების ხარჯი	კგ/სთ	141,5
6.	წვის კამერაში მუშა აირის ტემპერატურა	$^{\circ}\text{C}$	1104
7.	წარმავალი აირების ტემპერატურა	$^{\circ}\text{C}$	541
8.	ღერძის ბრუნვის სიხშირე	ბრ/წთ	5094
9.	ჰაერის წნევის დანაკარგი შესასვლელთან	მმ.წყ.სვ.	102
10.	წარმავალი აირების წნევის დანაკარგი გამოსასვლელთან	მმ.წყ.სვ.	63,5

წარმავალი აირებით გატანილი სითბო ~ 284.92 გჯ/სთ.

აზოტის ოქსიდის (NOx) შემცველობა ნამუშევარ აირებში, ჟანგბადის 85%-იანი პირობითი კონცენტრაციისას, მშრალ პროდუქტებში არ აღემატება 50 მგ/მ³.

3.4.5. ქსელის წყლის აირშემთბობი (ქწაშ)


ქსელის წყლის აირშემთბობი დამზადებულია ტაგანროგის „Красный котельщик“-ის АО-ს მიერ და განკუთვნილია ქსელის წყლის შესათბობად, მხოლოდ წარმავალი აირების სითბოს ხარჯზე, აქ დამატებითი სათბობის ხარჯი არ არის გათვალისწინებული. ქსელის წყლის აირშემთბობი დამზადებულია ბლოკის სახით და წარმოადგენს თბოგადამცემს და დამზადებულია განივი სპირალ-ლენტიანი შეწიბოვ-ნებულ მილებით. თბოგადამცემის ზედაპირი წარმოადგენს პორიზონტა-ლურ კლაკნილა პაკეტს, სადაც მილები ჭადრაკულად არის განლაგებული. პაკეტში მილების დაშორება და მათი დამაგრება ხორციელდება მილების სამაგრი დაფით.

აირშემთბობს ზევიდან აქვს კონფუზორი, რომელიც აირშემთბობს აერთებს საკვამლე მილში მიმავალ აირსავალთან.


საპასპორტო (საანგარიშო) მონაცემები აირშემთბობისა, როცა აირტურბინული დანადგარი მუშაობს 100%-ით დატვირთვით და გარემოს ტემპერატურა არის -7°C მოცემულია ცხრილში 41.

ატ-თეცის მუშაობის წლიური მაჩვენებლები


№	მაჩვენებლების დასახელება	განზომილება	სიდიდე
1	ელექტროენერგიის გამომუშავება ატ-თეცში	მლნ.კვტ.სთ/წელ	609,4
2	ატ-თეცის სალტეებიდან გაცემული ელექტროენერგია	მლნ.კვტ.სთ/წელ	589,01
3	ცხელი წყლით გაცემული სითბო	ათას.გკალ/წელ	695,18
4	ატ-თეცში საკუთარ მოხმარებაზე დახარჯული ელექტროენერგია	მლნ.კვტ.სთ/წელ %	20,39 3,35
	მათ შორის		
5	ელექტროენერგიის წარმოებაზე	მლნ.კვტ.სთ/წელ %	17,82 2,92
6	სითბოს წარმოებაზე	მლნ.კვტ.სთ/წელ %	2,57 0,42
7	პირობითი სათბობის ხარჯი	ათას.ტ.პ.ს	236,11
	მათ შორის		
8	ელექტროენერგიის წარმოებაზე	ათას.ტ.პ.ს	126,24
9	სითბოს წარმოებაზე	ათას.ტ.პ.ს	109,87
10	სათბობის პირობითი ხარჯი სითბოს წარმოებაზე	კგპ.ს./გკალ	170,0
11	იგივე ელექტროენერგიის წარმოებაზე	გპ.ს./კვტ.სთ	214,33




ნახ. 59. ატ-თეცის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავებაზე სათბობის კუთრი ხარჯის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე




ნახ. 60. გარე ჰაერის ტემპერატურის გავლენა ϖ პარამეტრზე




ნახ. 61. ატლ-თეცის ელექტრული მქ კოეფიციენტის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე




ნახ. 62. ატლ-თეცის თბერი სიმძლავრის დამოკიდებულება გარე ჰაერის ტემპერატურაზე



ნახ. 63. პირობითი სათბობის კუთრი ხარჯის ეკონომიის დამოკიდებულება გარე პაერის ტემპერატურაზე



ნახ. 64. სათბობის ფარდობითი ხარჯის დამოკიდებულება გარე პაერის ტემპერატურაზე



ნახ.65. სათბობის ეკონომიის ხარჯის დამოკიდებულება გარე პაერის ტემპერატურაზე

3.5. დიზელ-დანადგარების ნარჩენი სითბოს გამოყენება კოგენერაციაში

3.5.1. დიზელის ნამუშევარი სითბოს გამოყენების გზები და შესაძლებლობა

მძლავრი თეცების გარდა კოგენერაციული სადგურები შეიძლება შეიქმნას მცირე სიმძლავრის ენერგოდანადგარების ბაზაზე [59]. ერთ-ერთი ასეთი დანადგარია მცირე სიმძლავრის დიზელი.

დიზელის მუშა ცილინდრებში საწვავის წვის შედეგად მიღებული სითბო მთლიანად არ გარდაიქმნება სასარგებლო მუშაობად, ამ სითბოს დიდი ნაწილი იკარგება ნამუშევარი აირებით და მაცივებელი წყლით. თანამედროვე დიზელებში ეფუქტური მქ კოუფიციენტი $\eta_{\text{დ}}$ არ აღემატება $40-45\%$ -ს, ხოლო ძველი კონსტრუქციის, განსაკუთრებით ამორტიზებულ დიზელებში ის კიდევ უფრო ნაკლებია. ამრიგად, სითბოს დიდი ნაწილი (55% და მეტი) იკარგება, არადა ეს სითბო შეიძლება მოხმარდეს საწარმოო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საჭიროებას თვით ელექტროსადგურებში [60].

დიზელის თბური ბალანსიდან ჩანს, რომ მისი დაკარგული სითბო შედგება ნამუშევარი აირებით და მაცივებელი წყლის მიერ გატანილი სითბოსაგან, აგრეთვე სათბობის არასრული წვის შედეგად დაკარგული სითბოსგან და გარემოში გადაცემული სითბოსგან. უკანასკნელი არ ემორჩილება უტილიზაციის პროგრამას, თუმცა ის ჩვენგან დამოუკიდებლად ხან სასიკეთოდ მოქმედებს, ხან კი ზიანს გვაყენებს: ზამთარში იგი ათბობს სანამქანო დარბაზს და მიმდებარე სათავსებს ისე, რომ გათბობა საჭირო ადარ არის, მაგრამ ზაფხულში ძალიან აცხელებს შენობებში ჰაერს.

ნამუშევარი აირებით და მაცივებელი წყლით გატანილი სითბო შეიძლება გამოვიყენოთ სასარგებლო. ამასთან მაცივებელი წყლის სითბო შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო სრულად, ვიდრე წარმაგლი აირების სითბო. ნამუშევარმა აირებმა სითბოს ნაწილი შეიძლება გადასცეს ნებისმიერ თბოგადამტანს (წყალს, ორთქლს, ჰაერს და სხვ.)

აპარატ-უტილიზაცორის მეშვეობით. ნამუშევარი აირებიდან 1 სთ-ში გაცემული სითბო შეიძლება ვიანგარიშოთ ფორმულით:

$$Q_2 = (1 - \varphi) \cdot g_{\text{ფ}} \cdot N_{\text{ფ}} \cdot (i_{s1} - i_{s2}), \quad \text{გჯ/სთ} \quad (75)$$

სადაც $g_{\text{ფ}}$ - სათბობის კუთრი ხარჯია, კგ/(კვტ.სთ);

$N_{\text{ფ}}$ - დიზელის სიმძლავრე, კვტ;

i_{s1}, i_{s2} - აირის ენთალპია საუტილიზაციო ქვაბში შესვლისას და გამოსვლისას დიზელში დამწვარ 1 კგ სათბობზე შეფარდებით, გჯ/კგ; φ - სითბოს დანაკარგის კოეფიციენტი, რომელიც მიიღება 3-5%-ის ტოლი ან განისაზღვრება ექსპერიმენტულად.

ნამუშევარი აირების ენთალპია დამოკიდებულია უტილიზაცორში აირის შესვლის და გამოსვლის ტემპერატურაზე, აგრეთვე აირში ნახშირორჟანგისა და წყლის ორთქლის შემცველობაზე:

$$i_2 = [v_{\text{ფ}} C_{P\text{ფ}} + v_{H_2O} C_{pH_2O}] \cdot t_s \cdot 4,19, \quad \text{გჯ/სთ} \quad (76)$$

სადაც $v_{\text{ფ}}$ -არის წვის მშრალი პროდუქტების მოცულობა 1 კგ სათბობზე, მ³;

v_{H_2O} - წყლის ორთქლის მოცულობა 1 კგ დამწვარ სათბობზე, მ³;

$C_{P\text{ფ}}$ და C_{pH_2O} - მშრალი აირებისა და წყლის ორთქლის მოცულობითი სითბოტეებადობა; t_s - აირის ტემპერატურა, °C.

მაცივებელი წყლით წაღებული სითბო შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ, ვიდრე ნამუშევარი აირით გატანილი სითბო, რადგან წყლით წაღებული სითბო შეიძლება გამოვიყებოთ აბანოში, საშხაპეში, სამრეცხაოში, მაგრამ ეს გზა დაკავშირებულია ელექტროსადგურში წყლის დანაკარგთან და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ელექტროსადგური კარგად არის უზრუნველყოფილი რბილი მცირებინარალიზებული წყლით. მომხმარებელზე მიწოდებული წყლის ტემპერატურის ლიმიტირდება დიზელის შემდეგ წყლის ზღვრული ტემპერატურით და ბოილერის ტემპერატურული ვარდნით.

ამ ტემპერატურების სავარაუდო მნიშვნელობები, 1 კგ დამწვარი სათბობის სითბოს რაოდენობა და სხვა პარამეტრები მოცემულია 46-ე

ცხრილში. ეს მონაცემები არის საშუალო სიდიდისა, რომელებიც მიღებულია სხვადასხვა ქვაბ-უტილიზატორის გამოცდისას.

ცხრილი 45

საუტილიზაციო ქვაბების გამოცდისას მიღებული მონაცემები

პარამეტრები	ოთხეპტიანი დიზელი		ორტაქტიანი დიზელი	
	ნელსვლი ანი	სწრაფსვლიანი	ნელსვლიანი	სწრაფსვლიანი
საანგარიშო სიმძლავრე, როგორც ნომინალური სიმძლავრის პროცენტული სიდიდე $N_{\%}$, %	90,0	85	85	80
უტილიზატორში შემავალი აირების სავარაუდო ტემპერატურა, $^{\circ}C$	340-380	380-450	250-280	280-350
სითბოს საგარაუდო რაოდენობა, კვ/კვტ.სთ	1230-1310	1310-1390	1610-1850	1850-2000
უტილიზატორიდან გამომავალი ნამუშევარი აირების ტემპერატურა, $^{\circ}C (t_s)$	140*	150*	140*	150*
აირის და ორთქლის ტემპერატურათა სხვაობა	50-60	50-60	50-60	50-60
წვის პროდუქტების საორიენტაციო მასა, კგ/ცხ.დ. იგივე კგ/(კვტ.სთ)	5,0 6,8	5,0 6,8	10,0 13,6	10,0 13,6
უტილიზატორის ჩართვისას სასარგებლოდ გამოყენებული სითბო კვ/კვტ.სთ)	554-770	620-920	430-520	520-620
პრაქტიკულად მიღებული ორთქლის რაოდენობა კგ/(ცხ.დ.სთ). იგივე კგ/(კვტ.სთ)	0,30-0,335 0,41-0,48	0,35-0,40 0,48-0,54	0,2-0,25 0,27-0,54	0,25-0,30 0,37-0,41

*-ამაზე უფრო დაბალ ტემპერატურაზე წყლის ორთქლი კონდენსირდება

3.5.2. ნამუშევარი სითბოს გამოყენების გავლენა დანადგარის ეკონომიურობაზე

დიზელის ეკონომიურობა ხასიათდება ეფექტური მქ კოეფიციენტით. ნამუშევარი აირების სითბოს გამოყენების გავლენა დანადგარის ეკონომიურობაზე გამოვიკვლიოთ 4 ტაქტიან 4Ч 42, 5/60 და 2 ტაქტიანი 6Д 30/50 აგრეგატის მაგალითზე, საიდანაც ნამუშევარი აირები მიემართება ქვაბ-უტილიზატორში.

4Ч42,5/60 დიზელისათვის ნომინალური სიმძლავრით $N_{\text{ნ}} = 500$ ცხ.ძ,

როცა სათბობის კუთრი ხარჯი არის $b_{\text{კ}} = 0,180$ კგ/ეფ.ც.ხ.დ., ამასთან, როცა გვაქვს სათბობის საათური ხარჯი $B = 0,18 \cdot 500 = 90$ კგ/სთ და დაწვის სითბო არის $Q^{\text{გ}} = 42000$ კჯ/კგ ეფექტური მქ კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$\eta_{\text{კ}} = \frac{632 \cdot 4,19}{b_{\text{კ}} Q^{\text{გ}}} = \frac{632 \cdot 4,19}{0,18 \cdot 42000} = 0,35 = 35\%.$$

შემდეგ ვდებულობთ, რომ ქვაბ-უტილიზატორი იკვებება წყლით, რომლის ტემპერატურა $t_{\text{ც}} = 45^{\circ}\text{C}$ და იძლევა $D = 180$ კგ ორთქლს საათში, როცა აბსოლუტური წევა არის 4 ბარი და სიმშრალის ხარისხი $x = 0,97$. ასეთი ორთქლის ენთალპია $i_x = i + rx = 604 + 2140 \cdot 0,97 = 2680$ კჯ/კგ და ენთალპია საკვები წყლის $i_{\text{ც}} = c_{\text{ფ}} t_{\text{ც}} = 4,19 \cdot 45 = 189$ კჯ/კგ. მთელი სითბო, რომელიც გამოიყენება ქვაბ-უტილიზატორში $Q = D \cdot (i_x - i_{\text{ც}}) = 180(26080 - 189) = 448000$ კჯ/სთ. დანადგარის ეკონომიკურობა ქვაბ-უტილიზატორის მუშაობის ხარჯზე იზრდება:

$$\Delta\eta\% = 100 \frac{Q}{BQ^{\text{გ}}} = 100 \frac{448000}{90 \cdot 42000} = 11,8\% \text{ -ით.} \quad (77)$$

6Д 30/50 დიზელისათვის, რომლის ნომინალური სიმძლავრე $N_{\text{კ}} = 600$ ც.ხ.დ, ხოლო სათბობის კუთრი ხარჯი $b_{\text{კ}} = 0,185$ კგ/ც.ხ.დ.სთ. გვაქვს სათბობის ხარჯი $B = b_{\text{კ}} N_{\text{კ}} = 0,185 \cdot 600 = 111$ კგ/სთ ასეთი დიზელისათვის ეფექტური მქ კოეფიციენტი:

$$\eta_{\text{კ}} = \frac{632 \cdot 4,19}{0,185 \cdot 42000} = 0,341 = 34,1\%.$$

ვთვლით რა, რომ ნამუშევარი აირი შედის ქვაბ-უტილიზატორში, რომელშიც გადის 3500 კგ წყალი საათში და ის ცხელდება 65°C -დან 85°C -მდე, მაშინ მთელი სითბო, რომელიც გამოიყენება ქვაბ-უტილიზატორში $Q = G_{\text{ფ}} c_{\text{ფ}} \cdot (t_{2\text{v}} - t_{1\text{v}}) = 3500 \cdot 4,19 \cdot 20 = 293000$ კჯ/სთ.

ამრიგად თეცებში, სადაც გამოვიყენებოთ ნამუშევარი აირების სითბოს დანადგარის მქ კოეფიციენტი გაიზრდება სიდიდით:

$$\Delta\eta = 100 \cdot \frac{Q}{BQ_{\text{сн}}^{\beta}} = 100 \cdot \frac{293000}{111 \cdot 42000} = 6,3\%-ოთ. \quad (78)$$


3.5.3. ნამუშევარი სითბოს გამოსაყენებელი დანადგარების სქემები და ელემენტები

იმ დანადგარის ელემენტები, რომელიც გამოიყენება ნამუშევარი სითბოს უტილიზაციისათვის ყველაზე უკავთ გავეცნობით ტიპური სქემებით. ნახ. 66 (ა)-ზე მოცემულია ასეთი სქემა, რომლითაც შეიძლება გამოიყენოთ გამაცივებელი წყლის სითბო. ცხელი წყალი (პირველი კონტურის წყალი) დიზელის გამაცივებელი არედან ჩაედინება მიღსადენ 1-ში და ხვდება ცენტრიდანულ ტუბმო 4-ში, რომელიც გარკვეული წნევით აწვდის წყალწყლიან ბოილერს 6. ამ ბოილერშივე ხდება (მეორე კონტურიდან) ტუმბოთი 10 შემოსული წყლის გაცხელება. საიდანაც, ტუმბოთი 7 წყალი მიეწოდება მომხმარებელს. პირველი კონტურის წყალი ანუ თბილი წყალი, რომელიც გამაცივებელიდან მოდის, გასცემს რა თავის სითბოს, მიდის შემდეგ ე.წ. შემკრებში და კვლავ გამოიყენება დიზელის გამაცივებელში (ნახაზზე ეს არ არის ნაჩვენები). თუ მომხმარებელს ცხელი წყალი არ უნდა, მაშინ ტუმბოს 4 აჩერებენ, ხოლო წყალწყლიან ბოილერში წყლის მიწოდებას ურდჟულით კეტავენ. თუ ურდჟული 9 ღიაა ცხელი წყალი მიემართება შემკრებში ან კვლავ გამაცივებელ მოწყობილობაში და შემდეგ შემკრებში. თუ მომხმარებელს სჭირდება უფრო მეტი ტემპერატურის მქონე წყალი, ვიდრე ამას იძლევა წყალწყლიანი ბიოლერი, მაშინ მილით 7 წყალი შეიძლება შევათბოთ წყლის შემათბობელ ქვაბში 8. თბილი წყლის მიწოდება წყლის შემათბობელ ქვაბში, ასევე თბილი წყლის გაშვება ამ ქვაბის გვერდის ავლით ხდება შესაბამისი ურდჟულების მეშვეობით. შემათბობელი ქვაბის ნაცვლად ნებისმიერი სათბობის შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ საუტილიზაციო ქვაბი. სადაც ხდება ნამუშევარი სითბოს კომბინირებული გამოყენება, ამ დროს დანადგარის $\eta_{\text{კლ}}$ იქნება მაქსიმალური. ელექტროსადგურის საკუთარი მომხმარებლისათვის (დიზელის შესათბობად გაშვების წინ, სათბობის შესათბობად, წყლისა და ზეთის შე-

სათბობად) მიღსადენს 1 აქვს განშტოება 2. დანადგარის მუშაობას, რომ დაუკვირდეთ მას აქვს თერმომეტრი 3 და მანომეტრი 5.

ნახ. 66. (ბ)-ზე მოცემულია დანადგარის პრინციპული სქემა, რომლითაც ხდება ნამუშევარი აირების სითბოს გამოყენება წყლის გასაცელებლად.

დიზელის 1 ნამუშევარი აირები 2 მიღსადენით ხვდება მაყუჩში 3, შემდეგ ატმოსფეროში ან კიდევ ქვაბ-უტილიზატორში 4. აქედან კი ისევ ატმოსფეროში. აირების მოძრაობის მიმართულება დგინდება ურდულაბის საშუალებით მიღსადენზე 2. დიზელის გასაცივებლად



ნახ. 66. დიზელ-დანადგარის ნამუშევარი სითბოს გამოყენების პრინციპული სქემა.
ა – მაცივებელი წყლის სითბოს გამოყენება; ბ – წყლის გასათბობად ნამუშევარი აირების სითბოს გამოყენება; გ – ორთქლის მისაღებას ნამუშევარი აირების გამოყენება.

ცენტრიდანული ტუმბოთი 5 მიეწოდება $35-50^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის მქონე წყალი, ეს წყალი ხვდება ზეთის მაცივარში 6, შემდეგ კი დიზელის გაცივების სისტემიდან ცხელი წყალი მიღსადენით 7 იღვრება შემკრებში 10. შემკრებიდან $55-70^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის მქონე წყალი მიდის გამაცივებელ მოწყობილობაში, ხოლო ამ წყლის ნაწილი მეორე ტუმბოთი 9 შეიძლება მივაწოდოთ ქვაბ-უტილიზატორს. ქვაბიდან ცხელი წყალი მიღსადენით 8 მიეწოდება მომსმარებელს. ასე, რომ ამ სქემით წყალსათბობი საუტილიზაციო ქვაბი შეიძლება ვკვებოთ როგორც თბილი,

ასევე ცხელი წყლით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს წყლის საბოლოო ტემპერატურა. ნამუშევარი აირების სითბოს გამოყენების ეს სქემა ითხოვს რბილი წყლის მიწოდებას.

ნახ. 66. (გ)-ზე მოცემულია პრინციპული სქემა, რომელშიც ნამუშევარი აირების სითბო გამოიყენება დაბალი და საშუალო წნევის ნაჯერი ორთქლის საწარმოებლად. ნამუშევარი აირები დიზელის კოლუქტორდან 1 ხვდება მაყუჩში 2 ან ურდულით 4 და მიღსადენით 3 ქვაბუტილიზატორში 5. ქვაბში მიწოდებული აირის რაოდენობა რეგულირდება ურდულის 4 და მაყუჩის ურდულის გადების ხარისხით (ანუ თუ მეტად გავაღებთ ურდულს მეტი აირი მიეწოდება, თუ დაგკუტავთ ნაკლები).

ქვაბის კვებისათვის დაყენებულია სპეციალური ტუმბო 6. დიზელის გაცივებისას მომხმარებელს, რომ ორთქლი მიეწოდოს შეუფერხებლად დაყენებულია დამხმარე თრთქლის ქვაბი 7, რომელსაც აქვს საჭირო მწარმოებლობა. ქვაბების წყლით კვება, ტუმბოს გარდა შეიძლება მოვახდინოთ უკერძო ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერი ქვაბისათვის საკვები წყალი უნდა იყოს რბილი.

ქვაბ-უტილიზატორი და დამხმარე თრთქლის ქვაბი უნდა იყოს აღჭურვილი ყველა იმ არმატურითა და ხელსაწყოთი, რომელსაც ითხოვს სახელმწიფო ზედამხედველობის ინსპექცია.

3.5.4 A-41 დიზელის ნარჩენი სითბოს უტილიზაციის შესაძლებლობის გაანგარიშება

[60] მოცემული მეოთხივის საფუძველზე გავიანგარიშოთ A-41 დიზელის კოგენერაციისათვის გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლები.

დიზელის ეფექტური სიმძლავრე $N_{\text{კვ}} = 37,5 \text{ კვ}$; საანგარიშო სიმძლავრედ მივიღოთ:

$$N'_{\text{კვ}} = 0,85 \cdot N_{\text{კვ}} \approx 31,875 \text{ კვ} \approx 32 \text{ კვ}.$$

ეფექტურ მქ კოეფიციენტს დიზელისათვის ვიღებთ $\eta_{\text{კვ}} = 0,35$ [60], მათიც სათბობის მიერ შეტანილი სითბო :

$$Q_1 = \frac{N'}{\eta_{\text{эф}}} = \frac{32}{0,35} \approx 91 \text{ кВт} = 327600 \text{ дж/сек.} \quad (79)$$

პირობითი სათბობის კუთრი ხარჯი

$$b_{\text{эф}} = \frac{123}{\eta_{\text{эф}}} = \frac{123}{0,35} = 351,4 \text{ გნ.ს./(კვტ.სთ)} \quad (80)$$

დიზელის სათბობის უდაბლესი დაწვის სითბო მივიღოთ

$Q_{\text{эф}}^3 = 10000 \text{ კკალ/კგ} = 41,9 \text{ მგჯ/კგ}$ [61]; ნატურალური (დიზელის) სათბობის კუთრი ხარჯი ტოლი იქნება

$$b_{\text{эф}}^{6\text{х}} = \frac{7}{10} \cdot 351,4 \approx 246 \text{ გნ.ს./(კვტ.სთ)}.$$

დიზელის სათბობის საათური ხარჯი:

$$B = b_{\text{эф}}^{6\text{х}} \cdot N' = 0,246 \cdot 32 = 7,872 \text{ კგ/სთ}; \quad (81)$$

დიზელის სათბობის სიმკვრივე ($15^0 C$ დროს) $\rho = 0,87 \text{ გ/სმ}^3 = 0,87 \text{ კგ/დმ}^3$ [61];

დიზელის სათბობის საათური ხარჯი ლიტრებში:

$$B_{\text{л}} = \frac{7,872}{0,87} \approx 9,05 \text{ ლ/სთ.}$$

სითბოს კუთრი $q_{\text{вс}}$, რაოდენობა, რომელიც დიზელიდან გადაეცემა გარემოს [62]:

ა) სწრაფსვლიანი დიზელებისთვის $2270 \div 3700 \text{ კჯ/(კვტ.სთ)}$

ბ) ნელსვლიანი დიზელებისთვის $1890 \div 3130 \text{ კჯ/(კვტ.სთ)}$

ეს მონაცემები საერთო სითბოს რაოდენობის 13,2-19,2% და 10-18,2%-ს შეადგენს, ნაკლები მნიშვნელობები ეხება სწრაფსვლიან მძლავრ დიზელებს, მეტი სიდიდეები – მცირე სიმძლავრის ორგაქტიან დიზელებს.

ორლინის [62] მონაცემებით იმ დიზელებისათვის, რომლებიც მუშაობენ ჩაბერვის გარეშე, $q_{\text{вс}} = 0,20 \div 0,35$; $q_{\text{вс}} = 0,25 \div 0,40$. ანგარიშისათვის ავილოთ უმცირესი მნიშვნელობა $q_{\text{вс}} \approx 0,2$. მაშინ სითბოს საათური ხარჯი, რომელიც აირინება გაცივების სისტემიდან

$$Q_{\text{вс}} = q_{\text{вс}} \cdot Q_1 = 0,2 \cdot 91 = 18,2 \text{ კვტ} = 65520 \text{ კჯ/სთ} \quad (82)$$

შენობისთვის, რომლის საერთო ფართობი შეადგენს $F = 800 \text{ м}^2$ და ჭერის სიმაღლე 3 მ-ია, საერთო მოცულობა ტოლია:

$$V = 800 \cdot 3 \cdot 1,1 = 2640 \text{ м}^3,$$

სადაც 1,1 არის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შენობის მოცულობას გარე გაბარიტებით. საანგარიშო თბური დატვირთვა:

$$Q_{\text{გათ}} = q_0 \cdot V (t_{\text{ზოგ}} - t_{\text{გარ}}); \quad (83)$$

მივიღოთ: $t_{\text{ზოგ}} = 18^\circ \text{C}$; $t_{\text{გარ}} = -8^\circ \text{C}$; $q_0 \approx 1,25 \text{ кВт}/(\text{м}^3 \cdot \text{К}) = 0,347 \text{ кВт}/(\text{м}^3 \cdot \text{К})$ [3], მათიც

$$Q_{\text{გათ}} = 1,25 \cdot 2640 \cdot 26 = 85800 \text{ кВт} (23,8 \text{ кВт}).$$

გათბობის სეზონში საშუალო თბური დატვირთვა:

$$Q_{\text{საშ}} = Q_{\text{გათ}} \cdot \frac{t_{\text{ზოგ}} - t_{\text{გარ}}^{\text{საშ}}}{t_{\text{ზოგ}} - t_{\text{გარ}}} = 23,8 \cdot \frac{18 - 4,2}{18 + 8} = 12,6 \text{ кВт}, \quad (84)$$

სადაც $t_{\text{გარ}}^{\text{საშ}} = 4,2^\circ \text{C}$ – არის თბილისში ყველაზე ცივი თვისთვის გარემოს საშუალო ტემპერატურა [3].

გათბობის სისტემისათვის ქსელის წყლის საჭირო ხარჯი გაიანგრიოშება ფორმულით:

$$G_{\text{ქს}} = \frac{Q_{\text{გათ}}}{c(t_1 - t_2)}; \quad (85)$$

მივიღოთ პირდაპირი ქსელის წყლის ტემპერატურა $t_1 = 85^\circ \text{C}$, დაბრუნებული ქსელის წყლის ტემპერატურა $t_2 = 65^\circ \text{C}$, კ.ი. $\Delta t = 20^\circ \text{C}$, მათიც

$$G_{\text{ქxs}} = \frac{23,8}{4,19 \cdot 20} = 0,284 \text{ кВт}/\text{м}^3 \approx 1,023 \text{ кВт}.$$

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ განხილული A-41 ტიპის დოზელ-დანადგარის გაცივების სისტემიდან შეიძლება უზრუნველყოფილიქებს თბური დატვირთვა 12,6 კვტ., რაც საკმარისია 800 კვტ. შენობის გათბობის სისტემის მოსაწყობად.

თავი IV. ორთქლაირული კოგენერაცია

4.1. არსებული კომბინირებული დანადგარების მოცლე დახასიათება

თბოენერგეტიკული დანადგარების რაციონალური განვითარების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს კომბინირებული ციკლების დამუშავება და გამოყენება. ასეთი ციკლების შექმნის მიზანია დანადგარების თბური ეკონომიკურობის გაზრდა და საჭირო კაპიტალდაბანდებების შემცირება. კომბინირებული ციკლი იძლევა მაქსიმალურ დადგებით ეფექტს, როდესაც ერთიანდება ორი ან რამდენიმე თერმოდინამიკური ციკლი, რომელთაგან ერთ-ერთს ექნება სითბოს მიწოდების მაღალი (მაქსიმალურად დასაშვები) ტემპერატურა - ზედა ციკლი, ხოლო მეორეს (ქვედა ციკლი)-სითბოს არინების რაც შეიძლება დაბალი ტემპერატურა.

მქ კოეფიციენტის ზრდა მიიღება ორთქლტურბინული ციკლის მაღალტემპერატურიანი აირტურბინით თერმოდინამიკური დაშენების გზით. სითბოს მიწოდების პრინციპების შესაბამისად კომბინირებული ციკლები შეიძლება იყოს დაყოფილი სამ ძირითად ჯგუფად: ნაწილობრივ-ბინარული, ბინარული და მონარული [54,64].

კომბინირებული ციკლის ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული აირების ტემპერატურაზე აირტურბინის წინ. როდესაც აღნიშნული ტემპერატურა არ აღემატება $1000-1100^{\circ}\text{C}$ -ს ყველაზე ეფექტურია ნაწილობრივ ბინარული ციკლი მაღალი დაწნევის ორთქლგენერატორით (ნახ. 67.ა) მაღალი დაწნევით მომუშავე ორთქლგენერატორი შეითავსებს აგრეთვე წვის კამერის როლს აირტურბინული დანადგარისათვის, და სითბო ორთქლტურბინულ ციკლს მიეწოდება აირების მაღალი წნევის პირობებში. ამასთან ორთქლტურბინული ციკლი მარტივდება, რადგან ტურბინის რეგენერაციის უმეტესი ნაწილი აღარ იქნება საჭირო.

T-S დიაგრამის შესაბამისად ორთქლტურბინულ ციკლში აორთქლების ($Q_{\text{აო}}$) და გადახურების ($Q_{\text{გა}}$) სითბო გადაეცემა თბოგადამტანს მაღალი წნევის იზობარულ პროცესში 1-1 და მხოლოდ წყლის შეთბო-

ბის სითბო $Q_{\text{შ}} \text{ გადაეცემა}$ დაბალი წნევით-იზობარა 5-2. სითბოს რაოდენობა, რომელიც გადაეცემა ორთქლტურბინულ ციკლს, 4-5-ჯერ აღემატება აირტურბინულ ნაწილში გადაცემული სითბოს რაოდენობას. შესაბამისად ორთქლის ტურბინას გააჩნია მეტი სიმძლავრე, ვიდრე აირტურბინას. განხილული ციკლის უარყოფით მხარეთ უნდა ჩაითვალოს ბუნებრივი აირის ან სპეციალური აირტურბინული სათბობის გამოყენების აუცილებლობა. ამ ციკლის მთავარ უპირატესობად უნდა ჩაითვალოს მქ კოეფიციენტის გადიდება ორთქლტურბინულ დანადგართან შედარებით (~5-6%-ით) და ორთქლგენერატორის კომპაქტურობა, რაც მნიშვნელოვნად (15-20%-ით) ამცირებს მის კაპიტალდაბანდებებს. ეს ციკლი უნდა მივაკუთვნოთ ნაწილობრივ ბინარულ ციკლებს. მეორე ნაწილობრივ-ბინარული ციკლი (ნახ. 67.ბ) ხასიათდება რამდენადმე ნაკლები ეკონომიურობით (4-5%-ით) პირველთან შედარებით.


აირტურბინის წარმავალი აირები შეიცავენ 15-18% რაოდენობის ჟანგბადს და, თუ გავითვალისწინებთ მათ მაღალ ტემპერატურას- $500 \div 550^{\circ}\text{C}$, შესაძლებელი ხდება ამ აირების გამოყენება ჰაერის მაგივრად ჩვეულებრივ ქვაბში, ანუ დაბალი დაწნევის ორთქლგენერატორებში (დდო). ამ შემთხვევაში აღნიშნული აირების ფიზიკური სითბო ეფექტურად იქნება გამოყენებული და ორთქლგენერატორს აღარ დასჭირდება ჰაერშემთბობი. წარმავალი აირების გაცივება წარმოებს საკვები წყლის საშუალებით დამატებით ეკონომაიზერში. მათი ეფექტური გაცივება ხდება შესაძლებელი, თუ მნიშვნელოვნად შეიზღუდება ორთქლური რეგენერაცია ორთქლის ტურბინაში.

აღნიშნული ციკლის ძირითადი უპირატესობანი შემდეგია:

1. შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჩვეულებრივი კონსტრუქციის ორთქლგენერატორი უმნიშვნელო გადაკეთებით (დამატებითი ეკონომაიზერის მონტაჟი) და მას შეუძლია იმუშაოს პრაქტიკულად ნებისმიერი სახის სათბობზე.
2. შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სერიული დანადგარები, რაც ბევრად აადგილებს კომბინირებული ციკლის განხორციელებას.

3. მაღალი საიმედოობა, რაც დაკავშირებულია ორთქლტურბინული და აირტურბინული დანადგარების მუშაობის შესაძლებლობასთან როგორც ერთობლივად, ასევე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ანუ ავტონომიურ რეჟიმში.

4. განხილული კომბინირებული ციკლების (ნახ. 43.) ორმოდინამიკური ანალიზით შეფასებულია სათბობის ეკონომიის სიდიდე-9 და 8% შესაბამისად [65] ჩვეულებრივ ორთქლტურბინულ ციკლთან შედარებით.



ნახ.67. ბინარული და მონარული ორთქლაირული დანადგარების ძირითადი სქემები:
ა) ბ) გ)

ა.ტ.-აირ ტურბინა; მდ.ო-მაღალი წნევის ორთქლგენერატორი; კ-კომპრესორი; ქ-ეკონომაზერი; ო.ტ-ორთქლის ტურბინა; დდო-დაბალი დაწნევის ორთქლგენერატორით; წ-წწის კამერა; ქ-ქვაბ-უტილიზატორი.

მესამე ციკლი არის წმინდა ბინარული (ნახ. 67.გ) იგი ითვალისწინებს აირტურბინული დანადგარის სრულ დაშენებას ორთქლტურბინულ ციკლზე (აირორთქლტურბინული ციკლი). ნაწილობრივ ბინარული ციკლებში ორთქლტურბინულ დანადგარში მიეწოდება სითბოს უმეტესი ნაწილი და მხოლოდ სითბოს 15-20% იხარჯება აირტურბინულ დანადგარზე. ბინარული ციკლი ითვალისწინებს სითბოს მიწოდებას მარტო აირტურბინული დანადგარის წვის კამერაში, ე.ი. მაღალი ტემპერატუ-

რის პირობებში ($1200\div 1400^{\circ}C$). თერმოდინამიკის კანონების შესაბამისად ეს განაპირობებს მაქსიმალური მქ კოეფიციენტის მიღებას კომბინირებულ ციკლში. ამრიგად, განხილულ ბინარულ ციკლში ორთქლტურნიბული დანადგარის თრთქლგენერატორში (ქვაბ-უტილიზატორში) არ წარმოებს სათბობის წვა და გამომუშავებული ორთქლი მიიღება აირტურბინის წარმავალი აირების ფიზიკური სითბოს ხარჯზე [66].

თანამედროვე აირტურბინულ დანადგარებში აირების საწყისი ტემპერატურა აღწევს $1200\div 1400^{\circ}C$ და შესაბამისად ატდ-ის მქ კოეფიციენტი $\eta_{\text{ატ}}=36\text{-}38\%$ ამ შემთხვევაში წარმავალი აირების ტემპერატურა $510\div 550^{\circ}C$ -ს შეადგენს, ამიტომ სავსებით შესაძლებელია ამ აირების ფიზიკური სითბოს ხარჯზე ქვაბ-უტილიზატორში მიღებულ იქნეს მაღალი პარამეტრების წყლის ორთქლი [65], რის გამოც იზრდება ორთქლტურბინული ციკლის მქ კოეფიციენტი. ბინარული ციკლით მომუშავე დანადგარის მქ კოეფიციენტი შეიძლება შეფასდეს ფორმულით [65].

$$\eta_{\text{ატ}} \equiv \eta_{\text{ატ}} + (1 - \eta_{\text{ატ}}) \eta_{\text{ქ}} \eta_{\text{ოტ}}, \quad (86)$$


სადაც $\eta_{\text{ქ}}$ და $\eta_{\text{ოტ}}$ წარმოადგენს ქვაბ-უტილიზატორის და ორთქლტურბინული დანადგარების მქ კოეფიციენტებს.

განხილული სამი კომბინირებული ციკლიდან, ყველაზე პერსპექტიულია ბინარული ციკლი სრული აირტურბინული დაშენებით ორთქლტურბინულ ციკლზე. ასეთი კომბინირებული ციკლის დანადგარებში მიღებულია მქ კოეფიციენტის მნიშვნელობები 55-58% [67]. ბინარული ციკლის შედეგი განვითარება და სრულყოფა წარმოებს ძირითადად ორი დონისძიების საშუალებით: ორთქლის ტურბინის მუშაობით ორი სხვადასხვა წნევის ორთქლით და სითბოს შუალედური მიწოდებით აირტურბინულ ციკლში.

მიღებული შედეგები ეხება მარტივი სქემის მაღალტემპერატურიან აირტურბინულ დანადგარებს. ამ ციკლში გათვალისწინებულია, რომ ქვაბ-უტილიზატორი გამოიმუშავებს ორი წნევის წყლის ორთქლს. მისი გამოყენება ორთქლის ტურბინაში განაპირობებს ორთქლტურბინული

ციკლის მქ კოეფიციენტის გაზრდას საშუალოდ 2% [67], ერთი წნევის ორთქლის გამოყენებასთან შედარებით.

როგორც კონდენსაციური, ისე თბოფიკაციური ელექტროსადგურების თერმოდინამიკური სრულყოფის შემდგომი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ორთქლაირულ ციკლზე გადასვლა. ძირითადად გამოიყენება ჩვეულებრივი ენერგეტიკული ქვაბი ანუ დაბალი დაწნევის ორთქლგენერატორი, (მდოგ) რომელშიც სათბობის ნაწილის წვა ხდება ატმოსფერულ წნევაზე. მაღალი დაწნევის ორთქლგენერატორის (მდოგ) გამოყენებამ ექსპლუატაციაში არ გაამართლა [28]. ბოლო პერიოდში მდოგ-ს თითქმის აღარსად იყენებენ მსოფლიოში, ვინაიდან თავი იჩინა დიდმა სირთულეებმა ასეთი დანადგარის ქვაბის ექსპლუატაციის პროცესში.



ნახ. 68. ორთქლაირული თეცის პრინციპული სქემა T ტიპის ტურბინით
1-კომპრესორი; 2-წვის კამერა; 3-აირტურბინა; 4-ქვაბი; 5-მდოგ; 6-T ტიპის ორთქლის ტურბინა; 7-10-შესაბამისი დწმ-დწმ; 11-მწმ-ს ჯგუფი; 12-დეაერატორი; 13-I საფეხურის ეკონომაიზერი; 14-II საფეხურის ეკონომაიზერი; 15-III საფეხურის ეკონომაიზერი; 16-მკვებავი ელექტროტუბო; 17-ჰერშემთბობი; 18-ჰერის ვენტილატორი; 19-რეცილერაციური ტუბები; 20-ორთქლის მიწოდება ქსელის შემთბობზე;

— — ქმარი ორთქლი; — .. — ორთქლი ართმევიდან; — — საკვები წყალი; — ... — ჰერი; - - წარმაგალი აირები; • • - სათბობი; ----- ჰაერშემთბობის გაცივების კონტური ოტდ-ის ავტონომიურ რეჟიმში მუშაობისას.


უკანასკნელ დრომდე თატდ-ს დდოგ-ით მუშაობის ძირითად უპირატესობად თვლიდნენ როგორც აირული, ისე ორთქლძალოვანი ციკ-

ლის საფეხურების მუშაობას ავტონომიურ რეჟიმში და დაახლოებით 3-ჯერ ნაკლები კეთილშობილი სათბობის მოთხოვნილებას ოატდ-სათვის. ეს იმით არის განპირობებული, რომ ენერგეტიკული ქვაბის საცეცხლუ-ში შეიძლება დაიწვას მაზუთი ან ნახშირი. მაგრამ ახლა ამან დაკარგა ფაქტობრივად თავისი მნიშვნელობა, რადგან თხევადი სათბობის გა-მოყენება ენერგეტიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა, ბუნებრივი აირის მოხმარებასთან შედარებით. ასევე საწვავად შეიძლება გამოვიყენოთ დაბალი ხარისხის ნახშირი, რომელთა გამოყენება საწვავად როგორც ეკონომიური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილია ოატდ-ს ციკლში მდოგ-ით.

ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა ოატდ-ს სქემას ქვაბ-უტილიზაციით (ოატდ- ქუტ-თი), სადაც ორთქლის გენერაციისათვის გამოიყენება მხოლოდ წარმავალი აირების საითბოს უტილიზაცია. კონდენსაციურ დანადგართან შედარებით ოატდ-ქუტ-თი შეიძლება იყოს უფრო მაღალეფექტური, ვიდრე სხვა ტიპის ოატდ, ამასთან ეკონომი-ურობის ამაღლება მიიღწევა ბაზისური რეჟიმის დროს, ხოლო სამანე-გრო რეჟიმების დროს საჭირო იქნება ბლოკში 3-4 ატდ-ს ჩართვა, რო-მელიც გამოირთვება დატვირთვის შემცირებისას, რომ არ მოხდეს მქ კოეფიციენტის დაუშვებელი შემცირება. თბოფიკაციური ოატდ-სათვის ქუტ-ით თანაბარეკონიმიურობა სხვადასხვა თატდ-ში მიიღწევა ატდ-ს წინ აირის შედარებით დაბალი ტემპერატურისას (დაახლოებით $1000^{\circ}C$), რაც იმის შედეგია, რომ იზრდება ელექტროენერგიის კუთრი გამომუშა-ვება თბურ მოხმარებაზე. გარდა ამისა, ასეთი დანადგარები უკეთესია ყველა ტიპის ოატდ-სთან შედარებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ მქ კოეფიციენტი ნაკლებადაა დამოკიდებული სიმძლავრის შემცირებაზე, რადგან სათბობის ენერგიის 50-60% ნომინალურ რეჟიმში გამოიყენება თბური დატვირთვების დასაფარავად.

პრინციპში თბოფიკაციური ოატდ-თვის ქუტ-ით შეიძლება შევი-მუშაოთ სხვადასხვა სქემები, მაგრამ შესრულებულმა ანალიზმა და-დასტურა [28], რომ ყველაზე მიზანშეწონილია ისეთი ოატდ-ს შექმნა ორთქლის ორსაფეხურიანი წნევით, როცა თბოფიკაციის პირობითი

კოეფიციენტი $\alpha_{\text{გ.}} = 1$ (მთელი თბური დატვირთვა იფარება ქუტ-დან და ტურბინის ართმევიდან) თბოფიკაციურ თეცში საკვები წყლის დამატებითი შეთბობა განხორციელება ხდება ტურბოდანადგარის შემდეგ პიკურ ქსელის შემთბობებში დაბალი წნევის ორთქლით. ასეთი თეცის სქემა მოცემულია ნახ. 69-ზე.



ნახ. 69. ქვაბ-უტილიზატორიანი თბოფიკაციური ოატლ-ის პრინციპული სქემა
1-კომპრესორი; 2-წვის კამერა; 3-აირის ტურბინა; 4-ელექტროგენერატორი;
5-ქვაბ-უტილიზატორი (ორწნევიანი); 6-ორთქლის ტურბინა; 7-8-ქსელის
შემთბობები; 9- კონდენსატორი; — ჰაერი; •— სათბობი; ••• წვის
პროდუქტები; — ორთქლი; — წყალი;

აღნიშნული მიღგომის ძირითად თავისებურებას ოატლ-ს მოწყობილობის არჩევისას წარმოადგენს ის, რომ ამ დროს გვეძლევა საშუალება ატლ-ის სიმძლავრის შემცირებისას, როცა გარემოს ტემპერატურა იზრდება, მისი კომპენსაცია მოვახდინოთ ორთქლის ტურბინის სიმძლავრის ზრდით.

ორთქლაირულ ციკლზე გადასვლა ორთქლძალოვანთან შედარებით უზრუნველყოფს ეკონომიურობის მკვეთრ ზრდას. ის თავის გამოხატულებას პოულობს ორი ძირითადი მაჩვენებლის ერთობლივ გავლენაში, რომელიც ახასიათებს ენერგომომარაგების კომბინირებულ სქემას, ესენია: ელექტრულიენერგიის პუთრი გამომუშავება თბურ მოხმარებაზე და სათბობის კუთრი ხარჯი ელექტროენერგიის გამომუშავებაზე.

გარდა ციკლის თერმოდინამიკური ეფექტურობის გაზრდისა, ორთქლაირიან დანადგარზე გადასვლა უზრუნველყოფს თეცში დანად-

გარის კუთრი კაპიტალდაბანდების მნიშვნელოვან შემცირებას დადგმული ელექტრული სიმძლავრის ერთეულზე.

ასე, მაგალითად: ოატდ-ში მდოგ-თი, იმის მიხედვით თუ რომელი ორთქლის ტურბინაა გამოყენებული და შესაბამისად როგორია ორთქლისა და აირის ციკლის საფეხურთა სიმძლავრის თანაფარდობა კაპიტალდაბანდება ერთეულ ელექტრულ სიმძლავრეზე მცირდება 10-20%-ით, ხოლო ოატდ-ში ქუტ-თი დაახლოებით 50%-ით. ეს განსაზღვრავს მისი გამოყენების მაღალ ტექნიკურ-ეკონომიურ ეფექტურიბას.

თბოფიკაციური ოატდ-ს ქუტ-თი გამოყენება შეიძლება თბური დატვირთვების კონცენტრაციის ნებისმიერ ზონაში, რაც გამოწვეულია მათი შედარებით დაბალი თბური სიმძლავრით.


მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს [28], რომ ატდ-ის გამოყენება თბოელექტრომომარაგების სისტემაში უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეფექტს ისე, რომ არ იქნება დამოკიდებული თბური დატვირთვების კონცენტრაციაზე და ენერგოდანადგარების მუშაობის რეჟიმზე. თბური დატვირთვების მნიშვნელოვანი კონცენტრაციის ზონაში შედარებით პერსპექტიულია ოატდ-ს მდოგ-თი გამოყენება.

4.2. ქვაბ-უტილიზატორიანი ორთქლაირული თეცის პრინციპული თბური სქემები და ეფექტურობის მირითადი მაჩვენებლები

კოგენერაცია წარმოადგენს მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების და ენერგოდამზოგი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებას. ტრადიციულმა ორთქლტურბინულმა თეცებმა, სიძვირისა და შედარებით დაბალი ეფექტურობის გამო, პრაქტიკულად უკვე ამოწურეს თავისი შესაძლებლობები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები აღარ აქვთ [42]. გაცილებით ენერგოეფექტური, იაფი და ეკოლოგიურად უსაფრთხოა აირტურბინულ, ორთქლაირულ და აირდგუშიან ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კოგენერაციული სადგურები. ბინარული ტიპის ქვაბ-უტილიზატორიანი ობოფიკაციური ორთქლაირული დანადგარები გამოირჩევა ელექტროენერგიის მაქსიმალური გა-

მომუშავებით თბური მოხმარების ბაზაზე და ყველა პერსპექტიულია თეცებისათვის [16,42].

ნახ. 70-ზე მოყვანილია ასეთი ტიპის დანაგარებით აღჭურვილი თეცის პრინციპული თბური სქემა [42], სადაც გამოყენებულია უმარტივესი ტიპის აირტურბინული დანადგარი (ატდ), კო ტიპის (T ან P) ერთოვეგულირებადართმევიანი თბოფიკაციური ორთქლის ტურბინა, რომელსაც არა აქვს ორთქლის რეგულირაციული ართმევები.



ნახ. 70. ქვაბ-უტილიზატორიანი აოტდ-თეცის პრინციპული თბური სქემა

- 1- ატდ-ს პაერის კომპრესორი; 2- წვის კამერა; 3- აირტურბინა; 4- ელექტროგენერატორი; 5- ქვაბ-უტილიზატორი; 6- ორთქლის ტურნიბა; 7- კონდენსატორი; 8- ორთქლწყლიანი ქსელის შემთბობი; 9- აირწყლიანი ქსელის შემთბობი; 10- კონდენსატის ტუმბო; 11- ქსელის წყლის ტუმბო; I- პაერის შეწოვა კომპრესორში; II- სათბობის მიწოდება წვის კამერაში; III- ორთქლი ქვაბ-უტილიზატორიდან; IV- წარმავალი აირები ატმოსფეროში; V- დაბრუნებული ქსელის წყალი; VI- პირდაპირი ქსელის წყალი; VII- საცირკულაციო წყალი; VIII- ორთქლის რეგულირებადი ართმევა; IX- კონდენსატი; X- ართმეული ორთქლის დრენაჟი; XI- ნაჟუშევარი ორთქლი.

ატდ-ის წარმავალი აირების სითბოს უტილიზაცია ხდება თანმიმდევრულად ჯერ ქვაბ-უტილიზატორში 5 ორთქლის ტურბინისათვის 6 დაბადი ან საშუალო წნევის ორთქლის მისაღებად, შემდეგ კი აირწყლიან შემთბობში 9. ამის შედეგად წარმავალი აირების ტემპერატურა მცირდება $450\ldots 550^{\circ}\text{C}$ -დან (ატდ-ის გამოსასვლელზე) $100\ldots 150^{\circ}\text{C}$ -მდე (ატმოსფერის გამოსასვლელზე).

როში გატყორცნისას). გათბობაცხელწყალ-მომარაგების სისტემაში მოსაწოდებელი ქსელის წყალი შეთბება ჯერ ორთქლწყლიან შემთბობში (ბოილერში) 8 ორთქლის ტურბინიდან ართმეული ორთქლით, შემდეგ კი აირწყლიან შემთბობში 9 ატდ-ის წარმავალი აირებით.

წარმოდგენილი ტიპის ორთქლაირული თეცის ენერგოეფექტურობის თერმოდინამიკური ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრულია [68,69] ასეთი თეცის თბური ეკონომიკურობის ძირითადი მაჩვენებლები:

$$\text{ა) } \eta_{\text{ატდ}}^{\text{სრ}} = \eta_{\text{ატდ}} \left[1 + \beta \left(\frac{1}{\eta_{\text{ატდ}}} - \frac{1}{\eta_{\text{ატ}}} - q_{\text{წარ}} \right) + \bar{N}_{\text{ატ}}^{\text{კმ}} \left(1 + \frac{\bar{N}_{\text{ატ}}^{\text{კმ}}}{\omega_{\text{ატდ}}} \right) \right]; \quad (87)$$

ბ) თეცის კერძო მქ კოეფიციენტი „ბრუტო“ ელექტროენერგიის გამომუშავებაზე

$$\eta_{\text{ატდ}}^{\text{კმ}} = \left(1 + \bar{N}_{\text{ატ}}^{\text{მტ}} \right) / \left[\left(1 - \eta_{\text{ატდ}}^{\text{სრ}} \right) / \eta_{\text{ატდ}} + 1 + \bar{N}_{\text{ატ}}^{\text{მტ}} \right], \quad (88)$$

გ) თეცში ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავება თბური მოხმარების ბაზაზე

$$\omega_{\text{ატდ}} = \left(1 + \bar{N}_{\text{ატ}}^{\text{მტ}} \cdot \bar{N}_{\text{ატ}}^{\text{კმ}} \right) / \left[\left(\eta_{\text{ატდ}}^{\text{სრ}} / \eta_{\text{ატდ}} - \left(1 + \bar{N}_{\text{ატ}}^{\text{მტ}} \right) \right) \right]; \quad (89)$$

დ) პირობითი სათბობის კუთრი ხარჯი ელექტროენერგიის გამომუშავებაზე, კგპ.ს./(კვტ.ს.თ)

$$b_{\text{ატდ}}^{\text{კმ}} = 0,123 \left\{ 1 + \left(1 - \eta_{\text{ატდ}}^{\text{სრ}} \right) / \left[\eta_{\text{ატდ}} \left(1 + \bar{N}_{\text{ატ}}^{\text{მტ}} \right) \right] \right\}; \quad (90)$$

ე) თეცში ელექტროენერგიის გამომუშავებაზე დახარჯული სათბობის წილი

$$\beta_{\text{ატდ}}^{\text{კმ}} = \left(1 - \eta_{\text{ატდ}}^{\text{სრ}} \right) + \eta_{\text{ატდ}} \left(1 + \bar{N}_{\text{ატ}}^{\text{მტ}} \right); \quad (91)$$

ვ) ენერგოსისტემაში ორთქლაირული თეცის ფუნქციონირებით განპირობებული სათბობის ფარდობითი ეკონომია – ენერგოჭარმოების განცალკევებულ მეთოდთან შედარებით (ელექტროენერგია კონდენსაციურ ელექტროსადგურში, სითბო – რაიონულ საქვაბეში):

$$\bar{B}_{\text{ატ}} = 1 - 1 / \left[\eta_{\text{ატ}} \left(1 / \eta_{\text{ატ}} - 1 / \eta_{\text{ატ}} \right) \left(1 + \bar{N}_{\text{ატ}}^{\text{მტ}} \right) + \eta_{\text{ატ}}^{\text{სრ}} / \eta_{\text{ატ}} \right]; \quad (92)$$

$\eta_{\text{ატ}}$ - ატდ-ის და ოტდ-ის ელექტრომექანიკური მქ კოეფიციენტია

($\eta_{\text{ატ}} \approx 0,97$); $\eta_{\text{ატ}}^{\text{სრ}}, \eta_{\text{ატ}}^{\text{მტ}}, \eta_{\text{ატ}}^{\text{სრ}}$ შესაბამისად აირტურბინული დანადგარის,

კონდენსაციური ელექტროსადგურის და რაიონული საქვაბის მქ კოეფიციენტები; $\omega_{\text{ოტ}}$ - ორთქლტურბინულ დანადგარში ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავება თბური მოხმარების ბაზაზე [44]; $\beta_{\text{გ}}$ - ატლ-ის წარმავალი აირების სითბოს წილი, რომელიც მიეწოდება აირწყლიან შემთბობს; $\bar{N}_{\text{ე}}^{\text{ოტ}}$ - ორთქლაირულ თეცში შემავალი ორთქლტურბინული და აირტურბინული დანადგარების ელექტრულ სიმძლავრეთა ფარდობა [68]; $\bar{N}_{\text{ე}}^{\text{გ}}$ ორთქლის ტურბინაში თბოფიკაციური ნაკადით გამომუშავებული ფარდობითი ელექტრული სიმძლავრე [35]; $q_{\text{წარ}}$ ატლ-ის წარმავალი აირებით სითბოს კუთრი დანაკარგი - ატლ-ის 1 პვტ სიმძლავრეზე გაანგარიშებით [29].

ზემოთ მოყვანილი ფორმულების და [68]-ში დამუშავებული მეთოდის გამოყენებით აგებულია გრაფიკები, რომლებიც ასახავენ განხილული ტიპის ორთქლაირული თეცის ენერგოეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების დამოკიდებულებას მახასიათებელ პარამეტრებზე.


$\beta_{\text{გ}}$ - კოეფიციენტი შეიძლება იცვლებოდეს დიაპაზონში 0-დან 1-მდე, როცა $\beta_{\text{გ}}=0$, მაშინ ატლ-ის წარმავალი აირების სითბო მოლიანად გამოიყენება ქვაბუტილიზატორში ორთქლის მისაღებად. ამ შემთხვევაში ოტლ-ის ელექტრული სიმძლავრე მაქსიმალურია. შესაბამისად ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავება $\omega_{\text{ოტ}}$ ძალიან მაღალი გამოდის $\omega_{\text{ოტ}}=2,0..2,3$, სათბობის ფარდობითი ეკონომიაც მაქსიმალურია:

$\bar{B}_{\text{გ}}=0,47$. როდესაც, $\beta_{\text{გ}}=1$, მაშინ ატლ-ის წარმავალი აირების სითბო გამოიყენება მხოლოდ ქსელის წყლის შესათბობად, აირწყლიან შემთბობაში, ორთქლი ქვაბუტილიზატორში არ გამომუშავდება, ამიტომ ორთქლის ტურბინა სქემიდან გამოირიცხება და აოტლ აირტურბინულ თეცად გარდაიქმდება [29]. ამ შემთხვევაში ელექტრული სიმძლავრის გენერირება წარმოებს მხოლოდ აირტურბინულ დანადგარში, შესაბამის

სად პარამეტრიც ვგამოდის მინიმალური - $\omega \approx 0,8$, სათბობის ფარდობითი ეკონომიაც რამდენადმე შემცირებულია: $\bar{B}_{\text{ჯ}} = 0,41$.

ამრიგად, $\beta_{\text{ჯ}}$ პარამეტრის გადიდებისას იზრდება აოტდ-თეცის როგორც სრული, ასევე კერძო (ელექტოენერგიის გამომუშავებაზე) მატემატიკური, თუმცა უკანასკნელი უფრო ნაკლები ინტენსიურობით,

ვიდრე $\eta_{\text{აოტდ}}^{\text{სრ}}$.




ნახ. 71. აოტდ-თეცის მაჩვენებლები ატდ-ის მატემატიკური დამოკიდებულებით,

$$\text{როცა } \eta_{\text{აოტდ}}^{\text{სრ}} = 0,46, \alpha_{\text{ო}} = 0,7, \omega_{\text{აოტდ}} = 0,6, \beta_{\text{ჯ}} = 0,2, \eta_{\text{ჯ}} = 0,37, \eta_{\text{бж}} = 0,8, \eta_{\text{გ}} = 0,97$$

ნახ. 71-ზე წარმოდგენილია აოტდ-თეცის ენერგოეფექტურობის განხილული მაჩვენებლები აირტურბინული დანადგარის $\eta_{\text{აოტდ}}$ მატემატიკური დამოკიდებულებით. ამასთან $\eta_{\text{აოტდ}}$ -ის ცვლილების დიაპაზონი მიღებულია 25%-დან 40%-მდე, ხოლო დანარჩენი განმსაზღვრელი პარამეტრები: $\eta_{\text{ჯ}} = 0,37$; $\eta_{\text{бж}} = 0,8$; $\beta_{\text{ჯ}} = 0,2$; $\omega_{\text{აოტდ}} = 0,6$. როგორც ნახაზიდან ჩანს, $\eta_{\text{აოტდ}}$ -ის გადიდებისას ორთქლაირული თეცის პრაქტიკულად ყველა პარამეტრი ინტენსიურად იზრდება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ $\beta_{\text{აოტდ}}^{\text{სრ}}$ სიდიდე, რომელიც $\eta_{\text{აოტდ}}$ -ის გადიდებისას 25%-დან 32,5%-ლა პარამეტრი ინტენსიურად იზრდება.

მდე ჯერ იზრდება ($0,67$ -დან $0,73$ -მდე), ხოლო $\eta_{\text{ატ}}$ -ის შემდგომი გაზრდისას პრაქტიკულად უცვლელი რჩება.

მიღებულ პირობებში $\eta_{\text{ატ}}$ -ის გადიდება მითითებულ დიაპაზონში იწვევს კერძო $\eta^{\text{ატ}}$ მქ კოეფიციენტის გაზრდას ~ 60% -დან (როცა $\eta_{\text{ატ}}=25\%$) 77% -მდე ($\eta_{\text{ატ}}=40\%$), იზრდება აგრეთვე აოტდ-თეცის სრული მქ კოეფიციენტი – $71,5\%$ -დან $83,5\%$ -მდე.



ნახ. 72. დამოკიდებულება $\bar{B}_{33} = f(\omega_{\text{ატ}})$ აოტდ-თეცისათვის, როცა $\eta_{\text{ატ}}=0,37$, $\eta_{\text{საქ}}=0,8$, $\eta_{\text{ატ}}=0,4$, $\omega_{\text{ატ}}=0,6$, $\Delta t_{\text{წარ}}=100^{\circ}\text{C}$

ნახ. 72-ზე ნაჩვენებია სათბობის ფარდობითი \bar{B}_{33} ეკონომიის დამოკიდებულება $\omega_{\text{ატ}}$ პარამეტრზე. ამ ფუნქციას მკვეთრად ზრდადი ხასიათი აქვს. ეს მრუდი ადასტურებს, რომ ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავება თბური მოხმარების ბაზაზე არსებითად განსაზღვრავს სათბობის იმ ეკონომიას, რომელიც მიიღწევა ენერგოსისტემაში ორთქლაირული თეცის ფუნქციონირებისას – თბოელექტრომომარაგების განცალკევებულ მეთოდთან შედარებით.

4.3. აირტურბინული და ორთქლაირული თეცების ფუნქციონირების ეკოლოგიური ასპექტები

ამჟამად ენერგეტიკაში ძირითადი ყურადღება ორგანული სათბობის წვის პროდუქტების უტილიზაციის პრობლემას ექცევა. ორგანული სათბობის წვის შედეგად მიღებული - ნახშირორჟანგი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გაიტყორცნება ატმოსფეროში. თუ 2030 წლისათვის ატმოსფეროში CO_2 -ის შემადგენლობა 2-ჯერ გაიზრდება, ეს გამოიწვევს დედამიწაზე ტემპერატურის საშუალოდ $2^{\circ}C$ -ით გაზრდას, ამიტომ CO_2 -ის პრობლემა აუცილებლად უნდა გადაწყდეს უახლოეს პერიოდში.

თბოელექტროსადგურებში ორგანული სათბობის კუთრი ხარჯისა და საწყისი კაპიტალდაბანდების შემცირების რადიკალური საშუალებაა ელექტროენერგიის წარმოება ორთქლაირული დანადგარებით [70]. საზღვარგარეთ ამჟამად განხორციელებული ბინარული ციკლის საუკეთესო ორთქლაირული დანადგარებით აღჭურვილი თესების მქ კოეფიციენტის სიდიდემ 58-60%-ს მიაღწია, პირობითი სათბობის კუთრი ხარჯი ასეთ თესებში შეადგენს $205 \div 210$ გპ.ს/(კვტ.სთ), მაშინ, როდესაც ეს ძირითადი მაჩვენებელი ტრადიციული ზეპრიტიკული პარამეტრებით მომუშავე ორთქლტურბინული თესებისა-თვის, $320 \div 330$ გპ.ს/(კვტ.სთ)-ის ტოლია. თბილსრესისთვის იგი უფრო მაღალია - $332 \div 370$ გპ.ს/(კვტ.სთ).

ადნიშნულთან ერთად, ბინარული ციკლით მომუშავე თრთქლაირული დანადგარი ხასიათდება შემდეგი მნიშვნელოვანი უპირატესობებით:

- ა) ორთქლაირული დანადგარის კუთრი ლირებულება $1,5\text{--}2$ -ჯერ ნაკლებია თანაბარი სიმძლავრის, აირსა და მაზუთზე მომუშავე, ორთქლტურბინულ ენერგობლოკებთან შედარებით;
- ბ) ორთქლაირულ თბოელექტროცენტრალებში სითბოს გამოყენების კოეფიციენტის სიდიდე 90%-ს აღწევს;
- გ) ორთქლაირული დანადგარი (აირტურბინის სიმძლავრის დიდი წილით) ტრადიციულ თბოელექტროსადგურთან შედარებით მოითხოვს მაცვებელი წყლის თითქმის 2-ჯერ ნაკლებ რაოდენობას;

არსებობს მცდარი შეხედულება, განსაკუთრებით არასპეციალისტებს და ხშირად ჰიდროენერგეტიკოსებს შორისაც კი, რომ თითქოს და თბოელექტროსადგურები გარემოს გაჭუჭყიანების ძირითადი წყაროა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და ეს ნათლად ჩანს აშშ-ის მაგალითზე.

46-ე ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან თესებისათვის მოცუმულია გამონატყორცნის ჯამური სიდიდეები, გამოყენებული სათბობის სახეობის გაუთვალისწინებლად, თუმცა ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გარემოს გაჭუჭყიანების ხარისხს.

ბუნებრივი აირი ხასიათდება მინიმალური უარყოფითი ზემოქმედებით გარემოზე. მეორე მხრივ, ენერგეტიკული დანადგარების აირით მომარაგებას აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზი - სადგურის ტერიტორიაზე შეუძლებელია საჭირო მარაგის აირის შენახვა.

(ცხრილი 46
გარემოში მავნე გამონატყორცნების განაწილება აშშ-ს მაგალითზე [70])

გაჭუჭყიანების წყარო	გაჭუჭყიანების სახეობა, მლნ ტონა						
	CO_2	SO_2	აზოტის ოქსიდები	ნახშირ წყალბადი	მყარი ნაწილაკები	მლნ ტონა	%
ტრანსპორტი (მოტორიზებული)	66	1	6	12	1	86	60.6
მრეწველობა	2	9	2	4	6	23	16.2
თბოელექტროსადგურები	1	12	3	1	3	20	14.2
სხვა გათბობის ჩათვლით	3	4	2	2	2	13	9.1

მაგისტრალში აირის ხარჯის მკვეთრი ცვალებადობის გამო, აუცილებელია სარეზერვო სათბობის - მაზუთის გამოყენება. ეს კი მნიშვნელოვნად აუარესებს სადგურის ეკონომიკურ მაჩვენებლებს (ბუნებრივი აირი მაზუთზე უფრო იაფია) და ამასთან, მკვეთრად ზრდის გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას (ცხრილი 43).

ზემოთ მოყვანილი მოსაზრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თბოენერგეტიკის ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის ეფექტური გზებია: 1) თბოენერგეტიკის განვითარება თანამედროვე აირტურბინული ტექნოლოგიების გამოყენების ბაზაზე [21]; 2) თბოელექტროსადგურების წვის პროდუქტებზე NO_x -ის შემცირება, SO_2 -ის და

CO_2 -ის სრული ან ნაწილობრივი უტილიზაცია; 3) თესებში მაზუთის, როგორც სარეზერვო სათბობის გამოყენების გამორიცხვა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს თესების სქემაში ბუნებრივი აირის გამოხვადებელი დანადგარის ჩართვით [70].

თხევადი აირის შენახვა არ წარმოადგენს დიდ სირთულეს. საჭიროების შემთხვევაში, გათხვადებული აირი რეგაზიფიკაციის შემდეგ მიეწოდება სადგურს. ასეთი სქემით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ეპოლოგიური სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

გარემოში CO_2 -ის გამოტყორცნილი რაოდენობის კუთრი სიდიდე ასევე დამოკიდებულია სათბობის სახეობასა და ტექნოლოგიის ეფექტურობაზე. ყოველი პვტ.სთ ელრქტროენერგიის წარმოებისას ქვანახშირზე მომუშავე თესებიდან ატმოსფეროში გაიტყორცნება 850-900გ CO_2 , ბუნებრივი აირის გამოყენებისას - 500-600 გ CO_2 , ხოლო მაზუთის შემთხვევაში ეს სიდიდე 750-850 გ-ს შეადგენს.

თბოელექტროსადგურებში CO_2 -ის სრული უტილიზაცია სავსებით შესაძლებელია თანამედროვე, აპრობირებული ტექნოლოგიების გამოყენებით. მაგრამ ეს გამოიწვევს თესების მქ კოეფიციენტის მნიშვნელოვან შემცირებას, კერძოდ, ბუნებრივ აირზე მომუშავე თესებისათვის მქ კოეფიციენტი შემცირდება - $\Delta\eta_{\text{კმ}} \approx 6.5\%$ -ით, ხოლო მაზუთზე - $\Delta\eta_{\text{კმ}} \approx 9\%$ -ით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ბუნებრივი აირი ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა სათბობის სახეობაა და ამიტომ მიზანშეწონილია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომ საქართველოს თბოელექტროსადგურები (არსებული და ახალი) ფუნქციონირებდეს მხოლოდ ბუნებრივ აირზე; მით უმეტეს, რომ საქართველო, 30÷50-წლიანი პერსპექტივით, იაფი ბუნებრივი აირის ზონაში იმყოფება.

თბოელექტროსადგურის უწყვეტი და დარეგულირებული გაზმომარაგების უზრუნველყოფისთვის, ერთ-ერთ ეფექტურ გადაწყვეტილებად, შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ბუნებრივი აირის გათხვადების განხორციელება უშუალო თეს-ის ამს-ში.

აირტურბინული დანადგარებით გამოწვეული ხმაური ყველაზე ძლიერია თეს-ის სხვა დანადგარების მიერ გამოწვეულ ხმაურთა შორის. გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ ხმაურს გამოსცემს ატდ-ის შემწოვი და გამოსაბოლქვი ტრაქტები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - გენერატორის კორპუსი და ტურბომანქანა.

გრიგალური ხმაურის ძირითადი სიხშირე ბრუნთა რიცხვის n (1/წმ) პროპორციულია, იგი აირტურბინული დანადგარებისათვის იცვლება 50...100 ჰც-ის დიაპაზონში.

აირტურბინული დანადგარის შემწოვი სისტემის ხმაურის ჯამური ბგერითი სიმძლავრე დამოკიდებულია კომპრესორში ჰაერის მასურ ხარჯზე, წნევაზე, კომპრესორის პირველი საფეხურის მუშა თვლის გარე დიამეტრზე და კომპრესორის მქ კოეფიციენტზე.

100 მგვტ სიმძლავრის ატდ-ის კომპრესორის ბგერის დონე, რომელიც სხივდება ჰაერმიმდებიდან ჩამხშობის გარეშე, მისგან 120 მ-ის დაშორებით, 110 დბ-ის ტოლია. ეს სიდიდე საკმაოდ მაღალია და ამიტომ ატდ-ის ჰაერის შესასვლელში ყოველთვის აყენებენ მაყუჩს.

აირტურბინული დანადგარების ზედაპირიდან 1 მ-ის დაშორებით ბგერის საშუალო დონე 98 ± 5 დბ ტოლია, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს საწარმოში სამუშაო ადგილებისათვის დასაშვებ ნორმებს. ამიტომ, აირტურბინული დანადგარების ნორმალური ექსპლუატაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ კორპუსებზე დაყენებულია ხმაურმაყუჩი გარსაცმები.

მიუხედავად დადგენილი მკაცრი ნორმებისა და გატარებული ლონისძიებებისა, თბოენერგეტიკული დანადგარები მაინც რჩებიან ატმოსფეროს დაბინძურების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. მაგალითად, ევროპაში მძლავრ სითბურ დანადგარებზე მოდის ატმოსფეროში გამობოლქვილი SO_2 -ის 63% და NO_x -ის 21% [71]. ამიტომ, 2001 წლის წოლოს ევროპული თანამეგობრობის (ეთ) ოფიციალურმა ორგანომ Official Jurnal გამოაქვეყნა ორი დირექტივა, რომლებსაც ამ თანამეგობრობაში შემავალი 15 ქვეყნისათვის ამავე წლის 27 ნოემბრიდან მიეცა საკანონმდებლო აქტის სახე.

NO_x -ის დასაშვები კონცენტრაცია წვის აირად ნაწარმში, მგ/მ³

სათბობის სახე	ჰაერის საან- გარიშო სი- ჭარბე $O_2\%$	საქვაბე დანადგარის თბური სიმძლავრე, მგვტ			
		2015 წლის 30 დეკემ- ბრამდე		2016 წლის 1 იანვრის შემდეგ	
		50-500	500-ზე მეტი	50-500	500-ზე მეტი
მყარი	6 ($\alpha=1,4$)	600	500	600	200
თხევადი	3 ($\alpha=1,167$)	450	400	450	400
აირადი	3 ($\alpha=1,167$)	300	200	300	200

 NO_x -ის ზღვრული კონცენტრაცია წვის აირად ნაწარმში, მგ/მ³

სათბობის სახე	ჰაერის საანგა- რიშო სიჭარბე $O_2\%$	საქვაბე დანადგარის თბური სიმძლავრე, მგვტ		
		50-100	100-300	300-ზე მეტი
მყარი	6 ($\alpha=1,4$)	400	300	200
ბიომასა	6 ($\alpha=1,4$)	400	200	200
თხევადი	3 ($\alpha=1,167$)	400	200	200
ბუნებრივი აირი	3 ($\alpha=1,167$)	150	150	100
სხვა აირადი სათბობი	3 ($\alpha=1,167$)	200	200	200

აზოტის ჟანგეულობის NO_x -ის დასაშვები კონცენტრაცია წვის აირად ნაწარმში საქვაბე დანადგარებისათვის, რომლებიც უკვე მუშაობენ, ან ლიცენზია 2002 წლის 27 ნოემბრამდე მიიღეს და ესქპლუატაციაში 2033 წლის 27 ნოემბრიდან შევიდნენ, არ უნდა აღემატებოდეს ცხ. 48-ში და ცხ. 49-ში მოყვანილ სიდიდეს.

აირტურბინული დანადგარებისათვის NO_x -ის დასაშვები კონცენტრაცია დგინდება $O_2=15\% (\alpha=3,5)$ პირობებისათვის და მხოლოდ იმ დატვირთვებისათვის, რომლებიც ნომინალურის 70%-ს აღემატება. თუ აირტურბინული დანადგარის თბური სიმძლავრე 50 მგვტ-ზე მეტია, მაშინ NO_x -ის დასაშვები კონცენტრაცია (როდესაც $O_2=15\%$) შეადგენს: ბუნებრივი აირისათვის – 50, თხევადი სათბობისათვის – 120, სხვა აირადი სათბობისათვის – 120 მგ/მ³. პიკური აირტურბინული დანადგარებისათვის, რომლებიც წელიწადში 500 სთ-ზე ნაკლები დროის მანძილზე მუშაობენ, NO_x -ის ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია 75%-ს არ უნდა აღემატებოდეს. თუ აირტურბინული დანადგარი დგას თეცში, რომლის

საერთო მქ კოეფიციენტი 75%-ია და ჩართულია ორთქლაირული დანადგარის სქემაში, რომლის ელექტრული მქ კოეფიციენტი 55%-ის ტოლია, ან მექანიკური ამძრავის როლს ასრულებს.

2001 წლის 27 ნოემბრიდან დაკანონდა დირექტივა, ეუთ-ში შემავალი 15 ქვეწისათვის, რომელშიც წარმოდგენილია ატმოსფერული ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები საერთო გამონაბოლქვების ჩამონათვალი. ცხრ. 50-ში მოცემულია ე.წ. „ემისის ეროვნული ზღვრები” (NECs), რომლის გადალახვა ამ ქვეწებში აკრძალულია 2010 წლიდან.

აღნიშნული დირექტივის მიზანია ატმოსფერული ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული რისკების შემცირება. გარდა ამისა, ის შეიცავს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ავალდებულებს ევროპულ კომისიას მოამზადოს მოხსენებები ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოსათვის როგორც 2004 და 2008 წლებში დასახული ამოცანების შესრულების მიმდინარეობის, ასევე შუალედური და გრძელვადიანი პროგნოზების შესახებ, რომლებიც 2020 წლისათვის უზრუნველყოფებ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაგაწყვეტილებების შესრულებას ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.

ცხრილი 49
ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები
საერთო გამონაბოლქვები, ათასი ტ/წლ

ქვეყანა	ზღვრული საერთო გამონაბოლქვი			
	SO_2	NO_x	მყარი ნაწილაკები	NH_4N
1	2	3	4	5
ავსტრია	39	103	159	66
ბელგია	99	176	139	74
დანია	55	127	85	69
ფინეთი	110	170	130	31
საფრანგეთი	375	810	1050	780
გერმანია	520	1051	995	550
საბერძნეთი	523	344	261	73
ირლანდია	42	65	55	116
იტალია	475	990	1159	419
ლუქსემბურგი	4	11	9	7
ნიდერლანდი	50	260	185	128
პორტუგალია	160	250	180	90
ესპანეთი	746	847	662	353
შვეცია	67	148	241	57
დიდი ბრიტანეთი	585	1167	1200	297
სულ	3850	6519	6510	3110

ბუნებრივია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური სიტუაციის შეფა-
სების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ატმოსფე-
როში გამოტყორცნილი მავნე მინარევების ზემოთ მოყვანილი დასაშვე-
ბი ნორმები.

დასკვნა

1. გაანალიზებულია მსოფლიოში კოგენერაციის განვითარების ძირითადი ეტაპები, მისი ენერგოეკონომიური და ეკოლოგიური უპირატესობანი. აღნიშნულია, რომ ამჟამად კოგენერაცია ვითარდება ძირითადად აირტურბინული და ორთქლაირული ტექნოლოგიების ბაზაზე. მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით ხაზგასმულია, რომ კოგენერაციის ინტენსიურ განვითარებას სჭირდება გარკვეული პირობები, ხელშემწყობი პოლიტიკური სტრატეგია და საკანონმდებლო ბაზა. კოგენერაციის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიღებული ეკონომიკური მოგების სამართლიან განაწილებას გამომუშავებულ სითბოსა და ელექტროენერგიას შორის. ამჟამად ეს განაწილება უმეტეს ქვეყნებში წარმოებს ე.წ. პროპორციული მეთოდით. საქართველოში, ყველა პირობა არსებობს კოგენერაციის ფართომასშტაბიანი დანერგვისათვის. ამისათვის მას უნდა მიენიჭოს სახელმწიფოებრივი პრიორიტეტი და მოიზიდოს საჭირო ინვესტიციები. კოგენერაცია ხელს შეუწყობს ენერგოკრიზისის დაძლევას ქვეყანაში.

2. დამუშავებულია აირტურბინული ოეცების ენერგოფაქტურობის მაჩვენებლების გაანგარიშების ახალი - „პროპორციული“ მეთოდი. დადგენილია, რომ ამ მეთოდით გათვლილ მაჩვენებლებზე ძირითადად გავლენას ახდენს აირტურბინული დანადგარის და ჩასანაცვლებელი კესისა და საქვაბის მქ კოეფიციენტები. ნაჩვენებია, რომ პროპორციული მეთოდის გამოყენებისას სათბობის ეკონომია ნაწილდება აირტურბინულ თეცში გამომუშავებულ ორი სახის ენერგიას (სითბო და ელექტროენერგია) შორის. შედარებულია პროპორციული და ფიზიკური მეთოდებით განსაზღვრული თეცის ენერგოფაქტურობის მაჩვენებლები.

3. ნორმატიული მეთოდის გამოყენებით ჩატარებულია KО ტიპის ტურბინებით აღჭურვილი ორთქლტურბინული თეცის ენერგოფაქტურობის მაჩვენებლების საანგარიშო-ანალიზური გამოკვლევა. განსაზღვრულია სათბობის კუთრი ხარჯი და მისი ფარდობითი ეკონომია ენერგო-წარმოების განცალკევებულ მეთოდთან შედარებით.

4. შესწავლილია გარდაბანში ამჟამად მოქმედი აირტურბინული დანადგარების ატდ-თეცად რეკონსტრუქციის ეფექტურობის შესაძლებლობა. დადგენილია, რომ გათბობის სეზონში ასეთი თეცის სრული მქონეფიციენტი მიაღწევს 60% -ს. დადგენილია, რომ სათბობის ფარდობითი ეკონომიის საშუალო წლიური სიდიდე შეადგენს $\square 33\div 34\%$, ხოლო პირობითი სათბობის კუთრი ხარჯი ელექტროენერგიის გაცემაზე იქნება 280,6 გპ.ს./(კვტ.სთ), მისი თვითდირებულება – 4,4 ცენტი/(კვტ.სთ).

5. კოგენერაციული სისტემების თეცებში უმარტივესი სქემის აირტურბინული დანადგარის მაგივრად რთული სქემების დანადგარების გამოყენება საშუალოდ $20\div 25\%-ით$ ზრდის სათბობის ეკონომიას ენერგოსისტემაში, თბოელექტრომომარაგების განცალკევებულ მეთოდთან შედარებით.

6. გაანალიზირებულია ქ. თბილისში გლდანის რაიონში ადრე მოქმედი №44 საქვაბის აირტურბინულ თეცად რეკონსტრუქციის ეფექტურობა და გათვლილია თეცის მირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

7. მცირე სიმძლავრის A-41 ტიპის დიზელის მაგალითზე გაანალიზებულია ნარჩენი სითბოს უტილიზაციის შესაძლებლობა. დადგენილია, რომ გათბობის სისტემაში ამ დიზელის გამოყენებისას შესაძლებელი იქნება 800 მ² ფართობის შენობის გათბობით უზრუნველყოფა.

8. ქვაბ-უტილიზატორიან ორთქლაირულ თეცებში სათბობის სითბოს გამოყენების ხარისხი (სრული მქონეფიციენტი) მაღალია და სხვადასხვა პირობებში $75\ldots 90\%-ს$ შეადგენს. მაღალეკონომიური ატდების გამოყენებისას აოტდ-თეცში სათბობის კუთრი ხარჯი ელექტროენერგიის გამომუშავებაზე მინიმალურია $-160\ldots 180$ გპ.ს./(კვტ.სთ). სხვა ტიპის კოგენერაციულ სადგურებთან შედარებით, ელექტროენერგიის კუთრი გამომუშავება თბური მოხმარების ბაზაზე (პარამეტრი ღ) ყველაზე მაღალია და $2,0\ldots 2,3$ -ს აღწევს. შესაბამისად ყველაზე მეტია სათბობის ფარდობითი ეკონომია ენერგოსისტემაში $-0,35\ldots 0,47\%$.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. Андрющенко А.И. и др. Теплофикационные установки и их использование. М.: Высшая школа. 1989, 256 с.
2. Рыжкин В.Я. Тепловые электрические станции. М.Энергоатомиздат. 1987. 328с.
3. Работа ТЭЦ в объединенных энергосистемах/Под ред. В.П.Корытникова. М.:Энергия. 1976, 216 с.
4. Чоговадзе Г.И. , Хачатурян Р.А. Использование нетрадиционных возобновляемых источников в энергетике Грузинской ССР. Тбилиси: Мецниереба. 1989, 248 с.
5. Читашвили Г.П., Гоциридзе В.Д. Современное состояние и перспективы развития централизованного теплоснабжения г. Тбилиси. Тбилиси: Груз НИИНТИ. 1989, 65 с.
6. Андрющенко А.и. Энергетическая эффективность теплофикации от блок-ТЭЦ на базе районных котельных. –Известия Вузов –Энергетика. 1991, №6. с.3-7.
7. Исследование теплоснабжения Грузии на примере г. Тбилиси. Lahmeyer International, август 1997, 77 с.
8. ჩიტაშვილი გ., გოცირიძე დ. აირტურბინული ბლოკ-თერმების შექმნის პროცესში საქართველოში - მეცნიერება და ტექნიკა. -თბილისი/ 1993, №9,10. გვ. 31-34.
9. Ириков В.А. и др. Научно-технический прогресс в электроэнергетике и теплоснабжении.- Известия АН СССР. -Энергетика и транспорт. М., 1988, №4. с. 125-133.
10. Читашвили Г.П. Расчет показателей тепловой экономичности и удельных расходов топлива на газотурбинных блок-ТЭЦ//Теплоэнергетика. 1996, №6. с. 14-17.
11. Читашвили Г.П. Номограмма для определения экономии топлива в энергосистеме при функционировании газотурбинных ТЭЦ//Теплоэнергетика. М., 2003, №4, с. 68-71.
12. Хрилев Л.С. Основные направления и эффективность развития теплофикации// Теплоэнергетика. 1998, №4, с. 2-12.
13. Кулоян Л.Т. Тепло - и холодаоснажение в условиях теплого климата. Ереван: Айастан. 1973, 282 с.
14. ჩიტაშვილი გ., გოცირიძე ვ., პაპავა ლ., მჭედლიძე ქ., ვანცხავა გ. მსოფლიო ენერგეტიკაში აირტურბინული და ორთქლაირული დანადგარების გაოცენების მასშტაბები და პერსპექტივები // პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტი”, 2007, №1(27). გვ. 24-27.
15. Ольховский Г.Г. Масштабы и особенности применения газотурбинных и парогазовых установок за рубежом//Теплоэнергетика. 2002, №9. с. 72-77.
16. Цанев С.В., Буров В.Д., Ремезов А.Н. Газотурбинные и парогазовые установки тепловых электростанций. М.:изд-во МЭИ. 2002, 584 с.
17. Ольховский Г.Г. Энергетические ГТУ за рубежом// Теплоэнергетика,2004, №11. с. 71-76.
18. Читашвили Г.П. Когенерация – эффективный метод энергобережения и преодоления энергетического кризиса в Грузии//Georgian EngineeringNEWS. 2001, №3. с. 40-46.

19. Мерабишвили П., Читашвили Г. Перспективы развития энергетики Грузии на базе применения новейших технологий с газотурбинными и парогазовыми установками//Сб. докладов международной научной конференции „Проблемы управления и энергетики,, Тбилиси, 2004, №8. с. 271-274.
20. ყიფშიძე გ., ჯამარჯაშვილი ვ., არაბიძე გ. საქართველოს სათბობენერგეტიკული კომპლექსის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები. თბილისი: გამ. “ტექნიკური უნივერსიტეტი”. 2004, 325 გვ.
21. Парогазовые установки – путь к повышению экономической эффективности и экологической чистоты теплоэнергетики// Теплоэнергетика, №3, 1990, с.2-8.
22. Бродянский В. М. Фратшер В. Михалек К. Эксергетический метод и его приложения, - М.: Энергоатомиздат, 1988, 288 с.
23. ჩიტაშვილი გ. სამხრეთ რეგიონებში აირტურბინული ბლოკ-თეცების ბაზაზე კომბინირებული ენერგოწარმოების განვითარება და თბოენერგეტიკული დანადგარების ოპტიმიზაცია. დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, სტუ, თბილისი, 1995, გვ. 248.
24. ჩიტაშვილი გ., გოცირიძე გ., აირტურბინული თეცების ენერგოეფექტურობის გამოკვლევა პროცესული მეთოდით // ენერგია, 2003, №4(28). გვ. 71-78.
25. Попырин Л.С., Денисов В.И., Светлов К.С. О методах распределения затрат на ТЭЦ// Электрические станции. 1989, №11. с. 20-25.
26. Горшков А.С. О недостатках эксергетического подхода к оценке работы ТЭЦ//Электрические станции. 1990, №8. с. 57-61.
27. Безлепкин В.П., Вайнзихер Б.Ф. Рабочие процессы в теплофикационных установках и расход топлива на каждый вид производимой энергии// Телоэнергетика. 2002, №9. с. 56-62.
28. Хрилев Л.С. Теплофикационные системы. М.: Энергоатомиздат. 1988, 272 с.
29. Читашвили Г.П. К. методике расчета показателей энергоэффективности газотурбинных ТЭЦ // Теплоэнергетика.2001, №8. с. 60-64.
30. Шубин Е.П. Основные вопросы проектирования систем теплоснабжения городов. М.: Энергия. 1979, 360 с.
31. Тепловые и атомные электростанции /Л.С. Стерман. и др./М.: Энергоиздат. 1982. 496 с.
32. ჩიტაშვილი გ. უკუნევიანი ტურბინებით აღჭურვილი თეცის და აირტურბინული ბლოკ-თეცის თბური ეკონომიურობის შედარება // ენერგია. 1997, №4. გვ. 61-65.
33. ჩიტაშვილი გ., ორთქლტურბინული თეცების ენერგეტიკული ეფექტურობის თერმოდინამიკური ანალიზი// ენერგია. 1999, №1(9). გვ. 66-70.
34. Читашвили Г., Мchedlidze K., Панцхава Е., Расчет экономии топлива в энергосистеме с паротурбинными ТЭЦ// ქურნალი „ენერგია“. 2009, №2 (50), ნაწ.2. გვ. 8-13.
35. Читашвили Г.П. Термодинамический анализ энергоэффективности паротурбинных ТЭЦ/Теплоэнергетика. 2000, №12. с.40-44.
36. Евенко В.И. Оценка термодинамической эффективности теплофикационных паротурбинных установок//Теплоэнергетика. 1999, №12.

37. Читашвили Г.П. Пропорциональный метод расчета КПД и удельных расходов топлива на газотурбинных ТЭЦ//Теплоэнергетика. 2006, №12. с.36-40.
38. Хлебалин Ю. М., Эффективность использования турбин КЭС для теплофикации// Промышленная энергетика. 2008, №11. с.52-54.
39. РД 34.08.552-95. Методические указания по составлению отчета электростанции и акционерного общества энергетики и электрификации о тепловой экономичности оборудования. – М.: СПО ОРГРЭС.
40. Шляхин П.Н. и Бершадский М.Л. Краткий справочник по паротурбинным установкам. М., „Энергия“, 1970, 216 с.
41. ჩიტაშვილი გ., არაბიძე გ., მინდელი ზ., გოცირიძე დ. აირტურბინული ბლოკ-თეცების და ორთქლტურბინული თეცების ენერგეტიკული ეფექტურობის შედარება// სტუს შრომები. 2003, №4(450). გვ. 66-69.
42. Боровков В.М., Демидов О.Н., Казаров С.А. и др. Тепловые схемы ТЭС и АЭС. СПб.: Энергоатомиздат. 1995, 392 с.
43. Андрющенко А.И. Комбинированные системы энергоснабжения //Теплоэнергетика. 1997, №5. с. 2-6.
44. Сазанов Б.В., Ситас В.И. Теплоэнергетические системы промышленных предприятий. М.:Энергоатомиздат. 1990, 304 с.
45. Станция теплоэлектроцентрали Глданского района г. Тбилиси (СТЭС „Глдани“, - 2xMS 6001 B). Технико-экономическое обоснование Том 1. М:Энергоперспектива, 1996. 51 с.
46. მირიანა შვილი დ. ინფორმაცია-ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტი// ენერგია. 2008, №1(45). გვ. 98-102.
47. ჯაფარიძე დ., გაჩერთიძე ზ. ენერგოსაწარმოების მშენებლობაზე განხორციელებული კერძო ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება// საქართველოს ეკონომიკა. 2010, №7(151). გვ. 72-77.
48. ბოჭორიშვილი ლ., გუდიაშვილი მ. კაპიტალდაბანდების ეკონომიკური შეფასების მეთოდები ენერგეტიკაში. თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2011, 144 გვ.
49. От холода к теплу – политика в сфере теплоснабжения в странах с переходной экономикой/Изд. Международного энергетического агентства. Париж. январь 2005, 301 с.
50. Фиалко Н.М. Когенерационные технологии и повышение эффективности использования топлива в энергетическом оборудовании//Труды международной конференции «Когенерация в промышленности и коммунальной энергетике», 18-20 октября 2004. Киев. 5 с.
51. Gasturbinenbetrieb Die nachaeschalteten Abhitze – odcr Kombikessel machen den Prozess wirtschaftlich – auch bei kleineren Leistungen (<2MW)//Brenst-Wärwerk-1988-40 №11.
52. Качан А.Д., Смирнов И.А. и др. Условия повышения термодинамической эффективности утилизационных ГТУ//Теплоэнергетика. 1992, №12. с. 38-42.
53. ჩიტაშვილი გ. აირტურბინული ბლოკ-თეცების თბური ეკონომიკურობის გაანგარიშების მეთოდიკა // სტუს შრომები. 1993, №8(401). გვ. 79-89.
54. Манушин Э.А. Комбинированные энергетические установки с паровыми и газовыми турбинами//Итоги науки и техники. ВИНИТИ. Сер. Турбостроение. 1990, Т. 4. 184 с.

55. Каплан М.П. Тепловая эффективность энергетических теплофикационных ГТУ с промежуточным охлаждением воздуха и регенерацией // Теплоэнергетика. 2002, №8. с. 51-58.
56. Rice I.G. Thermodynamic Evaluation of Gas Turbine Cogeneration Cycles: Part II-Complex Cycle Analisis. Энергетические машины и установки. 1987, №1. с. 10-20.
57. ჩიტაშვილი გ. აირტურბინულ ბლოკ-თეცებში სათბობის ეკონომიის და კუთრი ხარჯების გაანგარიშების მეთოდიკა//სტუს შრომები. თბილისი. 1993, №8 (401). გვ. 91-99.
58. ჩიტაშვილი გ., მჭედლიძე ქ. კოგენერაციულ სისტემებში როგორ სქემების აირტურბინული დანაღვარების გამოყენების შესახებ// ენერგია. 2011, №1(57). გვ. 5-9.
59. Михалин Г. И. Эксплуатация дизельных электрических станций// Энергия. Москва. 1968, 358 с.
60. ჩიტაშვილი გ., არაბიძე გ., ხეთაგური ა. საქართველოში კოგენერაციის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები // პერიოდული სამეცნიერო „ურნალი „ინტელექტი“, 2006, №2(25). გვ. 104-106.
61. Орлин А.С. и др. Устройство и работа поршневых и комбинированных двигателей. „Машиностроение“, 1970, 400 с.
62. Андрющенко А.И., Лапшов В.Н. Парогазовые установки электростанций. М.:Энергия. 1965, 247 с.
63. Кушниренко К.Ф. Краткий справочник по горючему, техническим средствам и складам. М., Военное издательство. 1968, 272 с.
64. Зысин В.А. Комбинированные парогазовые установки и циклы. Л.:Госэнергоиздат. 1962, 186 с.
65. Ольховский Г.Г., Чернецкий Н.С., Святов В.А., Трушин С.Г. Перспективные ПГУ для крупных электростанций/Теплоэнергетика. 1985, №9. с.5-12.
66. Андрющенко А.И. Системная эффективность бинарных ПГУ-ТЭЦ/Теплоэнергетика. 2000, №12. с.11-15.
67. Эль-Масри. Термодинамика газотурбинных циклов. Ч.1. Анализ бинарных циклов на основе второго закона термодинамики/Энергетич. машины и установки. 1985, №4. с.45-55.
68. ჩიტაშვილი გ., ჯიშკარიანი თ. ქვაბუტილიზატორიანი ორთლაირული თბოელექტროცენტრალების ენერგოეფექტურობის ორმოდინამიკური ანალიზი თბილისი:// ენერგია (საიუბილეო კრებული). 2004, გვ. 99-107.
69. ჩიტაშვილი გ., არაბიძე გ., ჯიშკარიანი თ., ხეთაგური ა. ქვაბუტილიზატორიანი ორთქლაირული თეცების ენერგოეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი// ენერგია. 2006, №2(38). გვ. 79-84.
70. Газовые турбины в теплоэнергетике// Теплоэнергетика. 1996, №4. с.2-11.
71. პაპავა ლ., რაზმაძე მ., კეუერაძე ნ., ფანცხავა ე., მჭედლიძე ქ. ატ-მოსფეროში გამოტყორცნილი მავნე მინარევების დასაშვები ნორმები. ენერგია. 2007, №1(41). გვ. 44-49.